განმავითარებელი აქტივობების კრებული

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების
მქონე მოსწავლეებისათვის



გზამკვლევი მასწავლებლებისა და მშობლებისათვის

ავტორები:

თამარ ისაკაძე - განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი

ნინო ლომიძე - ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2020

სარჩევი

გზამკვლევის შესახებ

შესავალი

თავი I

კითხვის უნარის განვითარება

კითხვის კომპონენტები

კითხვის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კითხვის სწავლების ეფექტური სტრატეგიები

კითხვის უნარის განვითარების ხელშემწყობი რეკომენდაციები

კითხვის სწავლების დამხმარე აქტივობები

თავი II

წერის უნარის განვითარება

წერის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წერის სწავლების ეფექტური სტრატეგიები

რეკომენდაციები ფონემური ანალიზის უნარის განვითარებისთვის

რეკომენდაციები და სავარჯიშოები ასოების გრაფიკული გამოსახულების და მისი წინმსწრები უნარების განვითარებისთვის

წერის სწავლების დამხმარე აქტივობები

თავი I I I

თხრობის უნარის განვითარება

თხრობის პროცესში ჩართული კოგნიტური უნარები

თხრობის სირთულეები სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

ზოგადი სტრატეგიები თხრობის უნარის განვითარებისთვის

თხრობის უნარის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები

თავი IV

მათემატიკური უნარის განვითარება და მნიშვნელობა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის

- მათემატიკური უნარების განვითარების პროცესში ჩართული კოგნიტური უნარები
- ბაზისური მათემატიკური უნარების ათვისებისთვის საჭირო წინარე ცოდნა და სწავლის ეტაპები
- ბაზისური მათემატიკური ცნებების ათვისების სირთულის გამომწვევი მიზეზები
- სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევის დროს მათემატიკაში გამოხატული სირთულეები და მათი გამომწვევი მიზეზები
- ბაზისური მათემატიკური უნარების სწავლების ზოგადი სტრატეგიები
- მათემატიკური მოქმედებების თამაშით სწავლება
- ბაზისური მათემატიკური უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები

თავი V

რეკომენდაციები მშობლებისთვის

- მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში
- რეკომენდაციები მშობლებისთვის ბავშვის განვითარების პროცესის მხარდასაჭერად
- ინდივიდუალური სწავლის სტილი და მასზე დაკვირვების სტრატეგიები
- რეკომენდაციები ბავშვის ინდივიდუალური სწავლის სტილის გათვალისწინებით
- სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვების წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები

გამოყენებული ლიტერატურა

კრებულის შესახებ

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის კი მნიშნელოვანია, ყველა მოსწავლისთვის შეთავაზებული იყოს მის საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული განმავითარებელი აქტივობა, რომელიც ერთის მხრივ მის განათლებას შეუწყობს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ, გაუღვივებს სწავლის მოტივაციას. მასწავლებლის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიწოდებული დავალება მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

ინკლუზიური განათლების წარმატებული განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნების, მეთოდების, სტრატეგიებისა და რესურსების მაქსიმალური მორგება ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევა საჭიროებს მრავალფეროვან აქტივობებს, ხოლო სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მასწავლებლების მხრიდან მნიშვნელოვანია სპეციფიური სასწავლო სტრატეგიების და მეთოდების გამოყენება. იმისთვის, რომ ყველა მოსწავლემ, მიუხედავად საჭიროებისა, მიაღწიოს წარმატებას, მნიშნელოვანია სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, მნიშვნელოვანია სასწავლო გარემოს ადაპტირება, მოდიფიკაცია და აკომოდაცია, მაგალითად, თვალსაჩინო მასალები, გამარტივებული ინსტრუქციები, კავშირის დამყარება ყოფით მოვლენებთან და საგნებთან, დამხმარე საშუალებები და სხვა, გარდა ამისა, სწავლის სირთულის მქონე მოსწავლე უკეთესად აღწევს შედეგებს გამოცდილებით სწავლის საფუძველზე, ასევე, კონსტრუქტივისტული მიდგომით, მულტიმოდალური სტრატეგიით, კეთებით სწავლის და პრაგმატული სწავლის პრინციპებით დაგეგმილი აქტივობებით.

აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ მასწავლებლისთვის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მრავალფეროვანი აქტივობები. ეროვნული სასწავლო გეგმის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და გაკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე, კრებულში წარმოდგენილია აქტივობათა სხვადასხვა ნიმუშები, რომლებიც მათ დაეხმარება გაკვეთილების დაგეგმვის და ჩატარების დროს შეარჩიონ ბავშვის საჭიროებასა და ინტერესებზე მორგებული აქტივობა.

წარმოდგენილი სასწავლო აქტივობები დაგეგმილია სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა გულისხმობს სასწავლო გარემოს, რესურსების, ინსტრუქციის, სტრატეგიის მორგებას და ცვლილებების განხორციელებას, რაც ზრდის სასწავლო შედეგებს.

შესავალი

სასწავლო აქტივობების გზამკვლევი განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისთვის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზრუნავენ მოსწავლეთა ბაზისური აკადემიური უნარების განვითარებაზე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებისთვის. სახელმძღვანელოს ამოცანაა, გააცნოს მასწავლებლებს მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას **წერაში, კითხვაში, თხრობასა და მათემატიკაში.** წარმოდგენილი აქტივობები, ასევე საინტერესო იქნება მშობლებისთვის, სახლის პირობებში და არაფორმალურ გარემოში, შვილის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლებისთვის.

გზამკვლევში წარმოდგენილი აქტივობები შესაძლებელია ჩატარდეს:

1. ინდივიდუალური მეცადინეობის პროცესში, მაგალითად რესურსოთახში;
2. საკლასო და ჯგუფური მეცადინეობების პროცესში;
3. აქტივობები შესაძლებელია ეფექტურად გამოყენებულ იქნას დისტანციური და ონლაინ სწავლების ფორმატში;
4. აქტივობების გამოყენება საინტერესო იქნება შინ სწავლების რეჟიმზე მყოფი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.
5. გასათვალისწინებელია, რომ აქტივობებისთვის საჭირო რესურსების დამზადებაში სასარგებლო იქნება თავად მოსწავლის ჩართულობა.

წარმოდგენილი აქტივობები სახელმძღვანელოში დაყოფილია 4 ნაწილად კითხვის, წერის, თხრობის და მათემატიკური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით. აქტივობების უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მათგანი შედგენილია ისე, რომ მისი შესრულების პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის შემეცნებითი (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება), მოტორული (ნატიფი და მსხვილი მოტორიკა), კომუნიკაციური და მეტყველების უნარების განვითარებას.

აქტივობები ასევე დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს სახლის პირობებში სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შესთავაზონ მოსწავლეებს მარტივი, საინტერესო და განმავითარებელი აქტივობები. გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი აქტივობების ადაპტირება შესაძლებელია მოსწავლეთა სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით.

თავი I

კითხვის უნარის განვითარება

კითხვის დასწავლა სკოლაში მიზანმიმართული მეცადინეობის შედეგად ხორციელდება. კითხვა რთული ლინგვისტური პროცესია. კითხვის უნარი ბუნებრივად არ ვითარდება და საჭიროა მისი მიზანმიმართული სწავლება. კითხვა ავტომატიზებულ ჩვევად იქცევა გამოცდილი მკითხველისთვის. კითხვისათვის მრავალი საბაზისო უნარია საჭირო (უშუალო მეხსიერება, ვიზუალურ-სივრცითი უნარები, ფონემური სმენა, ფონემური ანალიზი და სინთეზი).

იმისთვის, რომ სიტყვის ამოკითხვის პროცესი შედგეს, საჭიროა, ასოების ცნობა, დაკავშირება ფონემებთან, ფონემების გაერთიანება, სიტყვის ცნობა და მისი მნიშვნელობის გაგება. წინადადების წაკითხვისას, კი საჭიროა წაკითხული სიტყვების მეხსიერებაში შენახვა, დანარჩენ ამოკითხულ სიტყვებთან დაკავშირება და მთელი წინადადების შინაარსის გაგება-გააზრება.

კითხვის კომპონენტები

კითხვის უნარის დაუფლება ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარებას მოიცავს. ეს კომპონენტებია:

1. ფონოლოგიური უნარ-ჩვევები;
2. ანბანი,;
3. ლექსიკური მარაგი;
4. გაწაფული/გამართული კითხვა;
5. წაკითხულის გაგება-გააზრება.

კითხვის დაუფლებისთვის და განვითარებისთვის აუცილებელია ყველა ამ კომპონენტის განვითარების ხელშეწყობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ფონოლოგია, ფონემური ცოდნა

ფონოლოგიურ უნარების განვითარება გულისხმობს სიტყვის შემადგენელი ბგერებისა (ფონემების) და მარცვლების შესწავლას. ფონოლოგიური უნარის განვითარების შედეგად, მოსწავლეს შეუძლია ისეთი დავალებების შესრულება, როგორიცაა:

- სიტყვის პირველი და ბოლო ბგერების იდენტიფიცირება;
- მსგავსი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა (მაგალითად, „ბ“, „ფ“, „პ“, ან „ძ“ და „წ“);
- ბგერების გადაბმულად წარმოთქმა;
- სიტყვის ბგერებად ან მარცვლებად დაშლა;
- კონკრეტულ სიტყვაში შემავალი ბგერის დასახელება (მაგალითად, შეიცავს თუ არა ბგერას „ტ“ სიტყვა „კატა“, ან ბგერას „დ“ სიტყვა -„მზე“).

ანბანი, ცოდნა ენის ასო-ბგერების შესახებ

ეს არის უნარი, მოსწავლემ შეძლოს დაწერილი ასოს დაკავშირება მის შესაბამის მოსმენილ ბგერასთან, დაამყაროს ასოებსა და ბგერებს შორის მიმართება. ამ უნარის განვითარების შედეგად, მოსწავლეს შეუძლია ისეთი დავალებების შესრულება, როგორიცაა:

- მოსმენილი ბგერის შესაბამისად ბარათზე დაბეჭდილ რამდენიმე ასოს შორის, საჭირო ასოს პოვნა;
- დაწერილ ასოებში, დასახელებული ინსტრუქციის შესაბამისად ასოს მოძებნა;
- ასოების ამოცნობა;
- ასოების დაკავშირება შესაბამის ბგერებთან.

ლექსიკური მარაგი

ლექსიკური მარაგი კონკრეტული ადამიანის გონებაში არსებული სიტყვების ერთობლიობაა. ლექსიკური მარაგის გამდიდრება მიიღწევა საკითხავი სიტყვების სიმრავლის მუდმივად გაფართოებით, ყოველდღიურად სასაუბრო და საკითხავი ახალი სიტყვების დამატებით. მოსწავლის ლექსიკური მარაგის დადგენა და მისი განვითარების ხელშეწყობა შესაძლებელია შემდეგი პროცედურებით:

- ნახატის აღწერა;
- სიუჟეტური ბარათის აღწერა;
- ნასწავლი სიტყვის განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება;
- დიალოგური მეტყველება;
- მოქმედების აღწერა;
- ყოფითი სიტუაციური მაგალითის მოყოლა;

ბარათებზე არსებული სურათების დასახელება და წინადადებების შედგენა.

გამართული/გაწაფული კითხვა

კითხვა გამართულია, როცა ის მიმდინარეობს უშეცდომოდ, ადეკვატური ტემპით, გაბმულად (წყვეტების გარეშე) და გამომსახველობით (ინტონაციითა და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით).

- გამართული კითხვის დროს მკითხველი კითხულობს სიტყვას, წინადადებას, ან ტექსტს უშეცდომოდ,
- ჩერდება სასვენ ნიშნებთან,
- იყენებს ინტონაციას, პაუზებს.
- ძალისხმევის გარეშე ახერხებს ცალკეული სიტყვების ამოცნობას და ერთმანეთზე თანმიმდევრულ გადაბმას,

ძალიან მცირე ხნით აფიქსირებს სიტყვაში შემავალ ასოებს, ხელმეორედ აღარ უბრუნდება მათ, რადგან მყისიერად ააქტიურებს მის ფონოლოგიურ კოდს.

წაკითხულის გაგება-გააზრება

კითხვის ძირითადი დანიშნულებაა წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება. გაგება-გააზრება სააზროვნო პროცესია, ტექსტის მკითხველის ცნობიერებაში აგების და ჩამოყალიბების პროცესი. სიტყვის, წინადადების ან ტექსტის გაგება - გააზრების შედეგად მოსწავლეს შეუძლია:

- წაკითხულის გონებაში წარმოდგენა;
- კითხვებზე პასუხის გაცემა;
- წაკითხულის მიხედვით ნახატის შექმნა;
- წაკითხულის მიხედვით სიუჟეტური სურათის აწყობა;
- წაკითხულის მოყოლა;
- ვარაუდების წარმოდგენა;
- წაკითხულიდან გამომდინარე შეკითხვების დასმა;
- წაკითხულის სხვებისთვის გაზიარება;
- წაკითხულის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, მაგალითად წაკითხული ინსტრუქციის მიხედვით ფაზლის ან სიუჟეტური სურათების აწყობა;
- გაგება-გააზრების უფრო მაღალი საფეხურია წაკითხულიდან გამომდინარე იდეების შედარების, დაკავშირების, გაერთიანების, დასკვნის გამოტანის, ანალიზის შეფასების უნარები.

კითხვის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები კითხვის სწავლისას სხვადასხვა სირთულეებს აწყდებიან. შესაძლებელია, მოსწავლეს სირთულეები კითხვის სწავლის ნებისმიერ ეტაპზე შეექმნას, მათ შორის ფონოლოგიური უნარების ჩამოყალიბების, ასოების ცნობის, ასოების ბგერებად გაერთიანების ან ბგერების სიტყვებად გამთლიანების, აზრის გაგება - გააზრებისას. კითხვის ათვისების სირთულეებს სხვადასხვა მოსწავლეებთან სხვადასხვა მახასიათებლები აქვს.

კითხვის სირთულეები შესაძლოა, აღენიშნებოდეთ ინტელექტუალური დარღვევის, მეტყველების დარღვევის, სწავლის უნარის დარღვევის, სმენის სირთულეების მქონე და სხვა მოსწავლეებს.

ეს სირთულეები შესაძლოა დაკავშირებული იყოს შემდეგ საკითხებთან:

- ასოების ცნობა;
- ბგერის შესაბამის ასოსთან დაკავშირება;
- მსგავსად მჟღერი ბგერების ან ვიზუალურად მსგავსი ასოების ერთმანეთისგან განსხვავება (ბალი-ბარი, ხ - ძ);
- ფონემების გაერთიანება და სიტყვების ამოკითხვა;
- წაკითხულის გაგება;
- ნელი კითხვა;
- შეცდომით წაკითხვა;
- მწირი ლექსიკა;

რა შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ კითხვის სირთულეებზე:

- **კითხვის დაუფლების ნელი ტემპი**

როდესაც მოსწავლეს უჭირს ასოების ბგერებთან დაკავშირება და ხშირად ეშლება ასოების სწორად დასახელება, უჭირს მოცემული ასოს თავისებურების და დეტალების გარჩევა და გარკვეულ ბგერასთან დაკავშირება. ასოების ამოცნობის, ანბანის დაუფლების სირთულეები, რომელიც დროში გახანგრძლივებულია. ამის მიზეზი შესაძლოა ვიზუალურ-სივრცითი უნარების პრობლემა იყოს.

- **ასოების ერთმანეთში არევა**

მოსწავლე ხშირად უშვებს შეცდომებს კითხვისას ასოების არასწორი დასახელების გამო. ეს შეცდომა ხშირად ასოების მსგავსი მოყვანილობით არის გამოწვეული (ძ – ხ, წ –შ და ა.შ.). მოსწავლეს შეიძლება აერიოს "ა" და "ი" ასოებიც.

- **ასოების გადანაცვლება**

სიტყვის ამოკითხვისას მოსწავლე ანაცვლებს ბგერებს სიტყვაში ან მოკლე სიტყვას უკუღმა კითხულობს

- **სიტყვის გამთლიანების სირთულე**

მოსწავლეს ცალკეული ასოების ამოკითხვა შეუძლია, თუმცა უჭირს ასოების გაერთიანება და სიტყვის სრულად თქმა. ამის მიზეზი ფონემური სინთეზის სირთულეა. ამ დროს მოსწავლეს არ შეუძლია სიტყვის დასაწყისში წაკითხული ბგერების დამახსოვრება და დანარჩენ ამოკითხულ ბგერებთან გაერთიანება. მას ავიწყდება, რომელი იყო სიტყვის პირველი ამოკითხული ბგერა, რათა ის შემდგომ ამოკითხულ ბგერასთან გააერთიანოს და ბოლოს განსაზღვროს რა სიტყვა წაიკითხა.

- **მიხვედრით კითხვა**

კითხვისას შეცდომები გამოწვეულია მიხვედრით კითხვის გამო, რომლის დროსაც მოსწავლე სიტყვის პირველ ბგერებს კითხულობს, ხოლო დანარჩენს მიხვედრით აბოლოებს ან ტოვებს სიტყვის დაბოლოებებს.

- **სიტყვის შინაარსის გაგება-გააზრების სირთულე**

მოსწავლე კითხულობს ცალკეულ ასოებს, შეუძლია მათი სიტყვად გაერთიანება, თუმცა ვერ ხვდება, რა სიტყვა წაიკითხა.

- **წინადადების, ტექსტის გაგება-გააზრების სირთულე**

კითხვის სირთულეების მქონე მოსწავლეებს ახასიათებთ წაკითხული მასალის გაგების პრობლემაც. ეს სირთულეები გამოწვეულია იმით, რომ მოსწავლეები ვერ ფლობენ ტექსტში მთავარი ელემენტების განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგ. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მოსწავლე ვერ პასუხობს კითხვებს, თუ სად ვითარდება მოქმედება ან რა არის მოთხრობის მთავარი არსი.

- **კითხვის ინტონაციის დარღვევა**

ტექსტის კითხვისას მოსწავლე სიტყვებსა და წინადადებებში არასწორად სვამს ინტონაციებს, არ აკეთებს პაუზას წინადადების დასრულებისას.

- **ფონოლოგიური ანალიზის და სინთეზის სირთულე**

მოსწავლეს უჭირს სიტყვების დამარცვლა ან მარცვლების სიტყვებად გაერთიანება, ნაცნობ სიტყვაში ცალკეული ბგერების გამოყოფა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კითხვის სწავლების ეფექტური სტრატეგიები

კითხვის სწავლების ბევრი სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. კონკრეტული მოსწავლისთვის კითხვის სწავლების სტრატეგიის და მეთოდის შერჩევის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და საგაკვეთილო კონტექსტი, სადაც აღნიშნული უნარის განვითარების სტიმულირება უნდა წახალისდეს. ასევე აუცილებელია დავაკვირდეთ ჩვენ მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტურობას და შევაფასოთ ბავშვის მიღწევები. შესაძლოა, საჭირო გახდეს სტრატეგიის შეცვლა ან დამატებითი მეთოდების გამოყენება.

ქვემოთ წარმოდგენილია კითხვის სწავლების რამდენიმე სტრატეგია:

თვალსაჩინოების გამოყენება - კითხვის სწავლების არსებითი პრინციპია ცნებების გათვალსაჩინოება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომელთა აღქმის ძირითადი წყარო ვიზუალური გარემოა. სასურველია, ცნებები დაკავშირებული იყოს ბავშვის ყოველდღიურობაში არსებულ, ნაცნობ საგნებთან და ქმედებებთან. სასწავლო პროცესში აუცილებელია იმ რეალური საგნების, სასკოლო ნივთების და სათამაშოების გამოყენება, რომლებსაც მოსწავლეები ხედავენ და ეხებიან.

კეთებით სწავლა - მასალის აღქმის კიდევ ერთ ეფექტიან ფორმას წარმოადგენს კეთება: გაფერადება, მოდელის მიხედვით გამოჭრა, პლასტილინით გამოძერწვა და ა.შ. ამგვარი აქტივობების დროს შესწავლილი მასალა უფრო მყარი და დასამახსოვრებელია განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისთვის. ამის გარდა, კეთებით სწავლის დროს მოსწავლეები ივითარებენ სოციალურ უნარებს, ეჩვევიან ჯგუფურ მუშაობას, ეხმარებიან ერთმანეთს, სწავლობენ სამუშაო სივრცის ორგანიზებას და მოწესრიგებას. სასურველია, მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების განთავსება საკლასო ოთახში და მათი სხვა, მომდევნო აქტივობების დროს გამოყენება.

წყვილში კითხვა - აღნიშნული ტექნიკა ეხმარება ბავშვს კითხვის უნარის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია, რომ აკონტროლოთ თქვენი ტემპი იმისათვის, რომ ბავშვი პასიურად არ იმეორებდეს თქვენს ნათქვამს. შეეცადეთ, რომ წყვილში კითხვის დროს თქვენ და ბავშვი ერთდროულად კითხულობდეთ. თუ კითხვის პროცესში ბავშვი დაუშვებს შეცდომას, შეჩერდით და მიანიშნეთ შეცდომაზე. სასურველია, თავად შეასწოროს. წყვილში კითხვის მეორე ვარიანტია, რომ ჯერ მასწავლებელი კითხულობს წინადადებას ან სიტყვას, შემდეგ კი ბავშვი იმავე წინადადებას ან სიტყვას.

ტექსტის მარკირება - ეხმარება ბავშვს მარტივად განარჩიოს ერთმანეთისაგან წინადადებები. თუ ბავშვს უჭირს სასვენ ნიშნებთან პაუზის დაცვა, შესაძლებელია, წინადადებებს შორის დავსვათ მკვეთრი ხაზები. ასევე შესაძლებელია, სხვადასხვა ფერით გააფერადოს ცალკეული სიტყვები ან წინადადებები.

ვიზუალური მიმანიშნებლების გამოყენება - საწყის ეტაპზე ეფექტურია, თუმცა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ კარგ მკითხველს უნდა შეეძლოს მხოლოდ წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე შინაარსის გაგება. ამიტომ, თუ პირველ ჯერზე ბავშვს მიაწვდით ტექსტს ილუსტრაციებით, შემდეგში, სასურველია, იგივე ტექსტის წაკითხვა სცადოთ მათ გარეშე.

წაკითხულის შინაარსის გააზრება - დაუსვით მარტივი შეკითხვები თუ მოსწავლე ვერ პასუხობს, მიუთითეთ ტექსტის შესაბამის ეპიზოდზე და დაეხმარეთ, თავად იპოვოს პასუხი.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია - ამ მეთოდოლოგიაში იგულისხმება, რომ სსსმ მოსწავლე შეისწავლის ახალ მასალას კონკრეტული ამოცანის გადაჭრის კონტექსტში მისი შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამგვარი სწავლების უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლე ხედავს რა პრაქტიკული გამოყენება აქვს იმას, რასაც ის შეისწავლის. ანუ, მის მიერ შეძენილი ცოდნა აღარ არის განყენებული და დაცილებული მისი პირადი გამოცდილებიდან.

მულტიმოდალური სწავლება - სწავლის პროცესი სხვადასხვა შეგრძნების – განსაკუთრებით კი მხედველობის, სმენის და ტაქტილური აღქმის ერთობლიობაა. მულტიმოდალური სწავლება ეს არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიის/მასალის გამოყენებას და მოიცავს მგრძნობელობის ყველა არხს, რომლებიც ადამიანის ყველა შეგრძნების გააქტიურებას უწყობს ხელს.

მოსწავლისთვის გარემოდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების უპირატესი გზა არაერთგვაროვანია. ზოგი უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს მოსმენილ ინფორმაციას, ზოგიც კიდევ უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს დანახულ ინფორმაციას და ა.შ. ზოგი მოსწავლე უკეთ გაიგებს მოთხრობას, თუ დაუხატავენ ან ფოტოებს უჩვენებენ; ზოგიერთი ამ მოთხრობის მოსმენას ამჯობინებს, დარჩენილ ნაწილს კი ურჩევნია ფიზიკურადაც ჩაერთოს პროცესში: გაითამაშოს სცენები, მონაწილეობა მიიღოს სპექტაკლში, შექმნას კომიქსი ან ნახატი და ამ სახით გაიგოს შინაარსი.

კითხვის მთლიანობითი მეთოდი – ასწავლეთ ბავშვებს დაწერილი სიტყვების მთლიანი ხატის დამახსოვრება. საგნების, ცხოველების ნახატებს მკაფიოდ მიაწერეთ მათი სახელები. ბავშვები ამ მასალასთან მუშაობის შედეგად იოლად იმახსოვრებენ საგნისა და შესაბამისი სიტყვის ხატს. შემდეგ განაცალკევეთ სიტყვა და სურათი და მიეცით ბავშვს დავალება, დამოუკიდებლად მოუძებნოს საგანს შესაბამისი სიტყვა.

გენერალიზება, ტრანსფერი, შეძენილი უნარის გამოყენება სხვა გარემოში - ბავშვმა რომ საფუძვლიანად განივითაროს ესა თუ ის უნარ-ჩვევა, საჭიროა პრაქტიკა განხორციელდეს სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა ადამიანებთან და განსხვავებული რესურსების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ შეძლოს კონკრეტული ცოდნის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება, ამას უწოდებენ გენერალიზებას, ტრანსფერს. მაგალითად, თუკი მოსწავლე კითხულობს ასოებს, მან უნდა შეძლოს ქუჩაში აბრების ამოკითხვაც, თუ მას შეუძლია სასკოლო სივრცეში და კონკრეტულ სახელმძღვანელოში სურათის აღწერა, იმ სიტყვების გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეძლოს სხვა სიტუაციაშიც, მაგალითად პარკში, მაღაზიაში თუ სხვა. ამის მიღწევა კი მიზანმიმართული და დაგეგმილი მუშაობით შეიძლება.

კითხვის განვითარების ხელშემწყობი რეკომენდაციები

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებით დახმარებების გამოყენება:

- დავალებებისა და ინსტრუქციების ადაპტაცია, მოსწავლის საჭიროებებზე მორგება;
- მასალის, სასწავლო რესურსების ადაპტაცია;
- გარემოს აკომოდაცია;
- ქცევის პოზიტიური მხარდაჭერა.

აქტივობებისა და ინსტრუქციების ადაპტაცია, მოსწავლის საჭიროებებზე მორგება

- მიაწოდეთ მოკლე და მკაფიო ინსტრუქციები;
- ინსტრუქციის ზეპირად მიწოდების პარალელურად, აჩვენეთ შესაბამისი თვალსაჩინო მასალა;
- ამოცანებისა და დავალებების მოცულობა მოსწავლის შესაძლებლობებს მოარგეთ;
- შესაძლოა, შემცირდეს სავალდებულო სამუშაოს მოცულობა თემის შეუცვლელად;
- სასწავლო რესურსები გაამდიდრეთ სენსორული, ვიზუალური და აუდიო მასალით;
- გამოიყენეთ ვიდეო რგოლები, თამაშები სხვადასხვა უნარის გასავარჯიშებლად და ცოდნის განსამტკიცებლად, ასევე ახალი მასალის ახსნის პარალელურად;
- თემის ახსნამდე, წინასწარ აუხსენით უცხო სიტყვები, ახსნისას გამოიყენეთ თვასლაჩინო მასალები, პრაქტიკული მაგალითები, ვიდეო რგოლები;
- დაამატეთ ფერები სამუშაოზე ყურადღების კონცენტრაციის გასაზრდელად, მაგალითად მარკერით გააფერადეთ ის სიტყვა, რომელიც ახალ ასოს შეიცავს და სხვა;
- დავალებები დაყავით მცირე ნაწილებად მიეცით თითო ნაწილი და მიაწოდეთ უკუკავშირი თითოეული ნაწილის დასრულების შემდეგ;
- გამოიყენეთ წიგნის ქსეროასლები, როგორც სამუშაო ფურცლები;
- ზეპირ ინსტრუქციებს დაურთეთ წერილობითი ინსტრუქციები ან დამატებით სიმბოლოები;
- მონიშნეთ ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილები;
- მოახდინეთ ინსტრუქციის პერიფრაზირება;
- გაიმეორეთ ინფორმაციია;
- გამოიყენეთ აუდიო ან და ვიზუალური მასალა.

მასალის, სასწავლო რესურსების ადაპტაცია

- მასალა ისე დაალაგეთ, რომ გაზარდოს მოსწავლის ყურადღების კონცენტრაცია და ფოკუსი. მაგალითად, ტექსტის მიწოდებისას ფურცლის დაფარებით მოსწავლის ყურადღება გაამახვილეთ მხოლოდ ერთ აბზაცზე, გამოიყენეთ მარკერები, ჩარჩოები ან სხვადასხვა ფერის ცხრილები ძირითადი ინფორმაციის გამოსაყოფად;
- გაზარდეთ ტექსტში ასოების ზომა და სტრიქონებს შორის დაშორება;
- მიაწოდეთ ფურცლები, რომლებზეც თითოეულ გვერდზე ნაკლები ინფორმაციაა მოცემული და ადვილი წასაკითხია;
- გაამარტივეთ ტექსტის ლექსიკა;
- გამოიყენეთ ტაქტილური მასალა (მაგალითად, ქვიშაზე წერა და ა.შ.).

გარემოს აკომოდაცია

- გაზარდეთ სამუშაო დრო ან/და გამოიყენეთ მცირე შესვენები აქტივობებს შორის.
- გამოიყენეთ აუდიო-ვიზუალური სიგნალები მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციისთვის მაგალითად, ქვიშის საათი ან ტაიმერი;
- საშინაო დავალებებისთვის გამოუყავით ცალკე რვეული;
- ასოები, სიტყვები და ტექსტი, უმჯობესია, ცალკე ბარათებზე, ფურცლებზე იყოს წარმოდგენილი, ხოლო ამის შემდეგ მოხდეს წიგნში მუშაობა;
- ასოების შრიფტი რეკომენდებულია, იყოს გაზრდილი და სტრიქონებს შორის არსებობდეს სტანდარტულზე მეტი დაშორება.

ქცევის პოზიტიური მხარდაჭერა

- გააცანით აქტივობათა თანმიმდევრობა;
- გაზარდეთ უკუკავშირის სიხშირე და რაოდენობა;
- გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასება;
- გამოიყენეთ მზერით კონტაქტი და ხმის მოდულაცია ყურადღების შესანარჩუნებლად;
- ზოგჯერ შესთავაზეთ, რომ ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ, მოსწავლემ მინიმუმ 2 ალტერნატივიდან თავად აირჩიოს, რის გაკეთება სურს;
- გამოიყენეთ რუტინის, პროცედურებისა და საფეხურების ვიზუალური ან გრაფიკული გამოსახულება;
- დასვით მოსწავლე ფანჯრების, კარის, აქტივობებისა თუ გადაადგილების არეებისგან მოშორებით;
- შეაქეთ მოსწავლის მცირე ძალისხმევაც კი, გაუმჯობესებული შედეგი;
- ხელი შეუწყვეთ მეტაკოგნიტური უნარების საწყის დონეზე განვითარებას, კერძოდ, დაკვირვება საკუთარი სწავლის პროცესზე, დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევევის ფორმირება, სასწავლო საქმიანობის ორგანიზებისთვის საჭირო ჩვევების დაუფლება.



კითხვის სწავლების დამხმარე აქტივობები

1. ასოების ცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების ცნობა, დასახელება, გარჩევა
- აღქმა და ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარი
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ზომის თაბახის ფურცლებზე ამობეჭდილი ასოები ვრცელი კონტურებით
- ✓ სხვადასხვა ფერის დაჭრილი საწრუპები, ღილები, მძივები.

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფურცლებზე წინასწარ დახატეთ სხვადასხვა მარტივი ასოები, ან ამობეჭდეთ. ერთი ასო უნდა ავსებდეს მთლიან ქაღალდს და იყოს საკმაოდ დიდი ზომის, ფართე კონტურებით. მოსწავლემ კონტურებს შორის არსებული სივრცე უნდა შეავსოს მძივებით, დაჭრილი საწრუპებით, ან პატარა ღილებით. მუშაობისას ხშირად გაუხმოვანეთ მოქმედებები: „ეს არის ასო „ა“, ასო „ა“ ნელ ნელა ივსება, ახლა შევუვსოთ ასო „ბ“ -ს მუცელი“ და ა.შ

2. ასოების შესაბამება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარები
- შემეცნებითი უნარები - ანალოგიები
- ვიზუალური დისკრიმინაცია - თვალსაჩინო მასალებში დეტალების შემჩნევის, ფიგურებსა და ფორმებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირების უნარი
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამედიცინო ჩხირები
- ✓ მუყაოს ყუთი



<u>აქტივობის აღწერა:</u>

დიდ მუყაოს ქაღალდში ამოჭერით მცირე ადგილები, ისე რომ სამედიცინო ხის ჩხირი ადვილად ჩამაგრდეს. ამოჭრილ ადგილებთან დაწერეთ ანბანის ასოები, ასევე ანბანის ასოები დააწერეთ ჩხირებს. მოსწავლემ უნდა მოძებნოს შესაბამისი ასო და ის ჩხირი ჩაარჭოს ყუთში.

სამიზნე ასოების რაოდენობა შეარჩიეთ მოსწავლის სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, დაიწყეთ ნაცნობი ასოებით და თანდათან შემოიტანეთ ახალი სიმბოლოებიც.

ამ აქტივობის გართულებული ვარიანტია, ჩხირებზე სიტყვების დაწერა და შესაბამისი ადგილების მოძებნა.

3. ასოების ცნობა და შესაბამება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა - ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ნატიფი მოტორული უნარები
- შემეცნებითი უნარები - დაჯგუფება, მიმდევრობა
- ყურადღების კონცენტრაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მუყაოს ქაღალდი
- ✓ პატარა ბარათები დაწერილი ასოებით
- ✓ პლასტმასის ბოთლები და ბოთლის თავსახურავები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ბოთლები გადაჭერით, რადგან თქვენ მხოლოდ ბოთლის ზედა ნაწილი გჭირდებათ, მასზე თავსახურის მორგების მიზნით. მუყაოს ქაღალდზე ამოჭერით ბოთლის თავის მოცულობის ნახვრეტები, დაამაგრეთ ბოთლები ისე, რომ სახრახნისის მოსაჭერი იყოს მუყაოს ზედაპირის ოდნავ ზემოთ. თითოეულ დამაგრებულ ბოთლს დააწებეთ გამოჭრილი ასოები. ასევე ბოთლის თავსახურავებს დააწერეთ ასოები. მოსწავლემ უნდა იპოვოს ერთნაირი ასოები, ბარათზე დაწერილს შეუსაბამოს ბოთლის თავსახურზე დაწერილი და მოარგოს.

4. სიტყვების შესაბამება სურათებთან

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-მოტორული უნარი
- ნატიფი მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი
- სიტყვების იდენტიფიკაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სურათები სხვადასხვა საგნების გამოსახულებით
- ✓ თაბახის ფურცელზე დაწერილი სიტყვები

<u>აქტივობის აღწერა:</u> ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ პატარა სურათები, სხვადასხვა საგნების გამოსახულებით. ასევე ერთი მთლიანი ფურცელი, რომელზეც უჯრებში წერია სიტყვები, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს სიტყვის შესაბამისი სურათი და დაადოს იმ უჯრას, რომელზეც სიტყვა წერია.

- აქტივობის ჩატარებამდე დარწმუნდით, რომ ყველა სიტყვის მნიშვნელობა და სურათები ბავშვისთვის ნაცნობია.

5. სიტყვების აწყობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების იდენტიფიკაცია
- სიტყვების შედგენა
- ნატიფი მოტორიკა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ხის სამედიცინო ჩხირები
- ✓ ფურცელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

თაბახის ზომის ფურცლები გადაკეცეთ ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები, ხის ჩხირებს კი დააწერეთ ასოები. თაბახის გადაკეცილ ქვედა მხარეს დაწერეთ სამიზნე სიტყვა, მოსწავლემ უნდა იპოვოს/შეარჩიოს ჩხირების გროვიდან შესაბამისი ასოები და თანმიმდევრობით ჩააწყოს გადაკეცილ ფურცელში, ისე რომ ასოები განლაგდეს სიტყვის შემადგენელი ასოების შესაბამისად.

6. საკუთარი სახელის აწყობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სახელის იდენტიფიკაცია
- აღქმა (ტაქტილური, მხედველობითი)
- ვიზუალურ მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მოსწავლის/მოსწავლეთა ფოტოები
- ✓ ხის ან პლასტმასის ასო-ბგერები



<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს სთხოვეთ ფოტოების გასწვრივ ააწყოს საკუთარი სახელი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: ნიმუშის მიხედვით აწყობა, მინიშნება, გამოტოვებული ასოს ჩასმა, პირველი და ბოლო ასოს იდენტიფიკაცია და სხვა.

7. ასოების ცნობა და სიტყვის გამთლიანება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების ცნობა, იდენტიფიკაცია
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ხის სარეცხის სარჭები
- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სარეცხის ხის სარჭებს დააწერეთ ასოები. ბარათებზე დაწერეთ სამიზნე სიტყვები, მათ შორის ბავშვის სახელი. სთხოვეთ მოსწავლეს მოძებნოს შესაბამისი ასოს გამოსახულების მქონე სარჭი და მოარგოს ასოს გასწვრივ ბარათზე.

შესაძლებელია, პირველ ეტაპზე მხოლოდ საკუთარი სახელის შესაბამისი ასოები დავაწეროთ სარჭებს, ხოლო ბარათზე ბავშვის სახელი.

დახმარების მიზნით, შესაძლებელია, მოსწავლეს ხის სარჭები თანმიმდევრობით მივაწოდოთ, შემდეგ ავურიოთ და წავახალისოთ, დამოუკიდებლად მოძებნოს შესაბამისი ასოები.

8. სიტყვების სინთეზი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა
  მუშა მეხსიერება
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ერთჯერადი პლასტმასის კოვზები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ერთჯერად პლასტმასის კოვზებს დააწერეთ სხვადასხვა ასოები, ამით შექმნით მოძრავ ანბანს.

სთხოვეთ ბავშვს ააწყოს სიტყვები. ამ მიზნით, პირველ ეტაპზე, გამოიყენეთ ნიმუში, ასევე, მოდელირების სტრატეგია, შემდეგ უკვე დამოუკიდებლად წაახალისეთ სიტყვების აწყობაში.

9. სარკისებური ასოების გარჩევა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წაკითხულის გაგება;
- ბგერებისა და მარცვლების სიტყვებად გაერთიანება;
- ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მუყაოს ერთჯერადი ჭიქები
- ✓ ფურცლები
- ✓ ფანქრები ან ფლომასტერები
- ✓ ბარათზე დაწერილი სიტყვები, რომლებშიც არის „შ“ და „წ“ ასოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ მუყაოს 2 ჭიქა, ან კონტეინერი. ერთს დააწერეთ „შ“, ხოლო მეორეს „წ“. პატარა ფურცლებზე დაწერეთ სიტყვები, რომელთაგან ზოგიერთი შეიცავს ასოს „ჭ“, ხოლო ზოგიერთი - „წ“-ს. მოსწავლეს სთხოვეთ, წაიკითხოს სიტყვები და მოათავსოს შესაბამის ჭიქაში. გამარტივებისთვის სიტყვასთან ერთად შესაძლებელია, სიტყვის შესაბამისი ვიზუალური ხატის, სურათის დართვაც. მასალად შესაძლებელია სხვა სარკისებური ასოების, მსგავსი მოხაზულობის, ან მსგავსად მჟღერი ბგერების შემცველი სიტყვების გამოყენება.

შოშია

წერო

წერო

წიწილა

10. ასოების გამოძერწვა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-მოტორული-თვალისა და ხელის შეთანხმებულად მოქმედება;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალური დისკრიმინაცია - და ფორმებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მუყაოს ქაღალდი
- ✓ პლასტელინი
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მუყაოსგან გამოჭერით პატარა ბარათები, დააწერეთ სხვადასხვა ასოები, ისე რომ კონტურები შედარებით ფართო იყოს. სთხოვეთ მოსწავლეს აიღოს პლასტელინი, მისცეს პლასტელინს გრძელი ფორმა და ამოავსოს ასოები. თავდაპირველად თქვენ აჩვენეთ მაგალითი, ნიმუში, შემდეგ ცდაზე დაეხმარეთ გააკეთოს დამოუკიდებლად.

11. ასოების ცნობა და ვიზუალურ - სივრცითი მახასიათებლების გარჩევა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ცარცი
- ✓ პატარა ზომის ლეგოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ასფალტზე დაწერეთ (ან ბავშვს სთხოვეთ დაწეროს) ასოები, ან სიტყვები. სთხოვეთ მოსწავლეს ისე დააწყოს შემოვლებულ ცარცის მოხაზულობას ლეგოები, რომ შეინარჩუნოს ასოების ფორმა. შესაძლებელია, ლეგოების მაგივრად, პატარა ზომის კენჭების გამოყენება.

12. სიტყვების გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების ამოკითხვა
- კითხვისას მინიშნებების გამოყენება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელი
- ✓ საწერი კალამი
- ✓ ფლომასტერები ან მარკერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



დაწერეთ სიტყვათა შეთანხმებები:

1) ყვითელი ავტობუსი
2) წითელი ვაშლი
3) მწვანე ბალახი
4) ლურჯი ცა
5) სტაფილოსფერი გოგრა

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები გააფერადეთ შესაბამისი ფერის ფლომასტერით, მოსწავლე ასე ისწავლის კითხვისას მინიშნებების გამოყენების ტექნიკას.

შემდეგ ჯერზე აღარ დაფეროთ სიტყვები, მოსწავლეს სთხოვეთ წაიკითხოს და გააფერადოს სიტყვა შესაბამისი ფლომასტერით, უკვე დამოუკიდებლად.

13. წინადადების ეტაპობრივი წაკითხვა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების გაერთიანება წინადადებებში
- რამდენიმე სიტყვიანი წინადადების ამოკითხვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელი
- ✓ საწერი საშუალება: ფლომასტერი, ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



იმისთვის, რომ ბავშვს გაუადვილდეს რამდენიმესიტყვიანი წინადადების ამოკითხვა, გამოიყენეთ შემდეგი ტექნიკა

ფურცლის **პირველ** ხაზზე დაწერეთ: გიორგის უნდა...

ფურცლის **მეორე** ხაზზე დაწერეთ: გიორგის უნდა ბურთით ...

ფურცლის **მესამე** ხაზზე დაწერეთ: გიორგის უნდა ბურთით თამაში ...

ფურცლის **მეოთხე** ხაზზე დაწერეთ: გიორგის უნდა ბურთით თამაში ეზოში ...

ფურცლის **მეხუთე** ხაზზე დაწერეთ: გიორგის უნდა ბურთით თამაში ეზოში მეგობართან ერთად.

აქტივობის ბოლოს, მოსწავლეს დაეხმარეთ გააკეთოს წინადადების ანალიზი, მიუთითოს ის სიტყვები, რომლებიც ეტაპობრივად ემატებოდა, დაითვალოს სიტყვები, შექმნას შესაბამის ნახატი ან ააწყოს კოლაჟი წინადადების შნაარსის მიხედვით.

14. სიტყვის მნიშვნელობის გაგება - გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარები
- აღქმა და ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი
- სიტყვის გაგება - გააზრება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ✓ ფურცელი;
- ✓ კალამი;
- ✓ ფლომასტერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფურცელზე დაწერეთ რამდენიმე წინადადება, რომელიც მოიცავს ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს:

- მე ვხედავ მწვანე ფოთოლს
- მე ვხედავ ყავისფერ ფოთოლს
- მე ვხედავ წითელ ფოთოლს
- მე ვხედავ ყვითელ ფოთოლს

თითოეულ წინადადებას გვერდით მიახატეთ გასაფერადებელი ფოთოლი. მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და წინადადებაში აღნიშნული ფერის შესაბამისად გააფერადოს წინადადების გვერდით დახატული გასაფერადებელი ფოთოლი.

აქტივობის, გახალისების, გამრავალფეროვნებისა და მულტიმოდალური სტრატეგიის შემოტანის მიზნით, სასურველია, რეალური ფოთლების, ან სხვადასხვა ფერის ქაღალდისგან გამოჭრილი ფოთლის ფერადი ფორმების გამოყენებაც.

15. სიტყვის შესაბამება სურათთან

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარები
- აღქმა და ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი:

- ✓ დაბეჭდილი/დაწერილი სიტყვები;
- ✓ სიტყვის შესაბამისი სურათები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შეარჩიეთ მოსწავლისთვის იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომლის კითხვით სწავლაც მისთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტულია, სასწავლო თემებიდან გამომდინარე. თითოეულ ჯერზე სამიზნედ აიღეთ 3 უკვე ნასწავლი და 1 ახალი სიტყვა. მოსწავლემ უნდა ამოიკითხოს და მოძებნოს სიტყვის შესაბამისი სურათი.

16. ლექსიკური მარაგის გამდიდრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წიგნის მიმართ ინტერესის გაღვივება
- წიგნებში სურათების მოძებნა
- სურათის აღწერა
- ტექსტის და სურათის გარჩევა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

✓ ერთი ცალი დასურათებული წიგნი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ წიგნი, მნიშვნელოვანია წიგნი იყოს დასურათებული. მიეცით ინსტრუქცია: „დაათვალიერე წიგნი და შეარჩიე სურათი, რომელიც მოგეწონება“. ამისთვის მიეცით დრო - 5-7 წუთი. მიეცით საშუალება ითამაშოს წიგნით, გადაშალოს, შეჩერდეს რომელიმე ნახატზე. ბოლოს უნდა შეარჩიოს ერთი რომელიმე გვერდი, რომელმაც დააინტერესა და აღწეროს სურათი, დახმარებით ან დამოუკიდებლად.

17. ტექსტის მოსმენა, გაგება-გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა:

- წაკითხული მოსმენა
- მოსმენილის გამეორება
- მეხსიერება
- კონცენტრაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი:

- ✓ წიგნი
- ✓ წიგნში შერჩეული რომელიმე ტექსტი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

დაჯექით ან მოთავსდით ბავშვთან პირისპირ. გადაშალეთ წიგნი და შეარჩიეთ რომელიმე მარტივი ტექსტი. აუხსენით მოსწავლეს, რომ ახლა თქვენ წაიკითხავთ პაუზებით ტექსტს და მან უნდა გაიმეოროს მოსმენილი წინადადება. წაიკითხეთ პირველი წინადადება, სთხოვეთ, გაიმეოროს, შემდეგ მეორე წინადადება და ა/შ. პირველ ჯერზე 5-6 სამსიტყვიანი წინადადებისგან შემდგარი ტექსტი საკმარისია. თუ მოსწავლეს უჭირს პირველივე ჯერზე მოსმენილი წინადადების გამეორება, წაუკითხეთ მეორედ და მესამედაც. შემდეგ დაუსვით ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული კითხვები. დაეხმარეთ პასუხების გახსენებაში თვალსაჩინო მასალებზე, ილუსტრაციებზე მინიშნებით.

18. სიტყვების სინთეზი, გაგება-გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა:

- სახელდება
- სიტყვების აწყობა
- ასოების ცნობა
- ასოების თანმიმდევრობის დაცვა სიტყვაში

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი:

- ✓ ნივთები, სათამაშოები
- ✓ მოძრავი ანბანი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მიეცით მოსწავლეს თვალსაჩინო მასალა (ან რეალური საგანი) და მისი დასახელების შესაბამისი მოძრავი ანბანის ასოები. სთხოვეთ ააწყოს შესაბამისი სიტყვა.

19. ლექსიკური მარაგის გამდიდრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი;
- ასოების ცნობა, განმტკიცება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ პატარა ბარათებზე დაწერილი ასოები
- ✓ ქუდი ან ტომარა

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ტომარაში (ან ქუდში) ჩაყარეთ ის ასოები, რაც მოსწავლისთვის უკვე ნაცნობია. მოსწავლემ რიგ-რიგობით უნდა ამოიღოს ასოები ტომრიდან და დაასახელოს.

შესაძლებელია დამატებითი აქტივობის გამოყენებაც, მოიფიქროს სიტყვა, რომელიც იწყება სამიზნე ასო-ბგერაზე, მაგ. „მ“ - მანქანა. თუ დამოუკიდებლად არ შეუძლია მოფიქრება, თქვენ დაასახელეთ სიტყვები, რომლებიც ამ ასოზე იწყება და ბავშვისთვის ნაცნობია, სთხოვეთ, თქვენთან ერთად გაიმეოროს. ჩაატარეთ აქტივობა წყვილში ან/და ჯგუფში.

20. სიტყვების ფონოლოგიური ანალიზი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- ნასწავლი ასოების განმტკიცება
- სიტყვაში პირველი ასოს იდენტიფიცირება
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი;
- შემოქმედებითობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელზე დაწერილი ასოები
- ✓ ოთხკუთხედში ჩაწერილი სიტყვები
- ✓ ფლომასტერები/მარკერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მაგიდაზე დადეთ ფურცელზე დაწერილი ორი ასო, მაგალითად „დ“ და „ლ“.
„დ“ გააფერადეთ წითლად, „ლ“ მწვანედ.
მიაწოდეთ ბავშვს ცხრილში დაწერილი რამდენიმე სიტყვა: „ლომი, დათვი, ლეღვი, დოლი“. სთხოვეთ მოსწავლეს, ის სიტყვები, რომლებიც „დ“ ზე იწყება გააფერადოს წითლად, ხოლო, „ლ“ - ზე - მწვანედ.

21. ასოების ცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორიკა
- ასოების იდენტიფიცირება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დიდ ფორმატზე ამობეჭდილი/დაწერილი ცალკეული ასოები
- ✓ მაკრატელი
- ✓ ფლომასტერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

თაბახის ფურცელზე ამობეჭდეთ სამიზნე ასოები. მოსწავლემ უნდა გამოჭრას შესაბამისი ასოები. გააფერადოს, თუ შესაძლებელია ააწყოს მათგან სიტყვა მაგიდის ფართო ზედაპირზე, ან იატაკზე.

22. ფუნქციური კითხვა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების ვიზუალური ხატის დამახსოვრება
- ფუნქციური კითხვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სურათები, რომლებზეც ხატია: აფთიაქი, მაღაზია, სკოლა, ბანკი და აქვს შესაბამისი წარწერები
- ✓ სურათის ამსახველი შესაბამისი წარწერების ცალკეული ბარათები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლემ უნდა ამოიკითხოს სიტყვა და შეუსაბამოს შესაბამის თვალსაჩინო მასალას.

23. იდენტური სიტყვების მოძიება ტექსტში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების იდენტიფიცირება
- ნაცნობი სიტყვების მოძებნა
- სიტყვების ამოკითხვის განმტკიცება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დაბეჭდილი/დაწერილი ტექსტი, სადაც მეორდება ერთი და იგივე სიტყვა 3-ჯერ ან 5-ჯერ.

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს მიეცით დაბეჭდილი ტექსტი, შრიფტით 20 ან 24. მაგალითად,

„ანას დედამ ბურთი უყიდა. ბურთი მწვანეა. ბურთი მრგვალია. ანას ბურთი მოსწონს. ანას ბურთი ეზოში გაგორდა. ბურთი მამამ სახლში შემოიტანა.“

მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ტექსტი და შემოხაზოს ყველა ერთნაირი სიტყვა: „ბურთი“ , „ანას“.

მსგავსი ტექსტების შედგენის დროს გასათვალისწინებელია, რომ სიტყვები იყოს მოსწავლისთვის ნაცნობი, თითოეული წინადადება შეესაბამებოდეს მოსწავლის განვითარების დონეს და შედგებოდეს 2 ან 3 სიტყვისგან, თანდათანობით შესაძლებელია სიტყვების რაოდენობის გაზრდა. საჭიროების შემთხვევაში, ტექსტის შინაარსის გააზრების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია ტექსტის შესაბამისი სურათების გამოყენება ან როლური თამაში .

24. მოსმენილი სიტყვის დაკავშირება სიტყვასთან

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მოსმენილი სიტყვის დაკავშირება ნაწერ ტექსტთან
- სურათის დაკავშირება შესაბამის სიტყვასთან
- ფონოლოგიური უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათები საგნებით, ცხოველების, ფრინველების დასახელებების შესატყვისი სიტყვებით მაგალითად: კატა, ძაღლი, თაგვი
- ✓ ბარათები სიტყვების შესაბამისი გამოსახულებით

<u>აქტივობის აღწერა</u>:

მოსწავლის წინ განათავსეთ ბარათები

1. წარმოთქვით რომელიმე სიტყვა ხმამაღლა. სთხოვეთ მოსწავლეს იპოვოს ბარათი ამ სიტყვის შესაბამისი გამოსახულებით;
2. აჩვენეთ მოსწავლეს სიტყვის შესაბამისი გამოსახულება და სთხოვეთ იპოვოს ბარათი გამოსახულების შესატყვისი წარწერით.

შემდეგ გაცვალეთ როლები და მოსწავლის დასახელებულის და ნაჩვენები გამოსახულების მიხედვით თქვენ იპოვეთ გამოსახულება და სიტყვა.

25. გაწაფული კითხვის მზაობის განვითარება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- კითხვის ტემპის კონტროლი
- ინტონაციების მოსმენა
- მოსმენილი ტექსტის მიდევნება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ *აუდიო მოწყობილობა, კომპიუტერი, ან სმარტფონი*
- ✓ *წიგნი და წინასწარ შერჩეული ტექსტი*
- ✓ *შერჩეული ტექსტის აუდიო ჩანაწერი*

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მიეცით მოსწავლეს ტექსტი და პარალელურად ჩაურთეთ მისი შესაბამისი აუდიო ჩანაწერი. მოსწავლემ თითი უნდა გააყოლოს ტექსტს.

საჭიროების შემთხვევაში, გადაახვიეთ ჩანაწერი და მოსწავლეს წააკითხეთ შესაბამისი ადგილი ხელმეორედ.

სთხოვეთ მოსწავლეს, აუდიო ტექსტიდან შერჩეული მონაკვეთის შესაბამისი ტექსტის წიგნში მოძიება ან პირიქით, მიუთითეთ ტექსტის კონკრეტულ ნაწილზე და სთხოვეთ მოუსმინოს ჩანაწერს და გააჩეროს, დააპაუზოს, იმ ადგილზე, საიდანაც შესაბამისი მონაკვეთის აუდიო გახმოვანება იწყება.

26. ტექსტის ანალიზი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მუშა მეხსიერება
- უშუალო ვერბალური მეხსიერებ
- ყურადღების კონცენტრაცია
- ტექსტში შესაბამისის ადგილის მოძებნა
- წაკითხულის გააზრება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ წიგნი შესაბამისი ტექსტით ან ადაპტირებული ტექსტი

აქტივობის აღწერა:

წააკითხეთ მოსწავლეს ტექსტი, შემდეგ სთხოვეთ იპოვის ტექსტში კონკრეტული მონაკვეთები, დაუსვით შეკითხვები:

მაგალითად სად ეწერა სიტყვა „მგელი“?

სად ეწერა, წინადადება, სადაც „მგელი შეხვდა დათვს?“ და ა.შ

დაეხმარეთ შესაბამისი სიტყვის, წინადადების მოძებნაში, ეს დაეხმარება ტექსტის გააზრებასა და დეკოდირებაში.

27. ტექსტის შინაარსის ანალიზი და გაგება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის შინაარსის თანმიმდევრობის დაცვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი ტექსტის შემადგენელი ცალკეული წინადადებები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წიგნში მოცემული ტექსტის წინადადები პარალელურად ამოწერეთ ცალკეულ ბარათებზე. მოსწავლემ უნდა ააწყოს წინადადებები, ისე რომ დაიცვას ტექსტის შინაარსის თანმიმდევრობა.

28. იდენტური ასოების ცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- იდენტური ასოების ცნობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელი
- ✓ საწერი კალამი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გაუმზადეთ მოსწავლეს ცხრილი, რომლის ორ სვეტში განსხვავებული თანმიმდევრობით ჩაწერილი იქნება ერთი და იგივე ასოები. დაავალეთ იდენტური ასოების/გამოსახულებების პოვნა და ერთმანეთთან დაკავშირება.

ა		ლ
ო		მ
მ		ო
ი		ნ
ნ		თ
ზ		ზ
თ		ნ
ლ		ი

29. ასოების ცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების ცნობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელი
- ✓ ფლომასტერი
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოჭერით ასოები, ოდნავ დიდი კონტურებით. სთხოვეთ მოსწავლეს ასოების გაფერადება. ასოების გაფერადებას აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს ამ ასოს ხშირ-ხშირი გახმოვანება, იმ სიტყვების დასახელება, რომელიც აღნიშნულ ასოზე იწყება.

ა ა

30. ასოების ცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების ცნობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ პლასტელინი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სთხოვეთ მოსწავლეს ასოების გამოძერწვა, ასოების გამოძერწვას თან უნდა ერთვოდეს ასოს მოყვანილობის და მისი ელემენტების დახასიათება. სასარგებლოა რამდენიმე გამოძერწილი ასოს შედარებითი ანალიზიც. მაგ. რით ჰგვანან ერთმანეთ ასოები “ნ” და “ძ” და ა.შ.

31. იდენტური ასოების მოძებნა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების ცნობა
- ვიზუალურ სივრცითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მოძრავი ანბანი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წაახალისეთ მოსწავლე იპოვოს მსგავსი ასოები და დააჯგუფოს ისინი ერთად. ამისთვის შესაძლებელია მოძრავი ანბანის გამოყენება. მიაწოდეთ მოსწავლეს ბარათი ასო "ი"-ს გამოსახულებით და რამდენიმე ბარათი განსვავებული ასოებით (ა, ფ, ი, დ, ი, ტ, ი), სთხოვეთ მოცემულ ასოებში ასო "ი"-ს პოვნა და მათი ერთად გადალაგება.

32. ასოების ცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების ცნობა
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ მოძრავი ანბანი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წაახალისეთ მოსწავლე, იპოვოს მსგავსი ასოები და დააჯგუფოს ისინი ერთად. ამისთვის შესაძლებელია მოძრავი ანბანის გამოყენება. მიაწოდეთ მოსწავლეს ბარათი ასო "ი"-ს გამოსახულებით და რამდენიმე ბარათი განსვავებული ასოებით (ა, ფ, ი, დ, ი, ტ, ი), და დაავალეთ მოცემულ ასოებში ასო "ი"-ს პოვნა და მათი ერთად გადალაგება.

33. სიტყვების გაერთიანება და შინაარსის წვდომა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების შინაარსის წვდომა
- სიტყვის დაკავშირება თვალსაჩინო მასალასთან

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი 1-2 მარცვლიანი სიტყვები
- ✓ ბარათები სიტყვის შესაბამისი გამოსახულებით

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ ბარათების ტექნიკა. სთხოვეთ მოსწავლეს მარტივი 1-2 მარცვლიანი სიტყვის წაკითხვა, ცალკეული ასოს ამოკითხვის შემდეგ, თუკი მოსწავლეს ასოების სიტყვად გაერთიანება გაუჭირდება, მიაწოდეთ ბარათი სიტყვის შესაბამისი გამოსახულებით. გამოსახულება დაეხმარება მოსწავლეს ამოკითხული ასოების სიტყვად გაერთიანებაში და პარალელურად მოხდება ამოკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა.

34. ბგერების სიტყვებად გაერთიანების სტიმულირება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების ფონოლოგიური გაერთიანება
- სიტყვის დაკავშირება თვალსაჩინო მასალასთან

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათები სიტყვის შესაბამისი გამოსახულებითშერჩეული სიტყვების ნაკრები მასწავლებლისთვის

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გაახმოვანეთ სიტყვა (თავდაპირველად 2-3 ასოსაგან შემდგარი), მისი შემადგენელი ცალკეული ასო დაასახელეთ გაწელვით, ბგერებს შორის ინტერვალებით. შესაძლებელია, ტაშის დაკვრაც ყველა ბგერის წარმოთქმის შემდეგ. მოსწავლეს ევალება ბგერების ყურადღებით მოსმენა და განსაზღვრა, თუ რა სიტყვა გამოვიდა. ბგერებს შორის ინტერვალი და სიტყვაში ასოების რაოდენობა მოსწავლის უნარის განვითარების შესაბამისად უნდა განისაზღვროს. იმისთვის, რომ მოსწავლეს მოსმენილი ბგერების სიტყვად გაერთიანება გაუადვილდეს, შესაძლებელია სიტყვის შესაბამისი გამოსახულების მქონე ბარათის გამოყენება; შემდგომ, სასურველია, მოსწავლეს დავავალოთ სიტყვის შემადგენელი ბგერების მოსმენა და რამდენიმე ბარათს შორის არჩევანის გაკეთება.

35. წინადადების დაბოლოება ან წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის ჩასმა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წინადადების გაგება-გააზრება
- სიტყვის დაკავშირება თვალსაჩინო მასალასთან

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ ბარათები დაწერილი სიტყვების შესაბამისი გამოსახულებით
- ✓ ბარათებზე დაბეჭდილი/დაწერილი წინადადებები (წინადადებები სერჩეული უნდა იყოს მოსწავლის აქტუალური განვითარების დონის შესაბამისად)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლის წინ განათავსეთ ბარათებზე დაბეჭდილი/დაწერილი წინადადებები, რომლებშიც თითო სიტყვა გამოტოვებული იქნება. გამოტოვებული სიტყვა კი ცალკე, შედარებით მომცრო ზომის ბარათებზე დაწერეთ. მოსწავლემ ამ დავალების შესრულების მიზნით, უნდა წაიკითხოს წინადადება, შემდეგ ცალკე სიტყვები და გამოტოვებული სიტყვა განათავსოს შესაბამის ადგილზე. თუ მოსწავლეს უჭირს შესაბამისი სიტყვის მოძიება, მას დაურთეთ თვალსაჩინო მასალაც.

36. კითხვის ინტონაციის განვითარება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სხვადასხვა ინტონაციით კითხვის უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ კითხვითი, თხრობითი, ბრძანებითი წინადადებების ნაკრები;
- ✓ დიალოგური ტექსტი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

პროსოდიკის (ინტონაციის) დარღვევის შემთხვევაში, ეფექტურია შემდეგი ტიპის სავარჯიშოები: სხვადასხვა ტიპის წინადადებებს (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი) სწორად დაუსვან სასვენი ნიშნები; გადააკეთონ თხრობითი წინადადება კითხვითად, ბრძანებითად და შესაბამისად ცვალონ ინტონაცია.

აღნიშნული სავარჯიშოს გამოყენების პროცესში ეფექტურია დიალოგის როლური გათამაშება, რაც გულისხმობს სიმულაციურ თამაშს, მაგალითად ჟურნალისტის და რესპოდენტის როლის გათამაშება, მყიდველის და გამყიდველის ურთიერთობის გათამაშება და სხვა.

37. სიტყვების კითხვა და ფონოლოგიური ანალიზი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანბანის პრინციპის გააზრება
- სიტყვების ფონოლოგიური ანალიზი
- სიტყვის პირველი ასოს ანბანურ თანმიმდევრობასთან დაკავშირება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ ანბანი (მოძრავი/ფურცელზე დაწერილი)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ბარათებზე (8X5) დაწერეთ სხვადასხვა სამიზნე სიტყვები, რაოდენობა სირთულე განსაზღვრეთ ინდივიდუალური სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. მოსწავლის წინ განათავსეთ ანბანი, მოსწავლემ უნდა აიღოს ბარათი, წაიკითხოს სიტყვა და განათავსოს ანბანური პრინციპით (დააწყოს ანბანური თანმიმდევრობით, სიტყვების პირველი ასოს მიხედვით)

38. მოიფიქრე სიტყვები და დახატე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანბანის ცოდნა
- დეკოდირება
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფანქრები
- ✓ ფურცლები
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მას შემდეგ რაც დავრწმუნდებით, რომ მოსწავლემ საშუალოდ 7-8 ასოს ცნობა იცის, გამოჭრილ ან ბარათებზე დაწერილ ასოებს განვათავსებთ მოსწავლის წინ და ვთხოვთ, მოიფიქროს რაიმე სიტყვა, რომელიც ამ ასოებზე იწყება, დასაწყისისთვის ვეხმარებით, ვუსახელებთ ნიმუშს, ან მინიშნების მიზნით ვაჩვენებთ თვალსაჩინო სურათს. მოფიქრებული სიტყვის შესაბამისი გამოსახულება მოსწავლემ უნდა დახატოს.

39. სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ ბარათების ტექნიკა. სთხოვეთ მოსწავლეს რამდენიმე სიტყვის წაკითხვა (სიტყვები დაწერეთ ბარათებზე), ასოების წაკითხვის შემდეგ, წაახალისეთ წაკითხული სიტყვის სრულად წარმოთქმა. იმისათვის, რომ ამოკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა გაუადვილდეს, მიაწოდეთ ბარათი შესაბამისი გამოსახულებით. რამდენიმე სიტყვის დამუშავების შემდეგ, მოსწავლეს მიეცით რამდენიმე ბარათი და სთხოვეთ მიუთითოს იმ ბარათზე, რომლის შესაბამისი სიტყვაც ამოიკითხა. მოსწავლე წაახალისეთ ყოველი ამოკითხული სიტყვის, შესაბამის ბარათთან დაწყვილებისას.

40. სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი
- იდენტური სიტყვების პოვნა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ცხრილი შესაბამის სიტყვებით
- ✓ საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სთხოვეთ მოსწავლეს ცხრილის სხვადასხვა სვეტში მოცემული მსგავსი სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება, ხაზებით შეერთება. მნიშვნელოვანია, წასაკითხი სიტყვები მოსწავლის არსებული ლექსიკის და თავად სიტყვათა სირთულის გათვალისწინებით ეირჩეს. დავიწყოთ მარტივი ორ-სამმარცვლიანი არსებითი სახელებით, შემდეგ შესაძლებელია მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ჩართვაც, შესაბამისი ბარათების გამოყენებით. იდეალურ შემთხვევაში, იმისათვის, რომ მოსწავლის ინდივიდუალური სამუშაო საკლასო კონტექსტთან იყოს მიახლოებული, სიტყვები, საკლასო თემის გათვალისწინებით, შესაბამისი ტექსტიდან შეარჩიეთ და წინასწარ მოამზადეთ.

კატა		გოგო
ეზო		კატა
თაგვი		ძმა
გოგო		ბურთი
ძმა		თაგვი
ბურთი		ეზო

41. გაასწორე შეცდომები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს ვაძლევთ ბარათებს გამოსახულებებით, ბარათებს ქვეშ შესაბამისი სიტყვები აქვთ მიწერილი. სიტყვები შეცდომით არის დაწერილი (ასოები გამოტოვებული, გადანაცვლებული, გამეორებული ან ჩანაცვლებულია). მოსწავლეს ევალება ინსტრუქციის შესაბამისად, იპოვოს შეცდომები დაწერილ სიტყვებში და გაასწოროს.

42. ჩაამატე გამოტოვებული ასო

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს მივაწოდოთ ბარათი გამოსახულებით, მისი შესაბამისი სიტყვა დაწერილი უნდა იყოს რამდენიმე ასოს გამოტოვებით. მოსწავლემ

ყურადღებით უნდა წაიკითხოს მოცემული სიტყვა და ბარათის გამოსახულების გათვალისწინებით, შესაბამის ადგილას ჩაამატოს გამოტოვებული ასოები.

43. გადაბმულად დაწერილი სიტყვების გარჩევა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე ინტერვალის გარეშე დაწერილი სიტყვები
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს ვაძლევთ ბარათზე დაწერილ სიტყვებს, რომლებიც გადაბმულად არის დაწერილი, არ არის დაცული სიტყვებს შორის ინტერვალი, მაგალითად:

ცამზეძაღლიბავშვი

მოსწავლემ უნდა ამოიკითხოს დაწერილი და შეძლოს კალმის ან მარკერის ჩამოსმით სიტყვების გამოცალკევება.

თავდაპირველად, სასურველია, ვაჩვენოთ ნიმუში, ჩვენ თვითონ გავაკეთოთ დემონსტრირება მის თვალწინ, შემდეგ ვთხოვოთ გაიმეოროს მოქმედება.

საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურია სიტყვების შესაბამისი ვიზუალური მასალის, სურათების გამოყენება.

44. სიტყვების გარჩევა და დაშორება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს წინ დაუდეთ ფურცელზე დაწერილი ასოების უაზრო რიგში ჩასმული სიტყვები (მაგ: აგჭბუდფპმზელკწსახლიჰგფჭიქაზხც)

მოსწავლეს მიაწოდეთ ბარათები საპოვნელი სიტყვების წარწერით და დაავალეთ, მოცემული სიტყვების ასოთა რიგში მოძებნა და გახაზვა, ან მარკერით გაფერადება.

აგჭბუდფპმზელკწსახლიჰგფჭიქაზხც

თუ, მოსწავლეს უჭირს აღნიშნული დავალების შესრულება, გამოიყენეთ შემდეგი სახის დამხმარე სტრატეგია: სიტყვები გააფერადეთ მეტი თვალსაჩინოებისთვის.

აგჭბუდფპმზელკწსახლიჰგფჭიქაზხც

45. წაკითხულის გაგების სტიმულირება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ წინასწარ შერჩეული ტექსტი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გააცანით მოსწავლეს ტექსტის კონტექსტი უშუალოდ კითხვის დაწყებამდე ჰკითხეთ რა იცის მან მოთხრობაში, ლექსში აღწერილი მოვლენების შესახებ. შეეცადეთ მოიპოვოთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. მაგ. თუკი მოთხრობა არის დათვებზე, შესაბამისად დაინტერესდით თუ რა იცის მოსწავლემ დათვების შესახებ, უნახავს თუ არა ზოოპარკში, რომელ მულტფილში უნახავს, რა იცის დათვზე, დიდია, ყავისფერია, თეთრია, უყვარს თაფლი ა.შ. წაახალისეთ მოსწავლე, გადმოგცეთ თავისი ცოდნა. შემდეგ წააკითხეთ ტექსტი და დაუკავშირეთ ეს ინფორმაცია წარსულში ნასწავლ მასალას და ცნებებს, სთხოვეთ მოსწავლეს ჩაწეროს ან დახატოს ძირითადი საგნები, აზრები და ცნებები, რომელიც განიხილეთ.

46. ლექსიკონი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბლოკნოტი, რომელიც ლექსიკონის ფუნქციას შეასრულებს,
- ✓ ლექსიკონში ჩაწერილი სიტყვების შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შექმენით მოსწავლისთვის ინდივიდუალური ლექსიკონი – ახალი ტექსტის კითხვისას, ბავშვთან ერთად, ჩაწერეთ ყველა ის სიტყვა, რომელიც უცხოა და ახალი ბავშვისთვის. შემდეგ სთხოვეთ ბავშვს თითოეულ მათგანს მიუწეროს ახსნა-განმარტება ან მიუხატოს შესაბამისი გამოსახულება. შესაძლებელია შესაბამისი გამოსახულების ჩაკვრაც. თავისი ხელით ჩაწერილი ახსნა-განმარტებები დაეხმარება მას სიტყვების მნიშვნელობის უკეთ დამახსოვრებაში.

47. ტექსტის გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბავშვის განვითარების აქტუალური დონის გათვალისწინებით შერჩეული ტექსტი
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

დრო დაუთმეთ ტექსტის დამუშავებას – ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ გამოკითხეთ: რა იყო მოთხრობის მთავარი აზრი? ვინ არიან მოთხრობის მთავარი გმირები? სად და რა ხდებოდა მოთხრობაში? ეცადეთ ბავშვმა ეს ინფორმაცია საკუთარი სიტყვებით გადმოგცეთ, რათა მოხდეს ტექსტის უფრო ღრმა გააზრება და ბავშვს უკეთ დაამახსოვრდეს შინაარსი.

ტექსტში მარკერით მნიშვნელოვანი შესაბამისი ადგილები, იგივე მარკირების მეთოდი ასწავლეთ მოსწავლესაც.

შესაძლებელია ნახატის შექმნის წახალისებაც. ტექსტში დასახელებული ნივთების დახატვა.

48. დიალოგი, როლური თამაში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის შინაარსის გაგების სტიმულირება
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი
- ინტონაციებით კითხვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ადაპტირებული ტექსტი, დიალოგი
- ✓ მისი შესაბამისი თვალსაჩინოებები (საჭიროების შემთხვევაში)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ როლური თამაში, წაიკითხეთ დიალოგი, ტექსტი შესაბამისი ინტონაციების გამოყენებით. დასვით დამაზუსტებელი კითხვები. ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით, მიაწოდეთ ბავშვს დამატებითი ინფორმაცია, მისთვის გასაგები ფორმით, განუმარტეთ ტექსტში მოცემული უცხო სიტყვები და ა.შ.

49. წაკითხული ტექსტის მიხედვით ინსტრუქციების შესრულება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვის, წინადადების შინაარსის გაგების სტიმულირება
- ლექსიკური მარაგი
- ინტონაციებით კითხვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათებზე დაწერილი ინსტრუქციები
- ✓ ტომარა ან ქუდი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ ბარათები, თითოეულ მათგანზე დაწერეთ სხვადასხვა ადვილად შესასრულებელი ინსტრუქცია, მაგალითად, დადექი დაფასთან, აიღე წიგნი, დაასახელე შენი საყვარელი ცხოველი, მაჩვენე ფანქარი, ახტი ორი ფეხით ორჯერ და სხვ.

მოსწავლემ ტომრიდან (შესაძლოა, გამოიყენოთ ქუდი) უნდა ამოიღოს ინსტრუქციები თანმიმდევრულად, წაიკითხოს და შეასრულოს.

50. კითხვის სპინერი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის გააზრება
- რეფლექსია
- ტექსტის ანალიზი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ წინასწარ მომზადებული დასამუშავებელი ტექსტი
- ✓ ხელნაკეთი სპინერი (ქაღალდის ან მუყაოსგან გამოჭრილი)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლესთან ერთად შექმენით სპინერი. ეს კეთდება შემდეგნაირად: გამოჭერით ფურცლისგან წრე გაყავით რამდენიმე ნაწილად და თითოეულ ნაწილში ჩაწერეთ შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება ტექსტის ანალიზში. ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ტექსტის გაანალიზების მიზნით, მოსწავლეს სთხოვეთ დაატრიალოს ისარი და რომელ ნაწილზეც გაჩერდება, იმ ნაწილზე დაწერილ შეკითხვას გასცეს პასუხი. შეკითხვები შეარჩიეთ მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

თავი I I

წერის უნარის განვითარება

წერა რთულად ორგანიზებული ფსიქიკური ოპერაციაა, რომლის დაუფლებაც სხვადასხვა უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს. წერის უნარის ათვისება წარმოადგენს გაცნობიერებულ აქტს, რომლის დაუფლებაც სპეციალურად დაგეგმილი დასწავლის პროცესში ხორციელდება. წერა არის სიმბოლოებისა და გრაფიკული გამოსახულებების მეშვეობით ენის გამოყენების პროცესი. წერა დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, როგორებიცაა: კალმის ხელში სწორად დაჭერა, ხაზებისა და ფიგურების კოპირება, ასოების ფორმის გამოსახვა, ასოთა რეგისტრების დაცვა, სიტყვებისა და წინადადებების ჩაწერა. წერის სწავლების პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას, მოტორულ კომპონენტს, ვიზუალურ - მოტორულ უნარებს, ვიზუალურ სივრცით უნარებს, ასევე მნიშნელოვანია სხვადასხვა დამხმარე საშუალებების გამოყენება წერის პროცესის დაუბრკოლებლად ათვისებისა და განხორციელებისთვის.

წერის უნარის ათვისება მოითხოვს წერის ტექნიკური წინაპირობების გავარჯიშებას და მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ ხდება ის ავტომატური პროცესი.

წერის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ცალკეული ასოების მხოლოდ გადაწერის (კოპირების) დასწავლა წერის უნარის განვითარებას ვერ შეუწყობს ხელს. პარალელურად აუცილებელია სიტყვის შემადგენელი ერთეულების – ბგერების აღქმასა და გარჩევაზე მუშაობა. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებთან ამ უნარის განვითარება წინ უსწრებს ასოების ჩაწერის უნარის განვითარების პერიოდს. ასევე, წერისას ასოების მხოლოდ გრაფიკულ გამოსახულებაზე მუშაობა და მოსწავლეში ამ უნარის ცალკეული განვითარება ვერ შეუწყობს ხელს წერის სრულფასოვან ათვისებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები წერის სწავლისას სხვადასხვა სირთულეებს აწყდებიან. შესაძლებელია, მოსწავლეს სირთულეები წერის სწავლისას ნებისმიერ ეტაპზე შეექმნას, მათ შორის ასოების მოხაზულობის, კარნახით წერის, გადაწერის, დამოუკიდებლად წერის, სიტყვებში ასოების სწორად განლაგების, წინადადების წერილობით ჩამოყალიბების, აზრის წერილობით ჩამოყალიბების და სხვა.

წერის სირთულეები შესაძლოა აღენიშნებოდეთ ინტელექტუალური დარღვევის, მეტყველების დარღვევის, სწავლის უნარის დარღვევის, სმენის სირთულეების მქონე და სხვა მოსწავლეებს.

ეს სირთულეები შესაძლოა დაკავშირებული იყოს შემდეგ საკითხებთან:

- კალამი უჭირავს არასწორი ჩაჭიდებით
- წერისას ასოები არათანაბარია
- მოსწავლეს უჭირს დასახელებული ასოს (ან შემდგომ ეტაპზე სიტყვის, წინადადების) უშეცდომოდ ჩაწერა
- ერთმანეთში ერევა მსგავსი მოხაზულობის ასოები („შ“ და „წ“ ; „მ“ და „ნ“)
- ერთმანეთში ერევა ფონემურად მსგავსად მჟღერი ასოების კარნახით ჩაწერა („ბ“ და „პ“)
- ვერ იცავს ზედა და ქვედა ასოების რეგისტრს
- დროში გახანგრძლივებულია წერის სწავლების პროცესი
- უჭირს ასოების გრაფიკული გამოსახულების ზუსტი დამახსოვრება;
- უჭირს ასოების გრაფიკული გამოსახულებების სწორად მოხაზვა - ფორმის,

ზომის, დახრილობის ზუსტი გადმოცემა;

- სირთულეები ექმნება ასოების რვეულის სიბრტყესა და ბადეში მოთავსებისას (წერას იწყებენ რვეულის შუაში, ასოები დიდი ზომისაა და არ ეტევა ბადეში, ასოებს შორის დიდია ინტერვალი ან პირიქით - ასოები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა და არ არის დაცული ინტერვალი);
- სიტყვების ჩაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს,
- არ ასრულებს სიტყვებს ბოლომდე;
- წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს;
- ზოგჯერ წერისას აღენიშნება ჯდომის მოუხერხებელი პოზა, ხოლო რვეული ასევე არასწორადაა განთავსებული;
- შეუძლია ნებისმიერი სიტყვის გადაწერა, თუმცა უჭირს განსაზღვროს შინაარსი
- შესაძლოა გადაწეროს სიტყვა, მაგრამ ვერ განსაზღვრის მისი შინაარსი.
- ვერ იცავს ტექსტის სტრუქტურას
- უძნელდება საკუთარი ნააზრევის წერილობით გადმოცემა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წერის სწავლების ეფექტური სტრატეგიები

წერის სწავლების ბევრი სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. კონკრეტული მოსწავლისთვის წერის სწავლების სტრატეგიის და მეთოდის შერჩევის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და საგაკვეთილო კონტექსტი, სადაც აღნიშნული უნარის განვითარების სტიმულირება უნდა წახალისდეს. ასევე, აუცილებელია, დავაკვირდეთ ჩვენ მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტურობას და შევაფასოთ ბავშვის მიღწევები. შესაძლოა, საჭირო გახდეს სტრატეგიის შეცვლა ან დამატებითი მეთოდების გამოყენება.

ქვემოთ წარმოდგენილია წერის სწავლების რამდენიმე სტრატეგია:

საწერი დავალებების შემცირება - დავალებების მოდიფიცირება ისე, რომ თავი ავარიდოთ მოსწავლისთვის დიდი მოცულობის საწერი დავალებების მიცემას, მაგალითად, ნაცვლად ტექსტის წერისა, ან კითხვებზე პასუხის წერით გაცემისა, მოსწავლე ტესტის სახით ასრულებს დავალებას, სადაც წინადადებების ჩამოყალიბების მაგივრად, შესაბამისი ნიშნულით აღნიშნავს (მონიშნავს) სწორ პასუხებს, რაც მას ცოდნის გამოხატვის საშუალებას მისცემს.

წერის ალტერნატიული რესურსების გამოყენება – ეს აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, საკუთარი აზრები და ცოდნა, მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოხატოს. ნაცვლად ხელით წერისა, მოსწავლეს ეძლევა კომპიუტერზე ბეჭდვის შესაძლებლობა.

წერითი დავალებების შესრულების ნაცვლად, ზეპირად ჩაბარება - მოსწავლე თავის იდეებს არა წერითი მეტყველების, არამედ, ზეპირი მეტყველების სახით აბარებს მასწავლებელს.

დამატებითი, ინდივიდუალური მუშაობა კალიგრაფიისა და წერის უნარის გაუმჯობესებისათვის - ეს მოსწავლეს საშუალებას აძლევს დამატებით გაივარჯიშოს უნარები

დროის აკომოდაცია - დამატებითი დროის მიცემა საწერი დავალებისთვის, თუკი მოსწავლის წერის ტემპი შენელებულია.

წერითი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა - მიეცით მოსწავლეს მეტი დრო დამოუკიდებელი დავალების შესრულების, გადაწერისა და საკონტროლო წერისთვის; მიეცით უფლება კლასზე ადრე დაიწყოს წერა, ან გვიან დაასრულოს თანაკლასელებთან შედარებით; იქონიეთ წინასწარ გამზადებული ფურცლები გამოწერილი ასოებითა და შესასრულებელი დავალებებით.

წერითი დავალებების მოცულობა - დაუყავით მოსწავლეს დავალება მცირე ნაწილებად. იმის მაგივრად, რომ მან მთლიანი ტექსტი დაწეროს (მაგ. მოთხრობის შინაარსი), სადაც შესაძლოა, უფრო მეტი შეცდომა დაუშვას, აჯობებს, დავალება მოკლე წინადადებებით ან კითხვებზე პასუხით შეასრულოს; იქონიეთ წინასწარ გამზადებული ფურცლები შეკითხვებით, რომელიც მარტივ წერილობით პასუხს მოითხოვს; გარკვეულ ეტაპზე

მოსწავლის ნაწერის შეფასებისას, ნუ მიაქცევთ ყურადღებას მის კალიგრაფიას, აქცენტი გააკეთეთ ნაწერის ძლიერ მხარეებზე; თავი აარიდეთ მოსწავლის მექანიკური გადასაწერი დავალებებით დატვირთვას. იქონიეთ წინასწარ გამზადებული ფურცლები დავალებებით. მაგ. დაწერილი მაგალითები მათემატიკის გაკვეთილისთვის, რათა მოსწავლემ გადმოწერაზე არ დაკარგოს დრო.

წერითი დავალებების სირთულე - დაყავით წერა საფეხურებად და მოსწავლესაც ასწავლეთ ამის გაკეთება. მაგალითად, ასწავლეთ წერის 4 საფეხური (აზრების, იდეების გენერირება, შავად ნაწერი, გასწორება და რედაქტირება). არ დაგავიწყდეთ მოსწავლის დადებითად შეფასება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან მხოლოდ პირველი ან მეორე საფეხური შეასრულა. თუ მოსწავლისთვის წერა ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს, მიეცით უფლება, რედაქტირება აღნიშვნებით გააკეთოს და არ გადაწეროს მთელი ტექსტი თავიდან; შეფასებისას არ მიაქციოთ ყურადღება კალიგრაფიასა და გადაჯღაბნილებს.

სხვადასხვა ნივთების და მრავალფეროვანი, ადაპტირებული რესურსების გამოყენება - მიეცით მოსწავლეს უფლება გამოიყენოს იმ ზომის, სისქის და სიმძიმის პასტა თუ ფანქარი, რომელიც უფრო კომფორტულია მისთვის; მიეცით უფლება, თვითონ აირჩიოს საწერი ფურცლების ტიპი: ცალხაზიანი ფურცლები, უჯრებიანი ფურცლები ან საერთოდ სუფთა ფურცლები; მიეცით უფლება, აირჩიოს საწერი ფურცლების და პასტის ფერი.

ნაწერის ფორმატი - მიეცით ბავშვს უფლება, მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით შეასრულოს წერითი დავალება. მაგ. თუ საკლასო დავალება გულისხმობს მოთხრობის სამგვერდიან, მოკლე შინაარსს დანარჩენებისათვის, მას მიეცით წერითი დავალება, რომელიც მოიცავს: მოთხრობის ზოგად აღწერას (ორი ძირითადი დეტალი); მოთხრობის მთავარი გმირების და მათი საქმიანობის აღწერას; მოთხრობის ორი მნიშვნელოვანი მოვლენის – როდის, სად, ვინ და რა - აღწერას.

კეთებით სწავლა - მასალის აღქმის კიდევ ერთ ეფექტიან ფორმას წარმოადგენს კეთება: გაფერადება, მოდელის მიხედვით გამოჭრა, პლასტილინით გამოძერწვა და ა.შ. ამგვარი აქტივობების დროს შესწავლილი მასალა უფრო მყარი და დასამახსოვრებელია განსაკუთრებით სსსმ მოსწავლისთვის. ამის გარდა, კეთებით სწავლის დროს მოსწავლეები ივითარებენ სოციალურ უნარებს, ეჩვევიან ჯგუფურ მუშაობას, ეხმარებიან ერთმანეთს, სწავლობენ სამუშაო სივრცის ორგანიზებას და მოწესრიგებას. სასურველია, მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების განთავსება საკლასო ოთახში და მათი სხვა, მომდევნო აქტივობების დროს გამოყენება.

ვიზუალური მიმანიშნებლების გამოყენება - მოუნიშნეთ ფურცელზე განსხვავებული ფერის პასტით წერტილი, საიდან დაიწყოს წერა, საიდან გამოყოს აბზაცი, ფანქრის მკრთალი ხაზით ჩამოუსვით ვერტიკალური ხაზი, რათა დაიცვას ხაზიდან ხაზზე გადასვლისას ხაზზე წერის დაწყების სიზუსტე.

მულტიმოდალური სწავლება - სწავლის პროცესი სხვადასხვა შეგრძნების – განსაკუთრებით კი მხედველობის, სმენის და ტაქტილური აღქმის ერთობლიობაა. მულტიმოდალური სწავლება ეს არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიის/მასალის გამოყენებას და მოიცავს მგრძნობელობის ყველა არხს, რომლებიც ადამიანის ყველა შეგრძნების გააქტიურებას უწყობს ხელს.

მოსწავლისთვის გარემოდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების უპირატესი გზა არაერთგვაროვანია. ზოგი უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს მოსმენილ ინფორმაციას, ზოგიც

კიდევ უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს დანახულ ინფორმაციას და ა.შ. ზოგი მოსწავლე უკეთ გაიგებს მოთხრობას, თუ დაუხატავენ ან ფოტოებს უჩვენებენ; ზოგიერთი ამ მოთხრობის მოსმენას ამჯობინებს, დარჩენილ ნაწილს კი ურჩევნია ფიზიკურადაც ჩაერთოს პროცესში: გაითამაშოს სცენები, მონაწილეობა მიიღოს სპექტაკლში, შექმნას კომიქსი ან ნახატი და ამ სახით გაიგოს შინაარსი.

გენერალიზება, ტრანსფერი, შეძენილი უნარის გამოყენება სხვა გარემოში - ბავშვმა რომ საფუძვლიანად განივითაროს ესა თუ ის უნარ-ჩვევა, საჭიროა პრაქტიკა განხორციელდეს სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა ადამიანებთან და განსხვავებული რესურსების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ შეძლოს კონკრეტული ცოდნის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენებაა, ამას უწოდებენ გენერალიზებას, ტრანსფერს. მაგალითად, თუკი მოსწავლე წერს ასოებს დაფაზე, შემდეგ იგივე პროცესი გაავარჯიშოს ფურცელზე, ცარცით ასფალტზე წერისას, საღებავით წერა დიდ ფორმატზე და სხვა.

ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლე საჭიროებს დამხმარე საშუალებების მორგებას, რათა პასტა და კალამი უფრო მოხერხებულად

დაიჭიროს. სცადეთ მსგავსი რესურსების გამოყენებით წერის, ხაზვის, ხატვის აქტივობების საწყის ეტაპზე შესრულება

რეკომენდაციები ფონემური ანალიზის უნარის განვითარებისთვის

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წერის ოპერაციის განხორციელება, თუნდაც მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერა, მას უნდა შეეძლოს სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა, წვდომა, თუ რა ცალკეული ბგერებისა და ასოებისგან შედგება მოცემული სიტყვა, ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში (არ გადაანაცვლოს ან არ გამოტოვოს ასოები), შეძლოს ასოს სწორი მოყვანილობის გახსენება (არ აერიოს მოყვანილობით მსგავსი ასოები ერთმანეთში, მაგ. "ძ" და "ხ"; "შ" და "წ", "ლ" და "ღ"). გამომდინარე აქედან, აქცენტის მხოლოდ ასოების გრაფიკული გამოსახულების დასწავლაზე გაკეთება არასაკმარისი და არასწორია. წერის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფონემური ანალიზის განვითარების უნარს და ფონემური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ფონემური განვითარება წინ უსწრებს ასოების ჩაწერის უნარის განვითარების პერიოდს. იმისათვის, რომ მოსწავლემ აღნიშნული წინადადების ჩაწერა შეძლოს, საჭიროა წინადადების შინაარსის გაგებასთან ერთან, მისი შემადგენელი ერთეულების დიფერენცირება ანუ ანალიზი, რა სიტყვებისგან შედგება წინადადება, რამდენი სიტყვაა მოცემული, რომელია პირველი სიტყვა, მეორე, ბოლო.

ანალოგიურად, სიტყვის წერის პროცესის პირველ ეტაპს სიტყვის შემადგენელ ერთეულთა ანალიზი წარმოადგენს. ხმოვანი ნაკადიდან მოსწავლემ უნდა გამოჰყოს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. მან უნდა განსაზღვროს, რომელია პირველი ბგერა, მომდევნო და ა.შ. ხმოვანი ერთეულების დიფერენცირების შემდეგ მნიშვნელოვანია, ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ჟღერადობის ფონემებისგან განსხვავება.

ზემოთ აღწერილ პროცესს წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზი ეწოდება. სიტყვის ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვანია სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანმიმდევრობის დამახსოვრება და მათი სწორად ჩაწერა. წინადადების ჩაწერისას კი სიტყვების თანმიმდევრობის დაცვაც არის საჭირო. სიტყვის ჩაწერის შემდგომი ეტაპი ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფემებად) გადაყვანას გულისხმობს. ამისთვის მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს ნასწავლი, თუ როგორ გამოიყურება ფონემების შესაბამისი გამოსახულებები. მოსწავლემ უნდა აღიდგინოს ფონემის ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით გამოსახოს საჭირო ასო ანუ შეძლოს ფონემების გრაფიკული გამოსახვა (ჩაწერა).

გთავაზობთ რეკომენდაციებს და სავარჯიშოებს ფონემური ანალიზის განვითარებისთვის:

- ✓ უთხარით მოსწავლეს წინადადება; დაავალეთ ბავშვს, დაუკრას ტაში იმდენჯერ, რამდენი სიტყვაც არის წინადადებაში (დაიწყეთ 2-3 სიტყვიანი წინადადებით, სიტყვის რაოდენობა თანმიმდევრულად გაზარდეთ მოსწავლის უნარის გათვალისწინებით);

- ✓ უთხარით მოსწავლეს სიტყვა, დაავალეთ, დაუკრას ტაში იმდენჯერ, რამდენი მარცვალიც არის სიტყვაში, რამდენი ბგერაც ესმის. თავდაპირველად შეარჩიეთ მარტივი სიტყვები, თანდათანობით გაართულეთ დავალებები;
- ✓ უთხარით მოსწავლეს ერთი გრძელი და ერთი მოკლე სიტყვა; წაახალისეთ, გაიმეოროს და თქვას, რომელია გრძელი სიტყვა, რომელია მოკლე;
- ✓ უთხარით მოსწავლეს მარტივი (2-4 ასოიანი) სიტყვები დამარცვლით, და სთხოვს ბავშვს, განსაზღვროს რა სიტყვა გამოვიდა; თუკი მოსწავლე სიტყვის განსაზღვრის სირთულეებს აწყდება, შეგიძლიათ სიტყვის შესაბამისი გამოსახულების გამოყენება და მოსწავლისთვის ჩვენება. გამოსახულება მოსწავლეს სიტყვის ამოცნობაში დაეხმარება, თანდათან შეამცირეთ ბარათების გამოყენება.
- ✓ უთხარით მოსწავლეს სიტყვა; წაახალისეთ, განსაზღვროს, რომელია სიტყვის პირველი, ბოლო ბგერა. აქაც, შეგიძლიათ სიტყვის შესაბამისი გამოსახულების გამოყენება და მოსწავლისთვის ჩვენება, გამოსახულება დაეხმარება კონცენტრირდეს საჭირო სიტყვაზე;
- ✓ უთხარით მოსწავლეს სიტყვა; წაახალისეთ განსაზღვროს, არის თუ არა ამ სიტყვაში მითითებული ასო (მაგ. უთხარით სიტყვა „სკოლა“, დაავალეთ, განსაზღვროს, არის თუ არა ამ სიტყვაში ასო „რ, კ“), მოსწავლეს უთხარით როგორც სიტყვაში შემავალი ასოები, ასევე სხვა ასოები. დაიწყეთ სიტყვის ყველაზე ჟღერადი ასოს, სიტყვის პირველი ასოს და უკანასკნელი ასოს განსაზღვრით. წინა სავარჯიშოს მსგავსად, აქაც შესაძლებელია ბარათების გამოყენება;
- ✓ უთხარით მოსწავლეს რაიმე სიტყვა და მიაწოდეთ მოძრავი ანბანის რამდენიმე ასო. დაავალეთ მოსწავლეს, მოგაწოდოთ ამ სიტყვაში შემავალი პირველი, მეორე, ბოლო ასო;
- ✓ ბავშვის წინ დადეთ ბარათი რაიმე ასოს გამოსახულებით, წაახალისეთ სიტყვების დასახელება, რომლებიც აღნიშნულ ასოზე იწყება; თუ მოსწავლეს სიტყვების გახსენების სირთულე აღენიშნება, წინ დამატებით სხვადასხვა გამოსახულებიანი ბარათები განულაგეთ, რომელთაგან უმრავლესობაც აღნიშნულ ასოზე იწყება. დაავალეთ იმ ბარათების გადალაგება და დასახელება, რომლებიც დავალებული ასოთი იწყება;
- ✓ მოსწავლეს მიეცით ბარათი გამოსახულებით (თავდაპირველად შეარჩიეთ მარტივი სიტყვის შესაბამისი გამოსახულება, მაგ. გემი) და მოძრავი ანბანის შესაბამისი ასოები არეული თანმიმდევრობით; ბარათის დასახელების შემდეგ, დაავალეთ მოსწავლეს ასოების სწორი თანმიმდევრობით დალაგება შესაბამისი სიტყვის ასაწყობად;
- ✓ მოსწავლისთვის გაამზადეთ მარტივი სიუჟეტური სურათი, სიუჟეტი ჩაწერეთ ერთი წინადადებით, მოსწავლეს წინადადების შემადგენელი სიტყვები (დაწერილი ცალკეულ ბარათზე) მიაწოდეთ არეული თანმიმდევრობით. დაავალეთ მოსწავლეს, შეადგინოს წინადადება აღნიშნული სიუჟეტის გათვალისწინებით და ააწყოს წინადადება სიტყვების სწორი თანმიმდევრობით;
- ✓ მოსწავლეს მიაწოდეთ მხოლოდ ცალკეული სიტყვები, დაწერილი ცალკეულ ბარათებზე და დაავალეთ, თვითონ შეადგინოს წინადადება.

რეკომენდაციები და სავარჯიშოები ასოების გრაფიკული გამოსახულების და მისი წინმსწრები უნარების განვითარებისთვის

წერის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია წერის წინმსწრები უნარების განვითარება, როგორიც არის საწერი საშუალების ხელში ჭერის უნარი, გაფერადება, მარტივი ნახატის შექმნა და ა.შ. წაახალისეთ მოსწავლე, ხშირად დახატოს და გააფერადოს. დაავალეთ, გაფერადებისას დაიცვას და არ გადავიდეს კონტურებს, გასაფერადებლად შეურჩიეთ საშუალო ზომის ფიგურები, ფართე კონტურებით. ხატვის დასრულების შემდეგ ყოველთვის ჰკითხეთ, რა დახატა, წაახალისეთ, თავად აღწეროს თავისი ნახატი, დაეხმარეთ გამოსახული ფიგურების სახელდებაში.

წერის უნარის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლე დაეუფლოს წერის წინმსწრები მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოსახვას - ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გავლებას, წრეწირის დახატვას, ოთხკუთხედისა და სამკუთხედის გამოსახვას.

დაავალეთ მოსწავლეს ქაღალდზე წყვეტილი ხაზის შეერთება, მოცემულ კონტურზე საწერი საშუალების გადატარება. გამოსახულებები შეარჩიეთ მოსწავლის უნარის გათვალისწინებით.

დაავალეთ, შეაერთოს ორი დაშორებული წერტილი სწორი ხაზით. წერტილები იმგვარად დასვით, რომ გაივლოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები. წაახალისეთ მოსწავლე, ხაზები სხვადასხვა მიმართულებით გაავლოს – ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ, დიაგონალზე.

ასწავლეთ მოსწავლეს წერტილების შეერთებით სამკუთხედისა და ოთხკუთხედის ხატვა.

გამოიყენეთ სახალისო ნიმუშები ხაზების გავლების გასავარჯიშებლად და პარალელურად შექმენით ნახატები.

იმისათვის რომ ვარჯიშის მითითებული პროცესი მოსწავლისთვის სახალისო იყოს, ხაზების და ფიგურების გამოწერის პარალელურად, შესთავაზეთ მოსწავლეს წინასწარ შექმნილი ნახატის დასრულება (ბურთები, წვიმა, კურდღელი...)

წაახალისეთ მოსწავლე, შექმნას მარტივი ნახატი აღნიშნული გეომეტრიული გამოსახულებების გამოყენებით. (ფოტო – მინდორი, ყვავილები;),

ცალკეული ასოს წერის ათვისების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის წახალისება, აღიქვას შერჩეული ასო სხვადასხვა საშუალებით – გამოძერწოს მითითებული ასო ნიმუშის მიხედვით, სიტყვიერად დაახასიათოს ასოს თავისებურება, თითი გადატაროს, სცადოს ასოს კოპირება.

ასოებისა და წერის ათვისების პროცესში, შესაძლებელია არ შევზღუდოთ მოსწავლე და მივცეთ მას საშუალება, წეროს არა ასაკის და საფეხურის შესაბამის რვეულში (პირველკლასელთა ქართულის რვეული შესაბამისი ბადით, მეორეკლასელთა ბადე, ცალხაზიანი რვეული), არამედ შევურჩიოთ მას შესაბამისი ფორმატი წერისთვის. მაგ.

გავავლოთ შესაბამისი სისქის ხაზები მოსწავლისთვის ოპტიმალური დაშორებით თაბახის ფურცელზე. გვახსოვდეს, რომ ბავშვებს დიდი გამოსახულებების გამოყვანა უფრო უადვილდებათ, ვიდრე პატარა მოცულობის. დასაშვებია, მოსწავლეს წერა სრულიად უხაზო ფურცელზეც ვასწავლოთ, თუკი ეს გადაწყვეტილება სპეციალისტების მხრიდან დასაბუთებული იქნება და შესაფერისად განისაზღვრება მოსწავლისთვის.

ასოების წერის ათვისების პროცესში, ბევრი მოსწავლე აწყდება ასოების ხაზებს შორის განთავსების პრობლემას. ქართულ ენაში ეს განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა, რადგან სხვადასხვა ასოები რვეულის ხაზებს შორის განსხვავებული მდებარეობით ხასიათდება. იმისათვის, რომ ასოების სწორი განლაგების უნარი განუვითარდეს, დაავალეთ მოსწავლეს სწორად მოათავსოს მაგ. ასო “ბ” და “დ” ხაზთან მიმართებაში, ავარჯიშეთ არა მხოლოდ ცალკეულ ასოებზე, არამედ სიტყვებზეც.

წერის სწავლების

დამხმარე

აქტივობები

1. კონტურებზე მარკერის გადატარება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი
- წერის წინმსწრები უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მუყაოზე ამოჭრილი სხვადასხვა ფორმები, ზოლები
- ✓ მარკერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მუყაოზე ამოჭერით სხვადასხვა ფორმის შიდა კონტურები: ზიგზაგები, სწორი ხაზები, ოვალები, მუყაოს კონტურები მიაწებეთ დაფას ან დაამაგრეთ ფურცელზე, სთხოვეთ მოსწავლეს მარკერით გადაატაროს ხაზები შიდა კონტურებზე.



2. ბურთის გატარება ლაბირინთში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წერის წინმსწრები უნარები
- ნატიფი მოტორული უნარები
- ვიზუალურ სივრცითი უნარები
- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მყარი ქსოვილი, ან მუყაო
- ✓ პატარა ზომის ბურთი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

დიდ მუყაოს ქაღალდში ამოჭერით წრიული ლაბირინთი, როგორც სურათზეა ნაჩვენები, ისე რომ, ბავშვმა თითის მოძრაობით შეძლოს ბურთი გატარება.

3. ასოების გამოჭრა, გაფერადება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ასოების მოხაზულობის გარჩევა
- ვიზუალურ მოტორული უნარები
- ტაქტილური უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ✓ A4 ფორმატის ქაღალდზე ამობეჭდილი ასოები
- ✓ მაკრატელი
- ✓ პასტელები, ან ფანქრები, ფლომასტერები, ფუნჯები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ A4-ის ფორმატზე ამობეჭდილი ასოები, სთხოვეთ გამოჭრას, გააფერადოს

გაფერადების დროს შესაძლებელია შერეული ტექნიკის გამოყენება, პასტელები, ფლომასტერი, ფანქრები.

4. ასოების ლიანდაგი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წერის წინმსწრები უნარები
- ნატიფი მოტორული უნარები
- ვიზუალურ სივრცითი უნარები
- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი
- ასოების შემეცნება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მყარი მუყაო ან ხის თხელი ფიცარი
- ✓ ღილი, რომელიც ქვედა მხრიდან მაგრდება და აქვს ყუნწი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მეცადინეობა, რომ სახალისო გამოვიდეს, ბავშვს უთხარით, რომ უნდა ითამაშოთ „მატარებლობანა“. აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ მუყაო, რომელზეც ამოჭრით შესაბამის ასოებს. ამოჭრილ შიდა კონტურში ბავშვმა უნდა გაატაროს ღილი (ან სხვა ნივთი, რომელიც ჩამაგრდება).

5. გამოტოვებული სიტყვების ჩაწერა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წინადადების გააზრება
- სიტყვების წერა
- შესაბამისი სიტყვების სწორად შერჩევა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ წინასწარ გამზადებული ბარათები მოკლე წინადადებებით და გამოტოვებული სიტყვებით
- ✓ საწერ-კალამი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლის წინ განათავსეთ სამუშაო ბარათი, რომელზე დაწერილი იქნება წინადადება და მასში გამოტოვებული იქნება ერთი სიტყვა.

ეს აქტივობა მოსწავლის შესაძლებლობისა და საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჩატარდეს რამდენიმე ვარიანტად:

1. მოსწავლეს მიაწოდეთ წინასწარ გამზადებული ბარათი მოკლე წინადადებით, რომელში ერთი სიტყვა გამოტოვებული იქნება, მაგალითად: „დედა ---------- აცხობს“. მოსწავლეს სთხოვეთ, მოიფიქროს და ჩაწეროს გამოტოვებული სიტყვა;

2. მოსწავლეს მიაწოდეთ გამზადებული ბარათი, როგორც ეს პირველ ვარიანტშია აღწერილი, მაგრამ მინიშნების სახით გამოტოვებული სიტყვის ქვეშ ჩასაწერი სიტყვის შესაბამისი ნახატიც განათავსეთ, მაგალითად ასე:

„დედა ---------- აცხობს“.

3. მოსწავლეს მიაწოდეთ გამზადებული ბარათი, როგორც ეს პირველ ვარიანტშია აღწერილი, მაგრამ მინიშნების სახით გამოტოვებული სიტყვის შესარჩევად მოსწავლეს წააკითხეთ სხვა ბარათებზე დაწერილი სიტყვები, სთხოვეთ დაფიქრდეს და შეარჩიოს შესაბამისი, რომელსაც ჩაწერს გამოტოვებულ ადგილზე, მაგალითად ასე:

„დედა ----------აცხობს“

ჩაის	წვნიანს
ნამცხვარს	

6. ორი ხელის შეთანხმებული მოძრაობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა (ტაქტილური, მხედველობითი)
- ვიზუალურ - მოტორული უნარები
- ვიზუალურ სივრცითი უნარები
- ყურადღების კონცენტრაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ნახაზები, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდაა შესრულებული
- ✓ 2 ცალი ბრტყელი წრიული ფიგურა, მაგალითად, ნარდის კოჭები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლე ზის მაგიდასთან, ვთავაზობთ წინასწარ დახაზულ წახნაგოვან ფიგურას, რომელსაც ერთდროულად უნდა გადაატაროს კოჭები. თუ მოსწავლეს უჭირს აღნიშნული აქტივობას შეთავაზება, გამოიყენეთ ეტაპობრივი დახმარება და ინსტრუქციები: ჯერ შესთავაზეთ მხოლოდ წამყვანი ხელით გადაატაროს კოჭი, შემდეგ სინქრონულად გააკეთეთ მასთან ერთად, ორივე ხელის გავარჯიშების შემდეგ, სთხოვეთ დავალების ორი ხელით შესრულება, გამოიყენეთ მოდელირება და დემონსტრირება.

7. ვიზუალურ-სივრცითი უნარების გავარჯიშება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.
- წერისადმი მზაობის უნარ-ჩვევები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ყურის, ბამბის ჩხირები
- ✓ თაბახის თეთრი ფურცელი
- ✓ ფერადი საღებავები, ფლომასტერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ფურცელზე დახაზეთ ხაზები, რომლებსაც სხვადასხვა ფერის დაბოლოებები ექნება, ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. პარალელურად მოამზადეთ შემდეგი მასალა - ჩვეულებრივ ყურის ჩხირებს შეუღებეთ ბოლოები სხვადასხვა ფერით, ისე რომ მოცემული ნახატების იდენტური მასალა გამოვიდეს. სთხოვეთ მოსწავლეს, დახაზული ხაზების მიხედვით დაადოს ჩხირები ფურცელზე. თუ, მოსწავლეს უჭირს თავდაპირველ ეტაპზე აღნიშული დავალების შესრულება, შეამცირეთ სტიმულ - მასალა, შესთავაზეთ მხოლოდ ერთი ან ორი ნახაზი, როცა გავარჯიშდება ინსტრუქციის შესრულებაში, შემდეგ გაართულეთ და დაამატეთ სავარჯიშოები. გამოიყენეთ მინიშნება - თითით აჩვენეთ შესაბამისი ადგილი, თუ ამის საჭიროება იქნება თავდაპირველ ეტაპზე.

8. სიტყვის წერაზე ვარჯიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა
- ასოების თანმიმდევრობის დაცვა სიტყვაში
- მუშა მეხსიერება
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ სამუშაო ფურცელი, შესაბამისი სტიმულ-მასალით

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შეარჩიეთ სიტყვა, შეიძლება ეს იყოს მისი სახელი, ან რაიმე სხვა სამიზნე სიტყვა.

შესთავაზეთ სამუშაო ფურცელი, რომელზეც სიტყვის შემადგენელი ასოები ყოველ მომდევნო ხაზზე იკლებს. მოსწავლემ უნდა შეავსოს ფურცელი, ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები.

თუ, სამიზნე სიტყვად ირჩევთ სხვა სიტყვებს (მაგალითად კატა, მაგიდა თუ ა.შ) გამოიყენეთ მისი შესაბამისი ვიზუალური მასალაც.

დახმარების მიზნით, შესაძლებელია, გამოიყენოთ კარნახი, ან თითით მინიშნება.

9. სარკისებური ასოების გამოძერწვა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მსგავსი მოხაზულობის ასოების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ პლასტელინი, ცომი ან თიხა
- ✓ ბარათზე დაწერილი სიტყვები, რომლებშიც არის ძ და ხ (მიზნიდან გამომდინარე, ცვალეთ სამიზნე ასოები: შ და წ , მ და ნ, დ, ლ, დ; ც და ტ)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ავარჯიშეთ მოსწავლე მსგავსი მოხაზულობის ასოების გამოძერწვაზე. თუ უჭირს დამოუკიდებლად გამოძერწვა, თავდაპირველ ეტაპზე თქვენ გამოძერწეთ და აჩვენეთ. სთხოვეთ, გააკეთოს იგივე ნიმუშის მიხედვით.

დახმარების მიზნით, თავდაპირველ ეტაპზე, ასევე, შეიძლება დიდად ამობეჭდილი ასოების ამოვსება პლასტელინით, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად გამოძერწვის ეტაპზე გადასვლა.

10. წერტილების შეერთება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-მოტორული-თვალისა და ხელის შეთანხმებულად მოქმედება;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალური დისკრიმინაცია - და ფორმებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ქაღალდი
- ✓ ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სამუშაო ფურცელზე დახაზეთ სხვადასხვა ფიგურები, ხოლო გვერდით შესაბამისი ფიგურების მხოლოდ წერტილები, სთხოვეთ მოსწავლეს, შეართოს წერტილები. მსგავსი ტექნიკა გამოიყენეთ ასოების სწავლებისას.



11. ყველაფერი ჩემს შესახებ

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- დაუსრულებელი წინადადებების დამთავრება
- რეფლექსია
- თვითცნობიერება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები
- ✓ პასტა

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ სამუშაო ფურცელი, რომელზეც სხვადასხვა რეფლექსიისთვის საჭირო სტიმულ-სიტყვები იქნება დაწერილი. მაგალითად: მე ვარ..., მე მიყვარს..., მე ვგრძნობ... და ა.შ. იმსჯელეთ მასთან ერთად და დაეხმარეთ მოიფიქროს და დაამთავროს წინადადებები.

იგივე აქტივობის განხორციელება შეიძლება კომპიუტერში, კლავიატურის გამოყენებით.

12. სიტყვების გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების ანალიზი და სინთეზი
- სიტყვების ფონემური ანალიზი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ წინასწარ მომზადებული სტიმულ მასალა, შესაბამისი თვალსაჩინო მასალებით და სიტყვებით. სიტყვების პირველი ასო გამოტოვებული უნდა იყოს.

<u>აქტივობის აღწერა:</u>



შესთავაზეთ მოსწავლეს სიტყვათა დაწერილი ნაკრები და შესაბამისი თვალსაჩინო მასალა. მოსწავლემ უნდა ჩაწეროს სიტყვის პირველი ასო. გამოიყენეთ შემდეგი დახმარების სტრატეგიები:

- შესაბამისი პირველი ასოს ზეპირად კარნახი
- სურათის დასახელება და პირველი ასოს იდენტიფიცირება, ჩაწერა
- დაწერილი სიტყვის ნიმუშის მიხედვით დავალების შესრულება (სწორად გადაწერა)
- წინასწარ საჭირო ასოების ჩაწერა და მოსწავლესთან მსჯელობის შედეგად სწორი ასოს შერჩევა

შესაძლებელია, სხვა ტექნიკების გამოყენება, სიტყვაში გამოტოვეთ მეორე, ან შუა ასო, ბოლო ასო.

13. ააწყვე წინადადება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წინადადებაში სიტყვების ანალიზი
- წინადადების ამოკითხვა და იდენტური სიტყვებთან დაკავშირება
- წინადადების შედგენა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დაწერილი წინადადებები
- ✓ ბარათები წინადადების შემადგენელი სიტყვებით

<u>აქტივობის აღწერა:</u>



მოსწავლეს შესთავაზეთ წინასწარ დაწერილი წინადადებები, ასევე გვერდით განათავსეთ იგივე სიტყვების ნაკრები, რომლებიც ბარათებზე იქნება წარმოდგენილი (თითოეული სიტყვა თითოეულ ბარათზე)

სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს წინადადება, მოძებნოს სიტყვათა გროვიდან წინადადების შემადგენელი სიტყვები და ააწყოს იდენტური წინადადება.

14. სიტყვის მნიშვნელობის გაგება-გააზრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წაკითხული სიტყვის გააზრება
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა
- სიტყვის გაგება - გააზრება
- საკუთარი შეფასების და არჩევანის დაფიქსირება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ✓ ფურცელზე დაწერილი სიტყვები (სასურველია შესაბამისი ვიზუალური ხატით)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფურცელზე დაწერეთ რამდენიმე სიტყვათა წყვილი:

- კატა თუ ძაღლი
- ნამცხვარი თუ კექსი
- კითხვა თუ წერა
- თოვლი თუ მზე
- ნაყინი თუ შოკოლადი

მოსწავლეს მიაწოდეთ სიტყვათა წყვილები და სთხოვეთ წაიკითხოს. ამოკითხვის შემდეგ, მან უნდა გააკეთოს არჩევანი, რომელი უფრო უყვარს, ან მოსწონს და შემოხაზოს.

აქტივობა ხელს უწყობს სიტყვის გაგება - გააზრებას, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას გარკვეული საკითხის მიმართ. სიტყვათა ცვლილება შესაძლებელია თემატური დავალებებიდან გამომდინარე, რომელიც განვლილი ტექსტის შესაბამისი იქნება.

15. ყველაფერი ჩემს შესახებ

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- დამხმარე ვიზუალური ნიშნების საშუალებით საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის წერილობით წარმოდგენა
- რეფლექსია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი:

✓ დაბეჭდილი დაუსრულებელი წინადადებები ან შეკითხვები შესაბამისი სურათებით

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შეარჩიეთ მოსწავლისთვის იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომლის კითხვა და წერილობითი პასუხების, თუნდაც დახმარებით გაცემა, უკვე შესაძლებელია. მოსწავლესთან ერთად ჯერ შეხედეთ სურათს, აღწერეთ, შემდეგ წააკითხეთ ინსტრუქცია ან შეკითხვა, მოიფიქრეთ პასუხი და დაეხმარეთ წერილობით ჩამოყალიბებაში.

დახმარების მიზნით, შესაძლებელია, მოსწავლის მიერ დასახელებული პასუხის კარნახით ჩაწერა, ან გადაწერა.

საბოლოოდ, იზრუნეთ სამუშაო ფორმატის ვიზუალურ მხარეზეც, მოსწავლეს მიეცით საშუალება გააფერადოს გემოვნების შესაბამისად.

მსგავსი დავალების შესრულება შესაძლებელია აპლიკაციის ფორმით, თუკი მოსწავლეს ვთხოვთ, გამოჭრას ფერადი ფურცლებისგან სურათის შესაბამისი ფიგურები, ფორმები და დააწებოს. ეს სხვა უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს - ნატიფი მოტორიკის, ნიმუშის მიხედვით გამოჭრის და სხვა.

16. ქვიშაზე წერა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა:

- წერის წინმსწრები უნარები
- ტაქტილური უნარები
- ვიზუალურ სივრცითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ✓ სინზე დაყრილი ქვიშა
- ✓ ფანქარი, ხის ტოტი
- ✓ მოძრავი ანბანი ან ბარათები ასოების გამოსახულებით

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შესთავაზეთ მოსწავლეს საინტერესო განმავითარებელი აქტივობა, სინზე დაყარეთ ქვიშა (ქვიშის მაგივრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფქვილი, მანის ბურღული). თავდაპირველად მოსწავლეს მიეცით საშუალება ხატოს ქვიშაზე სურვილისამებრ, რათა მიიღოს გამოცდილება და განივითაროს სენსორული ჩვევები. შემდეგ გადადით ასოების წერის ეტაპზე. მოათავსეთ სინის წინ მოძრავი მაგნიტური ასოები და სთხოვეთ გადახატოს მსგავსი ასოები ქვიშაზე. ეს პროცესი სახალისო და განმავითარებელია.

17. ილუსტრაციების და წარწერების შექმნა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა:

- წაკითხულის გააზრება
- წაკითხული ტექსტის მიხედვით ნახატის, ილუსტრაციების შექმნა
- ილუსტრაციებზე წარწერების შექმნა
- წერის საწყისი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ✓ ტექსტი
- ✓ ფანქრები, პასტა,
- ✓ ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წაუკითხეთ მოსწავლეს მცირე ზომის მოთხრობა, კითხვა-პასუხის მეშვეობით ამსჯელეთ ტექსტზე.

შემდეგ სთხოვეთ, შეასრულოს რამდენიმე ილუსტრაცია იმ თემაზე, რომელიც საინტერესო იყო მისთვის. თითოეულ ილუსტრაციას მიაწეროს შესაბამისი სიტყვა, ან დაასათაუროს, ან დაუწეროს მოკლე აღწერა, ან მიაწეროს ამონარიდი დიალოგიდან.

18. წერა სიუჟეტური სურათის მიხედვით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- სიუჟეტური სურათის მიხედვით სიტყვების, წინადადებების ჩაწერა
- მოთხრობის წერილობით შედგენა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ნებისმიერი სიუჟეტური სურათი
- ✓ კალამი, ფურცელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ ნებისმიერი სიუჟეტური სურათი, სთხოვეთ, აღწეროს, დაუსვით დამხმარე შეკითხვები. შემდეგ მოსწავლემ უნდა დაწეროს ამ აღწერიდან, ნებისმიერი სიტყვა, რომელიც სურს. მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შევთავაზოთ წინადადების ჩაწერაც.

19. აღწერითი სიტყვების წერაზე ვარჯიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- წერის უნარი
- წარმოსახვის უნარი
- შესაბამისი ლექსიკის შერჩევის უნარი
- პრეზენტაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათზე გამოსახული სურათები
- ✓ რვეული და კალამი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ ნებისმიერი დასურათებული ბარათი, მაგალითად ძაღლი, სოკო, სახლი, ადამიანი
სთხოვეთ ფურცელზე დაწეროს სურათზე გამოსახული ობიექტის შესაბამისი აღწერითი, დასახასიათებელი სიტყვები (მინიმუმ - ერთი, მაქსიმუმ - 3). მაგალითად,

- სოკო - წითელია, პატარაა.
- სახლი - ხისაა, დიდია;
- ძაღლი - ყავისფერია, ფუმფულაა

20. წერა ბარათის მიხედვით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წერის უნარი
- წარმოსახვის უნარი
- შესაბამისი ლექსიკის შერჩევის უნარი
- პრეზენტაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათები სხვადასხვა სურათებით
- ✓ კალამი, ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აჩვენეთ მოსწავლეს სურათებიანი ბარათები, დაუსვით შეკითხვები, სთხოვეთ აღწეროს, დაასახელოს.

შემდეგ მოსწავლემ უნდა დაწეროს თითოეული ბარათის შესაბამისი წინადადება.

21. გამოტოვებული სიტყვების შერჩევა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წინადადების გაგება გააზრება
- სიტყვის სწორად შერჩევა და ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელზე დაწერილი სამსიტყვიანი წინადადებები, რომლებშიც თითო სიტყვა გამოტოვებულია
- ✓ ფურცელზე დაწერილი სიტყვები (მათ სორის წინადადებაში გამოტოვებული სიტყვაც)
- ✓ პასტა,
- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლემ უნდა ამოიკითხოს წინადადება, წაიკითხოს, ასევე, ფურცლის სხვა მხარეს ან სხვა ფურცელზე დაწერილი სიტყვები, შეარჩიოს წინადადებების გამოტოვებული სიტყვის შესაბამისი სიტყვა და ჩაწეროს გამოტოვებულ ადგილზე.

სასურველია, შესაბამისი ვიზუალური მასალის დართვაც, რომელიც შეესაბამება დაუსრულებელ წინადადების შინაარსს.

ასევე, შესაძლებელია, წინასწარ წავაკითხოთ მცირე მოთხრობა, ხოლო სტიმულ-მასალა, გამოტოვებული სიტყვებიანი წინადადებები შევადგინოთ ტექსტის მიხედვით.

პირველ შემთხვევაში, მეტად შეეწყობა ხელი წარმოსახვის უნარის განვითარების კომპონენტებს, ხოლო მეორე შემთხვევაში - წაკითხულის გააზრებასა და დამახსოვრებას.

22. წერილის მიწერა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წერა კონტექსტის შესაბამისად
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება წერილობით

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფურცელი, პასტა
- ✓ ფანქრები
- ✓ კონვერტი
- ✓ ღია ბარათი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წერის უნარი ვითარდება სიტუაციური ამოცანების კონტექსტში. გამოიყენეთ შემდეგი სიტუაცია, შესთავაზეთ მოსწავლეს დაწეროს წერილი: მიწეროს წერილი დედას, მასწავლებელს, დას ან სხვ.

წერილის მიწერამდე, მოსწავლეს აჩვენეთ სხვა, უკვე დაწერილი წერილები, მსგავსი მასალა შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში, ან ნიმუშები წინასწარ დაამზადოთ.

ასწავლეთ მოსწავლეს დაიცვას მიმართვის ფორმა და წერილის წერის სხვა წესები.

სთხოვეთ ბავშვს, გააფორმოს წერილი ნახატებით, დაამზადოს კონვერტი, ან უკვე დამზადებული კონვერტი მოხატოს, რომელშიც წერილს განათავსებს.

შესაძლებელია აქტივობა განვახორციელოთ ღია ბარათების გამოყენებით.

23. მოვლენათა თანმიმდევრობის დაცვა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიუჟეტური სურათების დახმარებით ამბის დაწერა
- ნაწერში მოვლენათა თანმიმდევრობის დაცვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ მოვლენათა თანმიმდევრობის ამსახველი ბარათები (2- დან 5 - მდე)

<u>აქტივობის აღწერა</u>:

მოსწავლის წინ განათავსეთ ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა სიუჟეტებია განთავსებული.

აღწერეთ, მასთან ერთად, გამოიყენეთ სიტყვები: „ამის შემდეგ, მანამდე, პირველად, ბოლოს...“

შემდეგ სთხოვეთ, ბარათების გამოყენებით შეადგინოს ამბავი და დაწეროს.

24. ბარათების შესაბამისი წარწერები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სურათის შესაბამისი სიტყვების დაწერა
- სიტყვის გაგება-გააზრება
- სიტყვის სინთეზი, ანალიზი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სხვადასხვა გამოსახულებიანი ბარათები
- ✓ კალამი, ფურცელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მიეცით მოსწავლეს სხვადასხვა დასურათებული ბარათები, სთხოვეთ დაასახელოს, შემდეგ კი ჩაწეროს მათი დასახელება.

თუ მოსწავლეს უჭირს დამოუკიდებლად ჩაწერა, გამოიყენეთ გადაწერის ტექნიკა.

ასევე, შესაძლებელია, სურათების პარალელურად დაწერილი სიტყვების მიწოდება, რომლებშიც გამოტოვებული იქნება პირველი, შუა ან ბოლო ასო და მოსწავლემ უნდა ჩაწეროს შესაბამისი ასო.

25. ტექსტის ანალიზი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკითხვებზე პასუხის წერილობით გაცემა
- სწორი პასუხის შერჩევა დაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ წიგნი შესაბამისი ტექსტით ან ადაპტირებული ტექსტი
- ✓ წინასწარ გამზადებული შეკითხვები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წააკითხეთ მოსწავლეს ტექსტი, შემდეგ სთხოვეთ, იპოვის ტექსტში შესაბამისი ადგილები, დაუსვით შეკითხვები:

მაგალითად სად ეწერა სიტყვა „მგელი“?

სად ეწერა, წინადადება, სადაც „მგელი შეხვდა დათვს?“ და ა.შ

დაეხმარეთ შესაბამისი ადგილის მოძებნაში, ეს დაეხმარება ტექსტის გააზრებაში და დეკოდირებაში.

შემდეგ შესთავაზეთ წინასწარ მომზადებული შეკითხვები, რომლის პასუხებიც ტექსტში უნდა მოძებნოს და დაწეროს.

კითხვები და პასუხები, სასურველია, სხვადასხვა ფერის კალმით იყოს შესრულებული, ეს მოსწავლეს აღქმასა და გააზრებაში დაეხმარება.

26. ტექსტის შინაარსის ანალიზი და გაგება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის თანმიმდევრობის დაცვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ბარათზე დაწერილი, ტექსტიდან აღებული ცალკეული წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებული იქნება ერთი სიტყვა
- პასტა, ფურცელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ცალკეულ ბარათებზე ამოწერეთ წიგნში მოცემული ტექსტიდან აღებული წინადადები, რომლებშიც ერთი სიტყვა იქნება გამოტოვებულ.,

მოსწავლემ ტექსტის მიხედვით უნდა მოძებნოს და ჩაწეროს გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში.

27. სიტყვების გაერთიანება წინადადებებში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ამოკითხული სიტყვების გაგება - გააზრება და წინადადებების შედგენა-ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ პატარა ბარათებზე დაწერილი სიტყვები
- ✓ პასტა
- ✓ ცარიელი ბარათები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გაუმზადეთ მოსწავლეს ცარიელი ბარათები და ამის პარალელურად სიტყვების ნაკრები, რომლისგანაც 3 სიტყვიანი წინადადებების აწყობა შეიძლება.

სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს სიტყვები და ააწყიოს წინადადებები, შემდეგ კი გადაწეროს ცარიელ ბარათებზე.

28. წინადადების შედგენა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების მოძებნა და სამსიტყვიანი წინადადებების შედგენა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სიტყვათა ნაკრები, რომელიც ფურცელზე 3 სვეტად არის წარმოდგენილი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს მიაწოდეთ ფურცელი, რომელზეც 3 სვეტად იქნება დაწერილი 10 – 10 სიტყვა, მოსწავლემ თითოეული სვეტიდან მხოლოდ თითო სიტყვა უნდა შეარჩიოს, შეადგინოს წინადადება და ჩაწეროს.

გოგონა	მოედანზე	თამაშობს
ჩიტი	ხეზე	ზის
ბავშვი	ეზოში	დარბის
ნიკა	კბილებს	იხეხავს
მარი	წიგნს	კითხულობს
გოგონა	ფანქრებით	ხატავს
ძაღლი	ეზოში	წევს
რიგი	უნდა	დავიცვათ

29. პერსონაჟის დახასიათება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- პერსონაჟის დახასიათება და მისი თვისებების აღწერა-დაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მცირე მოთხრობა
- ✓ პერსონაჟის სურათები
- ✓ პასტა და ფურცელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წააკითხეთ მოსწავლეს მოთხრობა, შემდეგ სთხოვეთ დაასახელოს პერსონაჟები, დაუსვით დამაზუსტებელი შეკითხვები, რომ შეძლოს დახაისათება.

შემდეგ მიაწოდეთ პერსონაჟების უკვე გამზადებული სურათები და სთხოვეთ მიაწეროს მათი სახელები, დამხასიათებელი თვისებები.

30. ტექსტის შევსება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის მიხედვით გამოტოვებული სიტყვების ჩასმა
- ტექსტის გაგება - გააზრება
- სწორი, შესაბამისი სიტყვების შერჩევა, ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ტექსტი
- ✓ იგივე ტექსტი, რომელშიც სიტყვები იქნება გამოტოვებული

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ტექსტი, შემდეგ მას ვაძლევთ სამუშაო ფურცელს, რომელზეც იგივე ტექსტი წერია, მაგრამ რამდენიმე სიტყვა გამოტოვებულია. მოსწავლემ სწორად უნდა შეარჩიოს სიტყვა და ჩაწეროს (გადაწეროს ტექსტიდან შესაბამის ადგილზე).

შემდეგ ჯერზე, შესაძლებელია, მოსწავლეს მივცეთ მხოლოდ გამოტოვებულსიტყვებიანი ტექსტი, რომელსაც საკუთარი წარმოსახვით შეავსებს. ამ დროს დახმარების სტრატეგიის გამოყენების მიზნით, შესაძლებელია სიუჟეტური სურათების გამოყენება.

„მზიანი დღე იყო. კატამ გაიღვიძა. მან დაინახა _____. ისინი ერთად _____. კატამ ძაღლს _____ წაართვა. ძაღლმა _____შეუღრინა. გამოჩნდა ----------. გოგონამ საჭმელი ორივეს ----------. ისინი შეთანხმდნენ, რომ ---------- ----------.“

31. ასოების ხატვა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ სივრცითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფუნჯები, საღებავი, ფლომასტერები
- ✓ დიდი ფორმატის ქაღალდები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წაახალისეთ მოსწავლე დიდი ფორმატის ფურცელზე ხატოს ასოები. ეს განუვითარებს სენსორულ აღქმას. იმისთვის, რომ აქტივობა სახალისო გახდეს, გავაცოცხლოთ ასოები, მიახატოს ყურები, თვალები, კუდი. დაამსგავსოს ცხოველებს ან ადამიანებს.

32. მისალოცი ბარათები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის შედგენა და ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ხელნაკეთი მისალოცი ბარათები
- ✓ პასტა, ფანქრები, ფლომასტერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წერის სწავლების სახალისო და საინტერესო აქტივობაა მისალოცი ბარათების წერა.

მოსწავლესთან ერთად დაამზადეთ ხელნაკეთი მისალოცი ბარათები. სთხოვეთ, შეარჩიოს ადრესატი და მიულოცოს დღესასწაული. საწყის ეტაპზე, შესაძლებელია, ტექსტის ნაწილი თქვენ დაუწეროთ და მან ჩაწეროს გაგრძელება, დაასრულოს წინადადებები. შემდეგ გააფორმოს ნახატებით.

გილოცავ ----------
გისურვებ ----------
სიყვარულით,
----

33. მოთხრობის შედგენა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ახალი სიტყვების სწავლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- წინადადებების წერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ ბლოკნოტი, კალამი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შესთავაზეთ მოსწავლეს, დაასახელოს რაიმე 3 ნივთი, მაგალითად: წიგნი, ამინდი, კუ.

იმსჯელეთ მოსწავლესთან ერთად, როგორ შეიძლება მოვიფიქროთ რაიმე ამბავი, მოთხრობა, რომელიც ამ სიტყვებს შეიცავს და საინტერესო იქნებოდა. ამ შემთხვევაში მოთხრობა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

> *წვიმიანი ამინდი იყო. ნიკომ სახლში იპოვა წიგნი. წიგნი პატარა კუს შესახებ იყო. ნიკომ წიგნი წაიკითხა. ნიკოს წიგნი ძალიან მოეწონა.*

შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეს დაარქვას მოთხრობას სათაური, დააწეროს ავტორი, თავის სახელი და გვარი, მოთხრობის დაწერის თარიღი. ხშირად შესთავზეთ მოსწავლეს მსგავის აქტივობა, როდესაც რამდენიმე მოთხრობა უკვე შეგროვდება, აკინძედ წიგნად, სთხოვეთ დაურთოს ილუსტრაციები.

34. კომიქსები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წინადადების გაგება-გააზრება
- სიტყვის დაკავშირება თვალსაჩინო მასალასთან

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბარათები სიტყვის და/ან წინადადების შესაბამისი გამოსახულებით
- ✓ შერჩეული წინადადებების და/ან სიტყვების ნაკრები მასწავლებლისთვის

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლის წინ განათავსეთ ბარათებზე დაბეჭდილი კომიქსები. ეს შესაძლებელია იყოს განვლილი, ნასწავლი ტექსტის მიხედვით შექმნილი მარტივი ნახატები, ან ნახატები, სადაც ფრაზების ჩაწერა მოსწავლეს დამოუკიდებლად, საკუთარი ფანტაზიით შეეძლება

35. სიტყვების, წინადადების ან ამბის წერა ანიმაციის საფუძველზე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნანახი ვიდეოს გააზრება და ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ვიდეო ანიმაცია
- ✓ პასტა, ფურცელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

უყურეთ რაიმე ანიმაციას მოსწავლესთან ერთად, იმსჯელეთ და განიხილეთ: ვინ იყვნენ მოქმედი პერსონაჟები, რა ხდებოდა მულტფილმში და ა. შ

შემდეგ მოსწავლეს სთხოვეთ, დაწეროს:

- პერსონაჟების სახელები და დახასიათება,
- რა მოეწონა,
- რა იყო მისთვის საინტერესო

36. ხელნაკეთი წიგნების შექმნა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- *ამბის შედგენა და წერით გადმოცემა*
- *წიგნის შემადგენელი კომპონენტების (ყდა, წიგნის გვერდების დანომვრა) სწავლება*

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ფორმატის ფურცლები
- ✓ სხვადასხვა საწერი და სახატავი რესურსები/საშულებები
- ✓ ნემსი და ძაფი ან სტეპლერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

3-4 ცალი A4 ფორმატის ფურცელი გადაკეცეთ შუაზე და აკინძეთ. მოსწავლესთან ერთად დაამზადეთ ხელნაკეთი წიგნები. შესაძლებელია, დამზადდეს რომელიმე წიგნის ანალოგიური ვარიანტი, ან მოსწავლემ თავისი წარმოსახვით შექმნას ნახატები და წარწერები:

- ყდა გააფერადოს და მოხატოს
- ტექსტები ჩაწეროს ცალკეულ გვერდებზე
- დანომროს გვერდები
- დახატოს ტექსტის შესაბამისი ილუსტრაციები

37. მოიფიქრე სიტყვები და დახატე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანბანის ცოდნა,
- დეკოდირება,
- ლექსიკური მარაგი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ ფანქრები და ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მას შემდეგ რაც დავრწმუნდებით, რომ მოსწავლემ საშუალოდ 7-8 ასოს ცნობა იცის, გამოჭრილ ან ბარათებზე დაწერილ ასოებს განვათავსებთ მოსწავლის წინ და ვთხოვთ, მოიფიქროს რაიმე სიტყვა, რომელიც ამ ასოებზე იწყება, დასაწყისისთვის ვეხმარებით, ვუსახელებთ ნიმუშს, ან მინიშნების მიზნით ვაჩვენებთ თვალსაჩინო სურათს. მოფიქრებული სიტყვა მოსწავლემ უნდა დაწეროს და დახატოს სიტყვის შესაბამისი გამოსახულება

38. ტექსტის მოკლე შინაარსი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის მოკლე შინაარსის ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ტექსტი
- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ სამუშაო ფურცლების ტექნიკა.

წაკითხული ტექსტის მიხედვით, სთხოვეთ მოსწავლეს, დაწეროს შინაარსი იმ ფურცლებზე, რომელსაც თქვენ შესთავაზებთ. სამუშაო ფურცელზე ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი სათაურის, ცალკე ტექსტი და ცალკე ილუსტრაციის ადგილი. აღნიშნული სქემა დაეხმარება მას ტექსტის ორგანიზებაში.

39. ტექსტის დაყოფა ნაწილებად

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის გააზრება
- ტექსტში მოვლენათა თანმიმდევრობის დალაგება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ტექსტი
- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ სამუშაო ფურცლების ტექნიკა.

წაკითხული ტექსტის მიხედვით, სთხოვეთ მოსწავლეს, დაფიქრდეს თუ რამდენი ნაწილისგან შედგება ტექსტი, დაყოს ტექსტი ნაწილებად და დაასათაუროს თითოეული ნაწილი, ასევე, თითოეული ნაწილის შესახებ გააკეთოს მოკლე ჩანაწერი. დაურთოს ილუსტრაციები.

40. ანტონიმები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- სიტყვების ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ანტონიმების ნაკრები
- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გამოიყენეთ სამუშაო ფურცლების ტექნიკა.

მოსწავლეს შესთავაზეთ რამდენიმე სიტყვა და სთხოვეთ დაასახელოს და ჩაწეროს მისი ანტონიმი:

1. მაღალი - დაბალი
2. გრძელი - მოკლე
3. დიდი - პატარა
4. ცუდი - კარგი
5. სწრაფი - ნელი
6. მარტივი - რთული
7. წინ - უკან

41. დღის განრიგის შედგენა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- დღის მანძილზე გასაკეთებელი საქმეების დაგეგმვა და ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები;
- ✓ საწერ-კალამი;
- ✓ ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლესთან ერთად იმსჯელეთ, თუ რა საქმეების, აქტივობების შესრულებას გეგმავს ის თქვენთან ერთად ან დამოუკიდებლად. აუხსენით, რომ წინასწარი დაგეგმვა გვეხმარება აქტივობების უფრო თანმიმდევრულად და მოწესრიგებულად შესრულებაში.
სთხოვეთ, დაწეროს დღის განრიგი. შესთავაზეთ იდეები:

- საუზმის მომზადება
- ოთახის დალაგება
- კითხვა
- გასეირნება
- თამაში
- სადილი
- მაგალითების ამოხსნა
- მაგიდის ალაგება

წახალისების მიზნით, შესაძლებელია ილუსტრაციების დართვაც. ყოველი შესრულებული აქტივობის გვერდით შესაბამისი მონიშვნის გაკეთება, რომელიც „შესრულებას“ აღნიშნავს, ან წამახალისებელი სტიკერის, მაგალითად, ვარსკვლავის ჩაკვრა.

42. ტექსტის თხრობის მიზნით გეგმის შედგენა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტექსტის გააზრება
- ტექსტში მოვლენათა თანმიმდევრობის დალაგება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ტექსტი
- სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სთხოვეთ მოსწავლეს, წაკითხული ტექსტის მიხედვით, თქვენთან ერთად შეადგინოს გეგმა. პირველ ეტაპზე წააკითხეთ ტექსტი და შეკითხვებზე პასუხის გაცემით დაეხმარეთ გააზრებაში. შემდეგ სთხოვეთ, მოვლენათა თანმიმდევრობის მიხედვით გეგმის შედგენა, რომელიც ფურცელზე უნდა ჩამოწეროს და მოკლე ფრაზებისგან ან სიტყვათა შეთანხმებებისგან შედგებოდეს. შეგიძლიათ აჩვენოთ ერთი-ორი ნიმუშიც.

გეგმა სასურველია იყოს დანომრილი და მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება, მოყოლის დროს მიჰყვეს თავისივე ჩამოწერილ გეგმას. სასურველია, ზოგიერთი გეგმაში შემავალი ფრაზის გვერდით ნახატის შექმნაც.

43. სიტყვების დაჯგუფება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სხვადასხვა კატეგორიაში შემავალი სიტყვების სწავლება
- წერითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სხვადასხვა კატეგორიაში შემავალი სიტყვების დასახელებები, რომლებიც პატარა ბარათებზე იქნება დაწერილი
- ✓ სამუშაო ფურცლები
- ✓ საწერ-კალამი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ პატარა ზომის ბარათებზე დაწერილი სიტყვები:

- ✓ ძაღლი, ძროხა, კატა, ცხენი
- ✓ ჭიქა, თეფში, ტაფა, ქვაბი
- ✓ მანქანა, ავტობუსი, გემი, მატარებელი
- ✓ სკამი, მაგიდა, საწოლი, სავარძელი

აურიეთ ბარათები ერთმანეთში. სთხოვეთ, წაიკითხოს და დაალაგოს კატეგორიების მიხედვით. შემდეგ სამუშაო ფურცელი გაყავით ოთხ ნაწილად და სთხოვეთ, გადაწეროს ერთ კატეგორიაში შემავალი სიტყვები

ცხოველები	ტრანსპორტი
ჭურჭელი	ავეჯი

44. კატეგორიზაცია ფერების მიხედვით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სხვადასხვა ფერის კატეგორიაში შემავალი სიტყვების სწავლება
- წერითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს მიაწოდეთ ფურცელი, რომლის დანაყოფები გაფერადებული იქნება სხვადასხვა ფერით. სთხოვეთ, მოიფიქროს და ფერის შესაბამის გრაფაში ჩაწეროს აღნიშნული ფერის საგნების, ნივთების, პროდუქტების დასახელება.

თუ მოსწავლეს უჭირს სიტყვების დამოუკიდებლად მოფიქრება, მაშინ წინასწარ შესთავაზეთ სიტყვების ნაკრებიც, რომლებსაც წაიკითხავს და გადაწერს შესაბამის ველში.

საბოლოოდ დაახლოებით ასეთი ნამუშევარი უნდა მივიღოთ:

ლიმონი ფორთოხალი სტაფილო	ბალახი კიტრი ნაძვის ხე
პომიდორი ყაყაჩო	ცა ზღვა

45. წახემსების დროა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების წერა დამოუკიდებლად ან კარნახით

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ წერითი უნარების განვითარება სხვადასხვა საინტერესო და ფუნქციური აქტივობებით უფრო სახალისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობს.

მაგალითისთვის, მოსწავლეს შეგვიძლია შევთავაზოთ ასეთი წერითი სამუშაო: მოიფიქროს და ჩაწეროს, რის მირთმევას ისურვებდა სკოლის სასადილოში.

46. რა დავინახე პირველად

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების წერა დამოუკიდებლად ან კარნახით

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შესთავაზეთ მოსწავლეს ცოტა ხნით დახუჭოს თვალები, შემდეგ გაახილოს და დაასახელოს რა დაინახა ოთახში პირველად. ინსტრუქციის უკეთ გაგებისა და დავალების გააზრების მიზნით, შეასრულეთ დავალება რიგ-რიგობით. მაგალითად, ჯერ თქვენ გაითამაშეთ აღნიშული აქტივობა, 3-4 წამით დახუჭეთ თვალები, შემდეგ გაახილეთ, თქვით „მე დავინახე სკამი“ ან „მე დავინახე სათამაშო ირემი“ და ხელითაც მიანიშნეთ, დასახელების შემდეგ ჩაწერეთ ფურცელზე. შემდეგ იგივეს გაკეთება სთხოვეთ მოსწავლესაც.

47. კაფეს მენიუ

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სიტყვების წერა დამოუკიდებლად ან კარნახით

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ წერითი უნარების განვითარება სხვადასხვა საინტერესო და ფუნქციური აქტივობებით უფრო სახალისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობს. მაგალითისთვის, მოსწავლეს შეგვიძლია შევთავაზოთ ასეთი წერითი სამუშაო: წარმოიდგინოს, რომ ის კაფეს მფლობელია და უნდა შეადგინოს მენიუ, თუ რას შესთავაზებს სტუმრებს. თავდაპირველად წაახალისეთ ისაუბროს და მოგითხროთ თავისი გამოცდილების შესახებ - ყოფილა თუ არა კაფეში, რა არის მენიუ, როგორ ხდება სასურველი კერძის ან დესერტის შეკვეთა.

შემდეგ შესთავაზეთ სამუშაო ფურცელი და სთხოვეთ, ჩამოწეროს რამდენიმე მისთვის სასურველი კერძის, სასმელის ან დესერტის დასახელება. ამ მიზნით შესაძლებელია რამდენიმე ფურცლის გამოყენება და ერთ კატეგორიაში შემავალი საკვების ერთ ფურცელზე ჩამოწერა, მაგალითად:

1. ნაყინი, ნამცხვარი, ორცხობილა;
2. ყავა, ჩაი, წვენი;
3. ომლეტი, სენდვიჩი, კარტოფილი და ა.შ

48. ძირითადი საკითხების შეჯამება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის გააზრება
- მნიშვნელოვანი, ძირითადი, შემაჯამებელი და დასამახსოვრებელი საკითხების ჩაწერა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს, კონკრეტული ტექსტის წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ სთხოვეთ, დამხმარე შეკითხვების საშუალებით, იმსჯელოს ტექსტში დასმული საკითხების შესახებ, განიხილოს და აღწეროს მასში მოქმედი პერსონაჟები, გასცეს პასუხები შეკითხვებს: სად, როდის და როგორ მიმდინარეობდა მოქმედებები ტექსტში. ამის შემდეგ შესთავაზეთ სამუშაო ფურცელი და სთხოვეთ, წერილობით გასცეს პასუხები სამუშაო ფურცელში დასმულ შეკითხვებს.


I can write about penguins.

name _____

I read a book about penguins.

Two things I learned about penguins . . .

1. _____

2. _____

Read what you learned to two friends. _____ _____

49. დიალოგური ტექსტების შექმნა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- პუნქტუაციის ნიშნებზე მუშაობა
- დიალოგის შედგენა წერილობით

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ სამუშაო ფურცლები

აქტივობის აღწერა:

მოსწავლესთან ერთად ზეპირად გაითამაშეთ დიალოგები, რომლებიც ჩვეულებრივ ყოფით სიტუაციებს ასახავს. შემდეგ შესთავაზეთ, მოიფიქროს პერსონაჟები და წარმოიდგინოს, რაზე ისაუბრებდნენ ისინი. სიმბოლურად ეს შეიძლება იყოს, როგორც სულიერი პერსონაჟები, მაგალითად, ადამიანები, ბავშვები, ასევე, უსულო საგნები, ცხოველები, მცენარეები. მაგალითად, დიალოგი შესაძლებელია მოფიქრებულ იქნეს რაიმე ილუსტრაციის აღწერის შემდეგ, დაფიქრდეს მოსწავლე და დაწეროს დიალოგი ხელთათმანსა და ქუდს შორის, ან მყიდველსა და რაიმე პროდუქტს შორის. დავალების შესრულებამდე, მსგავსი დიალოგის მაგალითი თქვენ მოიფიქრეთ და ჩაწერეთ მასთან ერთად. მაგალითად, ვითომ ორი საკვები, ვაშლი და შოკოლადი საუბრობენ ერთმანეთში, რომელი უფრო სასარგებლოა. ასეთი დავალება სახალისოც იქნება და წერითი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. დაავალეთ მოსწავლეს, დაწეროს დიალოგი მაცივარსა და გაზქურას შორის, ხესა და ჩიტს შორის და სხვა.

50. მოთხრობები გამოტოვებული სიტყვებით, დაუსრულებელი მოთხრობების დამთავრება.

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- წაკითხული ტექსტის გააზრება
- საკუთარი წარმოსახვით ამბის გაგრძელება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სამუშაო ფურცლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლეს შესთავაზეთ რაიმე ამბის ამსახველი წერილობითი ტექსტი, რომელშიც სიტყვები გამოტოვებული იქნება. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის კონტექსტის გააზრება, გამოტოვებული სიტყვების საკუთარი წარმოსახვით მოფიქრება და ჩაწერა. მაგალითად:

„ერთ მშვენიერ დღეს ---------- გაიღვიძა და დაინახა ----------. ამინდი ----------იყო. მას შეეშინდა რომ ----------. გოგონამ დაინახა ---------- და ----------. უცებ ---------- გამოჩნდა. ბოლოს ----------დამთავრდა“.

ასევე, წერითი უნარების განვითარებისთვის სასარგებლოა ტექსტის მხოლოდ დასაწყისის შეთავაზება, რომელიც მოსწავლემ თავისი წარმოსახვით უნდა დაასრულოს, მაგალითად:

„მზიანი ამინდი იყო. ბიჭუნას ველოსიპედით გასეირნება სურდა. მან გამოიტანა ველოსიპედი და გზას გაუდგა, უცებ ველოსიპედიდან გადმოვარდა და ფეხი იტკინა ----------.“

თავი I I I

თხრობის უნარის განვითარება

თხრობა ეს არის კომპლექსური უნარი, რომლის დროსაც, ადამიანი მსმენელს ფაქტების საშუალებით სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას გადასცემს. თხრობის პროცესი მოითხოვს შემოქმედებითი უნარების გამოყენებას. თხრობის პროცესი არ არის ისეთი უნარი, რომელიც დაბადებიდან დაყვება ადამიანს, ის საჭიროებს სწავლებას და გავარჯიშებას ცდისა და შეცდომების გზით.

თხრობას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, მაგალითად: გასართობი, საგანმანათლებლო, ან უბრალოდ ადამიანებთან კომუნიკაციის. აღსანიშნავია, რომ თხრობის დროს მთხრობელი არამარტო გადმოსცემს ფაქტებს, არამედ მსმენელს უზიარებს ემოციებსაც. თხრობის პროცესის დროს როგორც აზრების გადმოცემას, ასევე ემოციების ადექვატურად გამოხატვას ხშირად თანაბარი დატვირთვა ენიჭება და განსაზღვრავს მონათხრობის გადმოცემის ეფექტურობას.

თხრობის უნარი არის უნივერსალური, ის ყველა კულტურასა თუ ქვეყანაში ესაჭიროება ადამიანს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თხრობის პროცესი იყოს კარგად ორგანიზებული, რათა ის მარტივად აღსაქმელი გახდეს მსმენელისთვის, ამასთანავე, დაეხმაროს მთხრობელს საკუთარი იდეების თანმიმდევრულად დალაგებაში. თხრობის პროცესისთვის ემოციური ელფერის მიცემა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად დასამახსოვრებელი იქნება ინფორმაცია, რომელიც მთხრობელმა გადმოსცა.

სანამ მთხრობელი ინფორმაციის გადმოცემას დაიწყებდეს, მან უნდა გაითვალისწინოს ვინ არის მისი მსმენელი. ამაზეა დამოკიდებული როგორი ფორმით და სირთულის ხარისხით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია. მნიშვნელოვანია თხრობისთვის მთავარი იდეის განსაზღვრა, რომლის გაზიარებაც სურს მთხრობელს.

უნდა გვახსოვდეს, რომ თხრობის უნარი ესაჭიროება მოსწავლეს ყველა აკადემიური საგნის ათვისების პროცესში. ის სჭირდება ადამიანს ყოველდღიურად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის.

თხრობის პროცესში ჩართული კოგნიტური უნარები

ზოგიერთი ადამიანისთვის თხრობის უნარი შეიძლება მარტივად ჟღერდეს, მაგრამ ის რთული და კომპლექსური პროცესია. თხრობა მოითხოვს ისეთი კოგნიტური პროცესების ერთდროულად მუშაობას, როგორიცაა მეტყველება, მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და ფანტაზია. თხრობის პროცესის ეფექტურობაში ემოციების გაგებასა და გამოხატვას, არავერბალური კომუნიკაციის კომპონენტებსაც დიდი წვლილი შეაქვთ.

განვიხილოთ სხვადასხვა კოგნიტური პროცესის როლი თხრობის პროცესში.

ექსპრესიული მეტყველება - თხრობის უნარისთვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს მოსწავლის მეტყველების განვითარების დონე, ლექსიკური მარაგი, რთული კომპლექსური წინადადებებით საუბრის უნარი.

მეხსიერება - მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მოსწავლემ მოახდინოს ძირითადი ფაქტების გარშემო არსებული დეტალების დამახსოვრება.

ყურადღება - აუცილებელია, რომ მოსწავლემ შეძლოს კონცენტრირება მნიშვნელოვან დეტალებზე, გაფილტროს არაარსებითი ინფორმაცია, გადმოსცეს ძირითადი აზრი, საუბრის დროს ყურადღება არ გადაერთოს გარემოში არსებულ სხვადასხვა გამღიზიანებელზე.

დაგეგმვა - თავის ტვინის აღმასრულებელი ფუნქციებიდან ერთ-ერთია. დაგეგმვის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე საფეხურიანი მოქმედებების შესრულების დროს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თხრობა მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელიც თანმიმდევრულად უნდა გაიაროს მთხრობელმა.

აზროვნება - მნიშვნელოვანია, რათა თხრობის პროცესში მთხრობელმა მოვლენები ლოგიკურად დაუკავშიროს ერთმანეთს, მოახდინოს გარკვეული ფაქტების აბსტრაჰირება.

თხრობის სირთულეები სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

თხრობა განსაკუთრებით რთული ამოცანა შეიძლება იყოს სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც აქვთ ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა, სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევა კითხვაში, მეტყველებისა და ენის განვითარების შეფერხება.

ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა - ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა ვლინდება ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის ინტელექტუალურ ფუნქციონირებასა და ადაპტურ ქცევაზე. ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევის დროს ვლინდება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა კოგნიტური (შემეცნებითი) ფუნქციების განვითარებაში. კოგნიტური ანუ შემეცნებითი ფუნქციებია: აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება, მეტყველება. ყველა ეს უნარი მნიშვნელოვანია თხრობის პროცესისთვის. ამასთანავე, ასაკობრივ ნორმასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გვხვდება როგორც იმპრესიულ, ასევე ექსპრესიულ მეტყველებაში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მოსწავლის მიერ საკუთარი აზრების გადმოცემის შესაძლებლობაზე.

სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევა კითხვაში - კითხვის სირთულეები მოსწავლეების ნაწილში განპირობებულია მეტყველებით გაშუალებული ინფორმაციის გადამუშავების სირთულით, რაც გავლენას ახდენს თხრობის პროცესზეც. მოსწავლეებს გამოხატული აქვთ კოგნიტური უნარების არათანაბარი განვითარება, მაგალითად მეხსიერების პროცესის შევიწროვება, ყურადღების კონცენტრაციის სირთულე, რაც თხრობაზე გავლენას ახდენს.

მეტყველებისა და ენის განვითარების შეფერხება - მეტყველებისა და ენის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ მოთხრობის ნაწილების გაგება, მოვლენების თანმიმდევრობის განსაზღვრა და სიტუაციის შესაბამისი ლექსიკის გამოყენება. მათ შეიძლება გაუჭირდეთ აბსტრაქტული ცნებების გაგება, პირადი ისტორიების გადმოცემა.

ზოგადი სტრატეგიები თხრობის უნარის განვითარებისთვის

ქვემოთ განხილული სტრატეგიები დაგეხმარებათ ბავშვებში, თხრობის უნარის განვითარების სტიმულირებაში.

- დაეხმარეთ ბავშვებს გახდნენ კარგი მთხრობელები - ერთ – ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგია, რაც თხრობის უნარს ავითარებს, არის ბავშვის განვითარების შესაბამისი წიგნების კითხვა. სასურველია, რომ წიგნი იყოს დასურათებული და მასწავლებელი თუ მშობელი აქტიურად რთავდეს ბავშვს ტექსტის განხილვის დროს, უსვამდეს შეკითხვას, სთხოვდეს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სიუჟეტთან დაკავშირებით;

- მოსწავლეს მიეცით საშუალება თვითონ აირჩიოს წიგნი და თქვენ წაუკითხეთ. ბავშვები უფრო მეტი ყურადღებით ისმენენ იმ ტექსტებს, რომლებიც მათ აინტერესებთ;

- ჰკითხეთ ბავშვს ვინ არიან მოთხრობის მთავარი პერსონაჟები, სად ცხოვრობენ ისინი, რა ამოცანის წინაშე დგანან, როგორ ახდენენ სირთულეებთან ასე ხელს შეუწყობთ წიგნში გადმოცემული ამბის გაგებას.

- დაეხმარეთ ბავშვს გაიაზროს რა ემოციას განიცდის ესა თუ ის პერსონაჟი, ჰკითხეთ, როგორ მიხვდა, რომ ამ ემოციას განიცდის, როგორ გამოხატავს მას. დააკავშირებინეთ პერსონაჟის განცდები საკუთართან, მოიყვანეთ ანალოგიის მაგალითები;

- დაეხმარეთ ბავშვს დაყოს სიუჟეტი ნაწილებად. იმ ბავშვებს, ვისაც უჭირს ამბის გადმოცემა, ხშირად სირთულეები აქვთ მოვლენების თანმიმდევრობით დალაგებაში. მაგალითად, მას შემდეგ რაც წაიკითხავთ მოთხრობას, დაეხმარეთ ბავშვს, იგი სამ მნიშვნელოვან ნაწილად დაყოს. სიუჟეტის თითოეულ ნაწილზე შეგიძლიათ სთხოვოთ, დახატოს ნახატი და მოგიყვეთ რა დახატა. ტექსტის არჩევისას უნდა გაითვალისწინოთ ტექსტის თემა, მოცულობა, სირთულე და ბავშვის განვითარების დონე;

- დასურათებული წიგნები ტექსტის გარეშე, ძალიან კარგი რესურსი შეიძლება იყოს მოსწავლეებისთვის რომელთაც ენისა და მეტყველების განვითარების შეფერხება აქვთ და არ აქვთ განვითარებული კითხვის უნარი. ასეთი სიუჟეტური სურათების თვალიერება, მისი აღწერა, ხელს უწყობს ფანტაზიისა და ლექსიკის განვითარებას;

- თხრობის პროცესში მნიშნველოვანია არავერბალური კომუნიკაციის კომპონენტების, სხეულის ენის ჩართვა. გაათამაშებინეთ ბავშვს თუ როგორ შეიძლება გამოხატოს მღელვარება, შიში, შოკი, მწუხარება ან ნებისმიერი განცდა, რომელსაც პერსონაჟი შეიძლება განიცდიდეს. მოსწავლესთან ერთად დადექით სარკის წინ და ისე გაითამაშეთ ემოციები;

- გამოიყენეთ სხვადასხვა რეკვიზიტები. ბავშვებისთვის თხრობის პროცესი შეიძლება იყოს თოჯინების თეატრის, კომედიური შოუს და მუსიკალური

კონცერტის შემადგენელი ნაწილი. შეარჩიეთ რეკვიზიტები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება დაეხმაროს ბავშვს ამბის თხრობაში;

- შეეცადეთ თხრობისას მოდელირება გაუკეთოთ ბავშვს - შეცვალეთ ხმის ტონი, მეტყველების ტემპი. ბავშვებს მოსწონთ, როდესაც მთხრობელი სხვადასხვა პერსონაჟის განსახიერებისას სხვადასხვა ინტონაციას იყენებს. მაგალითად, ხრინწიანი ხმით შეგიძლიათ განასახიეროთ მოხუცი ქალი, მაღალი ხმით ახალგაზრდა გოგონა. ეს დაეხმარება ბავშვებს თითოეული პერსონაჟის მარტივად ამოცნობასა და წარმოდგენაში;
- დაუსვით ღია ტიპის შეკითხვები. ეს დაგეხმარებათ თქვენი მოსწავლეების ყურადღების მიქცევაში. ეს ასევე დაგეხმარებათ გაიგოთ, რამდენად კარგად გააცნობიერა მოსწავლემ ესა თუ ის შინაარსი;
- შეგიძლიათ ერთი და იგივე ტექსტი რამდენჯერმე გამოიყენეთ, თუ ის თქვენ მოსწავლეს მოწონს. ბავშვებს უყვართ გამეორება, ერთი და იმავე ისტორიის რამდენჯერმე მოსმენა და მოყოლა. სიუჟეტის გამეორება აუმჯობესებს ამბის გადმოცემის ხარისხს;
- შეცვალეთ სიუჟეტის სათაური, შეცვალეთ სიმბოლოები და ა.შ. ნაცნობი ამბისთვის ახალი დეტალების დამატება კარგი საშუალებაა მოსწავლის ყურადღების მოსაპყრობად, ფანტაზიის უნარის განსავითარებლად;
- მოსწავლისთვის ნაცნობ სიუჟეტში შეცვალეთ რომელიმე პერსონაჟი ან სიტუაცია, შემოიყვანეთ პერსონაჟი რომელიმე სხვა მოთხრობიდან ან ნაწარმოებიდან. ეს დაეხმარება ბავშვს ნაცნობი სიუჟეტის განსხვავებული კუთხით გადმოცემაში. ასევე, ხელს შეუწყობს აზროვნების პროცესებისა და მეტყველების უნარის განვითარებას;
- მოაყოლეთ ბავშვს ისტორიები მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან, ასაუბრეთ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე;
- ერთად განავითარეთ საკუთარი წარმოსახვითი ისტორიები. მაგალითად უთხარით: „გუშინ დილით პარკში უზარმაზარი, მეწამული დრაკონი დავინახე!“ და დაუწყეთ შეკითხვების დასმა: შენი აზრით დრაკონს რა ჰქვია? რამდენი წლის არის? იქ საიდან მივიდა და ა.შ

თხრობის უნარის განვითარების ხელშეწყობა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კოგნიტური უნარების განვითარებაზე შემდეგი კუთხით:

- აუმჯობესებს ენისა და მეტყველება განვითარებას;
- ავითარებს წარმოსახვას;
- ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას;
- აუმჯობესებს მოსმენის უნარს და ავითარებს კომუნიკაციურ უნარებს;
- ავითარებს ემოციების გაგებისა და გამოხატვის უნარებს.

თხრობის უნარის განვითარება მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით საგანმანათლებლო პროცესს ხდის ბავშვისთვის უფრო სასიამოვნოს და ეფექტიანს.



თხრობის უნარის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები

1. მოთხრობის ქვები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ქვები
- ✓ ფერადი საღებავები
- ✓ ფუნჯი

ან

- ✓ წებო
- ✓ სტიკერები
- ✓ ჟურნალიდან ამოჭრილი სურათები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობის ჩასატარებლად დაგჭირდებათ უბრალო ქვები, რომლებიც შეგიძლიათ მოაგროვოთ როგორც სანაპიროზე ასევე ტყე-პარკში. მოთხრობის ქვებით გასაფორმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სტიკერები, საღებავები ან ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები. იმისდა მიხედვით, თუ რა სურათს დაიტანთ ქვაზე, მისი გამოყენება მრავალმხრივ შეგიძლიათ. ბავშვის განვითარების დონიდან გამომდინარე, შეგიძლიათ აიღოთ ერთი ან რამდენიმე ქვა და სთხოვოთ ბავშვს, მოგიყვეთ ამ ქვაზე მოკლე ისტორია. დახმარების მიზნით, შეგიძლიათ ბავშვს დაუსვათ კითხვები, მაგალითად: „შენი აზრით, ვინ არის ქვაზე გამოსახული?“, „სად ცხოვრობს?“, „ვისთან ერთად?“, „რამდენი წლისაა?“, „ახლა რას აკეთებს?“.

2. მოთხრობის ჩანთა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მცირე ზომის ჩანთა
- ✓ სხვადასხვა ნივთები ან სათამაშოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ მცირე ზომის ჩანთა, რომელსაც დაარქმევთ „მოთხრობის ჩანთას“. თქვენ შეგიძლიათ მოთხრობის ჩანთაში ჩაყაროთ ისეთი ნივთები, რომლებიც რომელიმე კონკრეტულ მოთხრობაში არის გამოყენებული, ან გამოიგონოთ საკუთარი მოთხრობა და ნივთები შეაგროვოთ თქვენი მოთხრობის საფუძველზე. რადგანაც აქტივობა იძლევა ტაქტილური შეგრძნების გამოყენების საშუალებასაც ის ეფექტურად გამოიყენება მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებთანაც. მოთხრობის ჩანთა ეფექტურად გამოიყენება ყველა ბავშვთან, არ აქვს მნიშვნელობა მათ ასაკობრივს ჯგუფს თუ განვითარების ეტაპს.

მოთხრობის ჩანთაში შეგიძლიათ ჩაყაროთ: რბილი სათამაშოები, ზოოპარკის ცხოველები, ლეგოს ფიგურები, ჩხირები / ბალახი / თივა / და ა.შ. მოთხრობის ჩანთა შეგიძლიათ რამდენიმე კუთხით გამოიყენოთ. მაგალითად შეიძლება დასხდეთ ბავშვებთან და ჰკითხოთ, რას ფიქრობენ, რა დევს ჩანთაში. შემდეგ შეგიძლიათ ჩანთაში არსებული ნივთები გადმოალაგოთ იატაკზე, დასხდეთ ძირს მათთან ერთად და თხოვოთ, აირჩიონ ნივთები და მოიფიქრონ მათზე ისტორია.

3. მოთხრობის ქილა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მინის ქილა
- ✓ ფურცელი
- ✓ საწერი კალამი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



აიღეთ თქვენი სამზარეულოდან ცარიელი ქილა. ფურცელი დაჭერით რამდენიმე ნაწილად. თითოეულ პატარა ფურცელზე დაწერეთ შემთხვევითი სიტყვა ან ფრაზა. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგალითად, კატა, პრინცესა ან ფრაზა თუნდაც რომელიმე მოთხრობიდან. ქილაში ჩადეთ ყველა ქაღალდი. შემდეგ რიგრიგობით ამოიღეთ ფურცელი ბავშვთან ერთად. ფურცელზე დაწერილი სიტყვის მიხედვით ბავშვმა უნდა თქვას წინადადება, ან მოჰყვეს ამბავი ამ სიტყვის ან ფრაზის გამოყენებით. დასახმარებლად შეგიძლიათ ჰკითხოთ:

„რას ხედავს ან რა ესმის შენს პერსონაჟს?“

„კიდევ ვინ არის მასთან ერთად?“

„როგორ გამოიყურება ის ადგილი სადაც ეს პერსონაჟია?“

4. მოთხრობის გეგმა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სურათები (წიგნი, გოგონა/ბიჭი, სახლი)
- ✓ თეთრი თაბახის ფურცელი
- ✓ წებო
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

თხრობის უნარი ბავშვისგან მოითხოვს აზრების ორგანიზებას. ეს ხშირად სირთულეს წარმოადგენს ბევრი მოსწავლისთვის. ამ სირთულის დასაძლევად მასწავლებელს შეუძლია ბავშვს შესთავაზოს მარტივი გეგმა. აქტივობებისთვის აიღეთ თეთრი თაბახის ფურცელი. საბავშვო ჟურნალიდან ამოჭერით წიგნის სურათი, რომელიმე პერსონაჟი და სახლის სურათი. დააკარით სურათები ფურცელზე თანმიმდევრობით ვერტიკალურ მწკრივში. შეგიძლიათ იგივე ბავშვს დაახატვინოთ. სთხოვეთ ბავშვს, მოგიყვეთ მოთხრობა, ფურცელზე განლაგებული ვიზუალური მასალის მიხედვით. სთხოვეთ მაგალითად: რა ჰქვია მის მოთხრობას, ვინ არის მთავარი პერსონაჟი, სად ხდება მოქმედება და ა. შ.

5. თავგადასავლების რუქა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თაბახის დიდი ზომის ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

უთხარით მოსწავლეს, დახატოს ქალაქის რუქა. ეს შეიძლება იყოს გამოგონილი ქალაქი ან რეალური. ქალაქში შეიძლება იყოს შენობები მაგალითად: სკოლა, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, პარკი და მაღაზიები. საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ ბავშვს რუქის შექმნაში, რუქის შექმნისთანავე, თუ თქვენი რუქა წარმოსახვითი ქალაქისაა, სთხოვეთ წარმოიდგინოს, როგორი იქნებოდა იქ ცხოვრება. მოუყევით ამბავი ამ ქალაქში ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. მაგალითად, უთხარით მოდი წარმოვიდგინოთ რომ „ერთ დღეს უცხოპლანეტელები, ჩამოვიდნენ ქალაქში, როგორ ფიქრობ, შემდეგ რა მოხდებოდა?“

6. ქაღალდის მარიონეტები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ წებო
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა ქაღალდის მარიონეტები ძალიან კარგი საშუალებაა მოთხრობის პერსონაჟებს შორის დიალოგის გასათამაშებლად. ბავშვთან ერთად ფურცელზე დახატეთ რამდენიმე პერსონაჟი. გამოჭერით ნახატი და გარშემო ფურცელი შემოაჭერით ისე, რომ შეძლოთ მისი თითზე დახვევა და დახვეული ქაღალდის დაწებება. თქვენი ქაღალდის მარიონეტები შეიძლება იყოს ნებისმიერი პერსონაჟი, რომელიც ბავშვს მოსწონს, მაგალითად, ზღაპრის ზოგიერთი პერსონაჟი ან თუნდაც მისივე ოჯახის წევრები. შეეცადეთ, ავარჯიშოთ ბავშვი პერსონაჟებს შორის როლურ თამაშში სხვადასხვა სიუჟეტის გამოგონებით.

7. მოთხრობის კუბები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ წებო
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლესთან ერთად ფურცელზე დახატეთ სხვადასხვა ობიექტი. გამოჭერით ფურცელი ისე, რომ შეძლოთ მისთვის კუბის ფორმის მიცემა და დააწებეთ კუბები. კუბების რაოდენობა შეგიძლიათ განსაზღვროთ ბავშვის განვითარების დონიდან გამომდინარე. კუბები ბავშვთან ერთად დააწყვეთ სხვადასხვა თანმიმდევრობით და მოაყოლეთ მათზე მოკლე ისტორია. მაგალითად სად ხდებოდა მოვლენა, ვინ არის მთავარი გმირი და ა.შ

8. საოჯახო ფოტოები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ საოჯახო ფოტოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სთხოვეთ მოსწავლეს, მოიტანოს მისთვის საყვარელი რამდენიმე ფოტო, რომელზეც მისი ოჯახის წევრები არიან აღბეჭდილები. შეგიძლიათ სთხოვოთ, აირჩიოს 1 ან 2 ფოტო და მოჰყვეს ამ ფოტოს გადაღების ისტორია, აღწეროს თითოეული ოჯახის წევრი.

9. ჩემი მეგობრის ნახატი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ეს არის პატარა სახალისო ჯგუფური აქტივობა. შეგიძლიათ გამოიყენოთ მცირე ზომის ჯგუფში. თითოეული მოსწავლე ფურცელზე ხატავს ნებისმიერ რამეს, რაც მას სურს. შემდეგ თითოეული მოსწავლე თავის ნახატს აძლევს გვერდით მჯდომ მეგობარს. გვერდით მჯდომმა მოსწავლემ მეგობრის ნახატის საფუძველზე უნდა მოჰყვეს რაიმე ისტორია ნახატის შესახებ. აქტივობა კარგია ჯგუფის წევრების დასაახლოვებლად და მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად. ეს აქტივობა აუმჯობესებს ასევე მოსწავლეების ვიზუალიზაციის და ინტერპრეტაციის უნარს.

10. ქაღალდის ქალაქი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ქაღალდი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ქაღალდის ქალაქის შექმნა შეგიძლიათ როგორც საკუთარი ნახატების საშუალებით, ასევე ინტერნეტიდან დაბეჭდილი სურათებით. მაგალითად, დახატეთ რამდენიმე პერსონაჟი და რამდენიმე შენობა, გამოჭერით, გაუკეთეთ ქაღალდის დასადგამები და დააწებეთ. განალაგეთ ქაღალდის ფიგურები მაგიდაზე მოსწავლესთან ერთად. სთხოვეთ, როგორც სურს პერსონაჟები ისე გადაადგილოს შენობებს შორის და მოკლე ისტორია მოგიყვეთ. მაგალითად, ვინ არის პერსონაჟი, სად მიდის, რატომ შედის კონკრეტულ შენობაში და ა.შ

11. სათამაშოების ყუთი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ პლასტმასის კონტეინერი
- ✓ სხვადასხვა სათამაშოები, ან ნივთები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ პლასტმასის კონტეინერი, ჩაყარეთ შიგნით შემთხვევითი ნივთები, რომლებიც თქვენთვის არის ხელმისაწვდომი. სთხოვეთ ბავშვს, თვალები დახუჭოს და კონტეინერიდან რამდენიმე ნივთი ამოიღოს. სთხოვეთ, ამოღებული ნივთების გამოყენებით მოიფიქროს მოკლე ისტორია. აქტივობა შეგიძლიათ გააკეთოთ როგორც ერთ მოსწავლესთან, ასევე, ჯგუფურად.

12. მომღერალი თოჯინები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ნაჭრები
- ✓ მაკრატელი
- ✓ ნემსი
- ✓ ძაფი
- ✓ ბამბა
- ✓ ღილები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფერადი ნაჭრებისგან მოსწავლესთან ერთად შეკერეთ თოჯინები. გაინაწილეთ თოჯინები თქვენ და თქვენმა მოსწავლემ. შეგიძლიათ აქტივობაში რამდენიმე მოსწავლე პარალელურად ჩართოთ. სთხოვეთ მოსწავლეს/მოსწავლეებს, თავის თოჯინაზე მოჰყვეს ან სიმღერით გადმოსცეს ისტორია, მაგალითად ვინ არის ეს თოჯინა, სად ცხოვრობს, რის გაკეთება უყვარს და ა.შ.

13. საბავშვო თეატრი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ მაკრატელი
- ✓ ნაჭრები სცენის გასაფორმებლად

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აარჩიეთ თხრობისთვის თქვენთვის საინტერესო და სასურველი სიუჟეტი და მის საფუძველზე მოაწყვეთ სცენა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ტყე, სანაპირო, ქალაქის პატარა ბინა, თუ სხვა პლანეტა. სთხოვეთ მოსწავლეს, აღწეროს გარემო, სადაც ვითარდება სიუჟეტი და მოიფიქროს ვინ შეიძლება იყვნენ ამ სიუჟეტის მთავარი გმირები. სცენის გასაფორმებლად გამოიყენეთ სხვადასხვა დეტალები, რათა დაეხმაროთ მოსწავლეს უკეთ წარმოიდგინოს სიუჟეტი.

14. ყვავილების მაღაზია

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ წებო
- ✓ მაკრატელი
- ✓ ქაღალდის ყუთები ან პლასტმასის ჭიქები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლესთან ერთად ფერადი ფურცლებისგან ყვავილები გამოჭერით. დააწებეთ ისინი ღეროზე და ჩააწყვეთ პლასტმასის ან მუყაოს ჭიქებში. განალაგეთ მაგიდაზე ან თაროებზე. სთხოვეთ მოსწავლეს წარმოიდგინოს, რომ ეს არის ყვავილების მაღაზია.

მოაყოლეთ ბავშვს მოთხრობა ყვავილების მაღაზიაზე, მაგალითად, თუ ვინ გახსნა ეს მაღაზია, ვინ არის მაღაზიის მფლობელი, ვინ არიან მყიდველები, ვისთვის შეიძლება ყიდულობდნენ ყვავილებს და ა.შ.

15. ფერადი ცომები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი ცომები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფერადი ცომის გამოყენება შესაძლებელია დეკორაციების, ცხოველების, საკვების, ან ნებისმიერი სხვა ნივთის შესაქმნელად. მიეცით მოსწავლეს საშუალება თვითონ გადაწყვიტოს რის შექმნა სურს. მნიშნველოვანია, პროცესში სთხოვოთ მოსწავლეს გაახმოვანოს რას აკეთებს, რომელი ფერის ცომი სჭირდება, რომელი ხილის გამოძერწვას აპირებს, რისთვის სჭირდება ეს ხილი და ა.შ.

16. ვიპოვოთ სურათები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ კომპიუტერი/ან ტაბლეტი/ან ტელეფონი
- ✓ ინტერნეტთან წვდომა

<u>აქტივობის აღწერა:</u>

გახსენით ფოტოები გუგლის საძიებო სისტემაში. სთხოვეთ ბავშვს დახუჭოს თვალები და თითი დაადოს ეკრანზე რომელიმე ადგილს. შემდეგ გაახელინეთ თვალები და რომელ ფოტოზეც დაადებს თითს, სთხოვეთ, იმ ფოტოზე მოიფიქროს ისტორია. მას შეუძლია შექმნას პერსონაჟები, აღწეროს როდის და რა გარემოში ხდება მოვლენა, როგორია მისი მოთხრობის დასასრული. იგივე მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ მობილური ტელეფონი ან ტაბლეტები.

17. როცა გმირი ვიყავი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობას არ სჭირდება რაიმე ტიპის რესურსი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სთხოვეთ თქვენ მოსწავლეს, გაიხსენოს ისტორია, რომლის დროსაც ვინმეს დამხარება გაუწია. მაგალითად, გახსოვს, როდესაც დეიდას დაკარგული საფულე იპოვე? მომიყევი სად იყავი, როდის დაიკარგა საფულე, რამდენი ხანი ეძებდი. რა გითხრა დეიდამ როცა მიუტანე საფულე და ა.შ თუ მოსწავლე ვერ ახერხებს რაიმე მსგავსი ისტორიის გახსენებას, შეგიძლიათ მოაყოლოთ გამოგონილი ამბავი. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ სუპერგმირი ხარ. როგორ ფიქრობ, რას გააკეთებდი?

18. თხრობის კამათელი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი დაბეჭდილი ნახატები

ან

- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ინტერნეტიდან ამობეჭდეთ სურათები. სურათები დაჭერით ოთხკუთხედებად და დააწებეთ ისე, რომ მისცეთ კამათლის ფორმა. მოსწავლეს სთხოვეთ გააგოროს კამათელი და რომელი ორი სურათიც ამოვა იმათზე შეადგინოს წინადადება ან მოგიყვეთ რამდენიმე წინადადებისგან შემდგარი ისტორია. მოსწავლეს, განვითარების დონის მიხედვით, შეგიძლიათ, ერთდროულად რამდენიმე კამათელი გააგორებინოთ და რამდენიმე სიტყვის საფუძველზე შეადგენინოთ მოკლე მოთხრობა.

19. ერთობლივი მოთხრობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ეს აქტივობა ეფექტურად გამოიყენება ჯგუფთან და მოსწავლეებისთვის ძალიან სახალისოდ მიმდინარეობს.

ერთი მონაწილე იწყებს აქტივობას. ფურცლის დასაწყისში წერს წინადადებას, გადაკეცავს ქაღალდს, ისე რომ, მხოლოდ ნაწერის ბოლო სიტყვა ჩანს და გადასცემს შემდეგ მოსწავლეს. შემდეგი მოსწავლე კითხულობს სიტყვას და თავისი ფანტაზიით ამატებს წინადადებას. ეს გრძელდება მანამ, სანამ ჯგუფში ყველა მონაწილე არ დაწერს წინადადებას. თუ ჯგუფში მონაწილეების რაოდენობა ცოტაა შეგიძლიათ ორ წრეზე გაათამაშოთ აქტივობა. დასრულების შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ნაწერს და ყველა ემზადება მხიარულებისთვის. მოსწავლეების განვითარების დონის მიხედვით, შესაძლოა, წინადადების ნაცვლად თითოეულ მონაწილეს სთხოვოთ დაწეროს მოკლე სიუჟეტი, ხოლო ყოველმა მომდევნო მონაწილემ სიუჟეტი განავრცოს წინა მონაწილის მიერ დაწერილი ბოლო წინადადების საფუძველზე.

20. მაგნიტური დაფა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მაგნიტური დაფა
- ✓ მაგნიტური დაფის - მაგნიტები
- ✓ წებო
- ✓ წიგნიდან ან ჟურნალებიდან ამოჭრილი ფერადი სურათები
- ✓ მუყაოს სქელი ქაღალდი
- ✓ ორმაგი წებოვანი ლენტი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ძველი წიგნიდან ან რომელიმე საბავშვო ჟურნალიდან ამოჭერით სურათები. დააწებეთ სქელ მუყაოს ფურცელზე და ორმაგი წებოვანი ლენტით დაამაგრეთ მაგნიტების გამოყენებით. სურათები მაგნიტურ დაფაზე განალაგეთ სხვადასხვა თანმიმდევრობით და სთხოვეთ მოსწავლეს, რომ მოჰყვეს რაიმე ისტორია დაფაზე განლაგებულ სურათებზე. შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეს, რომ მაგნიტები გადაანაცვლოს და ამის მიხედვით მეორე ისტორიაც მოიფიქროს.

21. ცხოველების ისტორია

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფლომასტერი
- ✓ ჟურნალიდან ამოჭრილი სურათები (ცხოველების, საკვების, პერსონაჟების)
- ✓ შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ პატარა პლასტმასის სათამაშო ცხოველებიც

<u>აქტივობის აღწერა:</u>



აქტივობა დამხმარეა იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც თხრობის პროცესში უჭირს აზრების ორგანიზება.

აიღეთ თაბახის ფურცელი და დაყავით 3 ნაწილად. პირველ ნაწილს დააწერეთ სიუჟეტის მთავარი გმირი, მეორეს საკვები, მესამეს ცხოველი. შეგიძლიათ სათაურები შეცვალოთ თქვენი მიზნებიდან გამომდინარე. ამოჭერით საბავშვო ჟურნალებიდან ცხოველების და საკვების სურათები. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბუტაფორიული სათამაშოებიც. სთხოვეთ მოსწავლეს, განალაგოს ისინი შესაბამის გრაფაში. ყოველი გრაფის გასწვრივ განლაგებული ნივთების მიხედვით ააგებინეთ წინადადება, ან მოაყოლეთ მოკლე ისტორია.

22. სურათებიანი კამათელი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დასურათებული კამათელი
  ან
- ✓ მცირე ზომის დაბეჭდილი პიქტოგრამები
- ✓ კამათელი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობისთვის დაგჭირდებათ საბავშვო კამათლები, რომლებზეც გამოსახულია ფიგურები. თუ არ გაქვთ მსგავსი კამათელი, შეგიძლიათ, ინტერნეტიდან ამობეჭდოთ მცირე ზომის პიქტოგრამული სურათები და დააწებოთ უბრალო კამათელს. დაამზადეთ რამდენიმე ასეთი კამათელი. სთხოვეთ მოსწავლეს

დახუჭოს თვალები, შემთხვევით ამოიღოს რომელიმე და გააგოროს. სთხოვეთ, მოიფიქროს წინადადება იმ ფიგურაზე, რომელიც ამოუვიდა ან მოგიყვეთ რამდენიმე წინადადებისგან შემდგარი ისტორია. მოსწავლის განვითარების დონის მიხედვით შეგიძლიათ ერთდროულად შექმნათ რამდენიმე კამათელიც და რამდენიმე სიტყვის გამოყენებითაც შეადგენინოთ მოთხრობა.

23. თხრობის ბარათები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დასურათებული ბარათები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობისთვის დაგჭირდებათ ფერადი ბარათები, რომელზეც სხვადასხვა გამოსახულებებია დატანილი. ამ ბარათების დამზადება თქვენც შეგიძლიათ. აქტივობის განხორციელება შეგიძლიათ ორნაირად. სთხოვეთ მოსწავლეს გადმოაბრუნოს ბარათები, ამოიღოს რომელიმე ორი ბარათი და მათზე შეადგინოს წინადადება, ან რამდენიმე წინადადებისგან ისტორია. ასევე, მოსწავლემ შეიძლება რომ ამოარჩიოს ბარათებიდან ის ბარათები რომლებიც მოსწონს, განალაგოს მისთვის სასურველი თანმიმდევრობით და მათ შესახებ მოჰყვეს მოკლე ისტორია. ბარათები შეგიძლიათ დაამზადოთ თემატურად, ან სხვადასხვა საგნის ცნებების გამოყენებით.

24. საყვარელი კერძი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ რომელიმე კერძის დაბეჭდილი რეცეპტი
- ✓ ბუტაფორიული საკვები სათამაშოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მოვლენების თანმიმდევრობის განსაზღვრა, აზრების ორგანიზება. მოსწავლისთვის ამობეჭდეთ რომელიმე მარტივი კერძის რეცეპტი. დაალაგეთ მაგიდაზე ბოსტნეულის ბუტაფორიული სათამაშოები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოთ საკვების ნახატი). წაიკითხეთ რეცეპტი მოსწავლესთან ერთად და სთხოვეთ, წარმოიდგინოს ის კერძი, რომელსაც ამზადებს, დაასახელოს და გაჩვენოთ შემადგენელი ინგრედიენტები. კერძის მომზადების ნაბიჯები აღწერეთ ერთობლივად.

25. სათამაშო ცხოველები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ ცხოველების ბუტაფორიული სათამაშოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობისთვის დაგჭირდებათ სათამაშოები ცხოველების გამოსახულებით. აქტივობის ჩატარება შეგიძლიათ სხვადასხვანაირად. დაულაგეთ მოსწავლეს ცხოველები მაგიდაზე. სთხოვეთ, აირჩიოს მისთვის საინტერესო ერთი ცხოველი და მოიფიქროს რაიმე ისტორია მის შესახებ. შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები, მაგალითად, „სად ცხოვრობს?“, „რის ჭამა უყვარს?“ და აშ. მოსწავლის განვითარების დონიდან გამომდინარე, შეგიძლიათ სთხოვოთ, აიღოს ორი ან უფრო მეტი ცხოველი და მათი თანაცხოვრების შესახებ მოიგონოს რაიმე მოთხრობა, ამბავი.

26. რა ჩავიცვათ?

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- სოციალურ სიტუაციებზე მსჯელობის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დახატული ან დაბეჭდილი გოგონას ან ბიჭის თოჯინას სურათი
- ✓ დახატული ან დაბეჭდილი სხვადასხვა სახის ტანსაცმელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა სახალისო საშუალებაა მოსწავლეებისთვის, როგორც თხრობის უნარის განსავითარებლად, ასევე, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებზე მსჯელობის წასახალისებლად.

აიღეთ გოგოს ან ბიჭის სურათი და გამოჭერით ბავშვთან ერთად. გამოჭერით, ასევე, სხვადასხვა ტანსაცმლის სურათები. შესთავაზეთ მოსწავლეს მოიფიქროს, თუ სად ისურვებდა წასვლას. აარჩევინეთ, რომელ ტანსაცმელს ჩაცმევდა გოგონას ან ბიჭს. სთხოვეთ, დაასახელოს სად მიდის და აღწეროს მომზადების პროცესი.

27. სტუმრები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ დაბეჭდილი ქართული კერძების სურათები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოსწავლესთან ერთად წარმოიდგინეთ, რომ განსაკუთრებული მოვლენა ხდება მის ოჯახში, რომლის დროსაც ელოდებიან სტუმრებს. ჰკითხეთ, ვინ იქნებიან მისი სტუმრები, რომელი ქართული კერძების მომზადებას დაიწყებს მისი ოჯახი, როგორ ფიქრობს, რა არის თითოეული სტუმარის საყვარელი საჭმელი. სთხოვეთ, აღწეროს როგორ დაეხმარება ოჯახს კერძების არჩევის და მომზადების პროცესში, სუფრის გაშლის დროს.

28. წავიკითხოთ წიგნი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ დასურათებული წიგნები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წიგნების ერთობლივი კითხვა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა თხრობის უნარის და ექსპრესიული ენის განვითარების მიზნით. წიგნი უნდა შეარჩიოთ მოსწავლის განვითარების დონისა და ინტერესების გათვალისწინებით. სასურველია, წიგნები იყოს დასურათებული. აუცილებელია, მოსწავლეს წიგნის კითხვის დროს დაუსვათ ღია შეკითხვები. მაგალითად, „რას აკეთებს მთავარი პერსონაჟი?“ "როგორ გრძნობს თავს?" "რა ხდება ამ სურათზე?".

29. ნახატი მოთხრობაზე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ მოთხრობა ან ტექსტი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობისთვის დაგჭირდებათ შეარჩიოთ ტექსტი მოსწავლის განვითარების დონის მიხედვით. შეგიძლიათ აქტივობა ჩაატაროთ რამდენიმე მოსწავლესთან ერთდროულად.

წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა. მოსწავლეებს მიეცით ფურცელი და ფერადი ფანქრები. სთხოვეთ, მოსმენილი ტექსტის საფუძველზე დახატონ ნახატი. ხატვის დასრულებისთანავე სთხოვეთ, აღწერონ თავიანთი ნახატები.

30. მოთხრობის მთა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი თაბახის ფურცელი
- ✓ ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



აირჩიეთ ტექსტი, რომელსაც წაიკითხავთ მოსწავლესთან ერთად. დახაზეთ ფურცელზე მთის მონახაზი.

მთის დასაწყისში ნახაზს დააწერეთ „დასაწყისი“,-მოსწავლემ უნდა აღწეროს, სად ხდება მოვლენები.

აღმართის შუა ნაწილს დააწერეთ „განვითარება“ - მოსწავლემ უნდა აღწეროს, როგორ ვითარდება მოვლენები.

მთის წვერს დააწერეთ „კულმინაცია“ - ეს ის მონაკვეთია მოთხრობაში, სადაც ყველაზე მეტად იძაბება მოვლენები, როდესაც პერსონაჟები აქტიურ როლში შედიან.

დაღმართის შუა ნაწილს დააწერეთ „კვანძის გახსნა“ - მონაკვეთი, სადაც საკითხის გადაწყვეტა, პრობლემის მოგვარება ხდება.

დაღმართის ბოლო ნაწილს დააწერეთ „დასასრული“ - ეს არის ადგილი, სადაც სიუჟეტის შეჯამება ხდება.

შეგიძლიათ აქტივობა ორნაირი მეთოდით ჩაატაროთ. მაგალითად, აირჩიეთ საკითხავი ტექსტი, წააკითხეთ მოსწავლეს და სთხოვეთ, ტექსტში განვითარებული მოვლენები მთაზე განალაგოს შესაბამის ადგილას. ასევე, შეიძლება, სთხოვოთ მოსწავლეს თვითონ მოიგონოს მარტივი მოთხრობა აღნიშნული სქემის გამოყენებით

31. სცენა 3D გამოსახულებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ მუყაოს სქელი ქაღალდი
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აარჩიეთ თხრობისთვის ტექსტი. ტექსტში შემავალი პერსონაჟები და მოვლენების განვითარების ადგილი გამოყავით მოსწავლესთან ერთად.

მაგალითად, ვთქვათ, ტექსტი არის ორ მეგობარ ბიჭზე, რომლებიც ტყეში მიდიან სათამაშოდ. მოსწავლეს სთხოვეთ, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრას ტექსტის პერსონაჟები და ხეები. მიეცით მოსწავლეს მუყაოს სქელი ქაღალდი. სთხოვეთ, დააწებოს ბიჭების სურათები და ხეები ვერტიკალურ მდგომარეობაში, ისე რომ, მიიღოთ 3D გამოსახულება. მოსწავლეს მოკლედ მოაყოლეთ ტექსტი მისი შექმნილი მაკეტის გამოყენებით.

32. მარიონეტები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ წებო
- ✓ მაკრატელი
- ✓ თხელი ჯოხები
- ✓ ძაფები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შეარჩიეთ ტექსტი, ან ბავშვისთვის საყვარელი ანიმაცია. ბავშვთან ერთად ფურცელზე დახატეთ ტექსტის თუ ანიმაციის მთავარი გმირები. გამოჭერით პერსონაჟების სურათები და კიდურებზე დაუმაგრეთ ძაფები, ხოლო ძაფის მეორე ბოლო დაამაგრეთ ხის წვრილ ჯოხს. მოსწავლესთან ერთად მარიონეტების გამოყენებით პერსონაჟებს შორის გაითამაშეთ რომელიმე სცენა შერჩეული მოთხრობიდან თუ ანიმაციიდან.

33. ხის ნაჭრები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ხის ნაჭრები
- ✓ ფერადი საღებავები
- ✓ ფუნჯი

ან

- ✓ სტიკერები
- ✓ ჟურნალიდან ამოჭრილი სურათები
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობის ჩასატარებლად დაგჭირდებათ ხის თხელი ნაჭრები.

სხვადასხვა ობიექტის ან მოვლენის გამომსახველი სურათები გამოჭერით და დააკარით ხეებს. ასევე შეგიძლიათ ფუნჯების და საღებავების საშუალებით მოსწავლეს ხის ნაჭრებზე დაახატინოთ ნებისმიერი რამ, რაც თვითონ სურს. მოსწავლის განვითარების დონიდან გამომდინარე, შეგიძლიათ აიღოთ ერთი ან რამდენიმე ხის ნაჭერი და სთხოვოთ ბავშვს, ამ ხეზე მოგიყვეთ მოკლე ისტორია. დახმარების მიზნით, შეგიძლიათ ბავშვს დაუსვათ შეკითხვები, მაგალითად: „შენი აზრით, ვინ არის ხეზე გამოსახული?“, „სად ცხოვრობს და ვისთან ერთად?“, „რამდენი წლისაა?“, „ახლა რას აკეთებს?“ და ა.შ

34. სახალისო წინადადებები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობას არ სჭირდება ვიზუალური მასალის მომზადება

<u>აქტივობის აღწერა:</u>

თქვენი ფანტაზიით შეადგინეთ დაუსრულებელი წინადადებები და სთხოვეთ მოსწავლეს ამ წინადადებების დასრულება. მიეცით თავისუფლება, მაგალითად, დასასრული შესაძლოა იყოს ლოგიკური, არარეალისტური, შემოქმედებითი ან სასაცილო. წინადადებები შეგიძლიათ შემდეგნაირად შეადგინოთ.

მაგალითად:

1. როდესაც ვბერავ ბუშტებს…
2. ჩემს შინაურ ცხოველს გველეშაპს.....
3. მასწავლებლებს მოსწონთ.....
4. ჩემი საყვარელი საკვებია .....
5. მომწონს.....
6. ვისურვებდი, რომ.....
7. მე ვჭამე.....
8. ვფიქრობ, სკოლა არის.....
9. ჩემი აზრით, ...
10. მე 1 წლის განმავლობაში .....
11. ცუდად ვარ, როდესაც.....
12. ვფიქრობ.....
13. როდესაც ვთამაშობ ფეხბურთს / კომპიუტერს.....

35. რას იზამდი თუ

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

ააქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობას არ სჭირდება ვიზუალური მასალის მომზადება

<u>აქტივობის აღწერა:</u>

შესთავაზეთ მოსწავლეს ერთად ითამაშოთ სახალისო თამაში, რომლის დროსაც თქვენ დაუსვამთ შეკითხვას და მან უნდა გაგცეთ პასუხი. თამაშს დაარქვით „რას იზამდი, თუ“. წინასწარ შეადგინეთ წინადადებები. მაგალითად:

1. მოედანზე უნდა წახვიდე და დაგავიწყდა, სად უნდა შეხვედროდით მეგობარს.
2. სკოლიდან სახლში მიხვედი და არავინ დაგხვდა.
4. დაიკარგე ქუჩაში.
5. მოიგე 100 ლარი.
6. ცურვის გაკვეთილის შემდეგ ვერ იპოვნე ტანსაცმელი.
8. საშინაო დავალება ვერ შეასრულე.
9. არასწორად დაგადანაშაულეს.
10. სამზარეულოში თაგვი დაინახე.

36. ვითამაშოთ სიტყვებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობას არ სჭირდება ვიზუალური მასალის მომზადება

აქტივობის აღწერა:

შესთავაზეთ მოსწავლეს ითამაშოთ სიტყვებით. თქვენ იტყვით სამ სიტყვას და მან უნდა შექმნას წინადადება. სიტყვები შეარჩიეთ მოსწავლის განვითარების დონის მიხედვით, მისი ლექსიკური მარაგის გათვალისწინებით. მაგალითად:

1. საყვარელი, ჩემი, საჭმელი.
2. კომპიუტერი, საუბარი, პასუხები.
3. სასწრაფო, სწრაფად, ზარი.
4. მთა, დღე, წვიმა.
5. ბილეთი, მოგზაურობა, იხილეთ.
6. ფეხბურთი, ამინდი, მსაჯი.
7. ხე, ფრინველი, სამხრეთი.
8. ჯინსი, გუბე, მაისური.
9. ცივი, ზამთარი, ნახშირი.
10. მორბენალი, ოლიმპიური, მედალი.
11. მასწავლებელი, მოსწავლე, საკლასო ოთახი.
12. ყინვა, გამცილებელი, მატარებელი.
14. მავნე, მზე, არდადეგები.
15. წიგნი, მოთხრობა, საინტერესო.
16. სპილო, ფორტეპიანო, შუშები.
18. ველოსიპედი, გზა, საავადმყოფო.
19. ფანქარი, ცეცხლი, სკოლა

37. რა მოხდებოდა თუ

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

ააქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ აქტივობას არ სჭირდება ვიზუალური მასალის მომზადება

აქტივობის აღწერა:

შესთავაზეთ მოსწავლეს ერთად ითამაშოთ სახალისო თამაში, რომლის დროსაც თქვენ დაუსვამთ შეკითხვას და მან უნდა გაგცეთ პასუხი. თამაშს დაარქვით „რა მოხდებოდა რომ“… შეკითხვები შეგიძლიათ გაამარტივოთ არ გაართულოთ მოსწავლის განვითარების დონის და საჭიროებების გათვალისწინებით. შეკითხვები შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

1. ადამიანებს რომ ყურები არ ჰქონდეთ?
2. მზე არასდროს ჩადიოდეს?
3. არავინ სვამდეს რძეს?
4. ყველა ერთმანეთს ჰგავდეს?
5. მასწავლებელი არ შემოდიოდეს საკლასო ოთახში?
6. არასდროს არ იძინებდე?
7. ტელევიზორი არ არსებობდეს?
8. სულ ტკბილეულს მიირთმევდე?
9. არ არსებობდეს სკოლის წესები?
10. ყველას ერქვას ერთიდაიგივე სახელი?
11. უცხოპლანეტელები ჩამოფრინდნენ დედამიწაზე?
12. ცხოველები არ არსებობდნენ.

38. პირადი ისტორიები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

ააქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობას არ სჭირდება ვიზუალური მასალის დამზადება

<u>აქტივობის აღწერა:</u>

პირადი ისტორიების მოყოლა არის ერთ-ერთი ეფექტური გზა თხრობის უნარის განსავითარებლად. ის უადვილებს ბავშვს ამბის გადმოცემას, რადგან ამბავი საკუთარია, თვითონ ჰქონია გამოცდილებაში. საკუთარი ისტორიების მოყოლის წასახალისებლად დაუსვით შეკითხვები, მაგალითად: "რა საჩუქარი გაუხარდა ყველაზე მეტად?" როდესაც მოსწავლე თხრობას დაიწყებს, დაეხმარეთ მოვლენათა თანმიმდევრობის განსაზღვრაში და დეტალების გახსენებაში.

სიუჟეტების მრავალფეროვნებისთვის ასევე შეგიძლიათ ჰკითხოთ: როდის შეგეშინდა ყველაზე მეტად? მომიყევი შენი ნაწიბურის ამბავი? რა მოხდა შენ ცხოვრებაში ყველაზე სასაცილო? მხიარული ამბების გახსენებ ხშირად სიცილს იწვევს და ეხმარება ბავშვებს უფრო მეტად გამოიყენონ სიტყვები.

39. მოსაუბრე კოვზები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ხის კოვზები
- ✓ ფერადი ფლომასტერები
- ✓ წებო
- ✓ ფერადი ძაფები
- ✓ ფერადი ნაჭრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ ხის კოვზები. დაიხმარეთ მოსწავლე და ფლომასტერების საშუალებით კოვზებს დაახატეთ სახის ნაკვთები. ფერადი ძაფებით, ნაჭრების დაწებებით გაუკეთეთ თმები. თქვენი მოსაუბრე კოვზები შეიძლება იყოს ნებისმიერი პერსონაჟი, თუნდაც ოჯახის წევრები. მოსწავლესთან ერთად პერსონაჟებს, სხვადასხვა სიუჟეტებზე დაყრდნობით, გაათამაშებინეთ როლური თამაში.

40. სიუჟეტური ნახატები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი თაბახის ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობის გამოყენება ეფექტურია იმ მოსწავლეებთან, რომელთაც თხრობის დროს უჭირთ აზრების ორგანიზება.

აქტივობისთვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ტექსტი, რომელსაც წაუკითხავს მოსწავლეს. შემდეგ მოსწავლესთან ერთად გამოყოფს ტექსტში მოვლენების თანმიმდევრობას და სთხოვს, მოვლენები დახატოს ერთმანეთის მიყოლებით თაბახის ფურცელზე. მიღებული სიუჟეტური ნახატის მიხედვით მოსწავლე უნდა მოყვეს, როგორ განვითარდა მოთხრობის სიუჟეტი.

41. მოთხრობის გეგმა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი თაბახის ფურცელი
- ✓ შავი ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა ეფექტურია იმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, ვისაც თხრობის პროცესში უჭირს აზრების ორგანიზება. ამ სირთულის დასაძლევად მასწავლებელს შეუძლია ბავშვს შესთავაზოს მარტივი ცხრილის გამოყენება.

აქტივობებისთვის აიღეთ თეთრი თაბახის ფურცელი. დახაზეთ მასზე ცხრილი. ცხრილის ზედა უჯრებში ჩაწერეთ მოთხრობის შემადგენელი ნაწილები, როგორც ეს ცხრილშია მითითებული. წაუკითხეთ მოსწავლეს მოთხრობა და სთხოვეთ, მოსმენილის საფუძველზე შეავსოს ცხრილის შესაბამის გრაფა.

სუბიექტი ვინ არის მთავარი პერსონაჟი ან პიროვნება?	უნდოდა რა უნდოდა პიროვნებას ან პერსონაჟს?	მაგრამ რა იყო პრობლემა?	შესაბამისად როგორ შეეცადა პიროვნება თუ პერსონაჟი ამ პრობლემის მოგვარებას	მაშინ როგორ გადაწყდა ეს პრობლემა, ან რა გამოსავალი იპოვეს. როგორ დასრულდა ისტორია/მოთხრობა

42. საორიენტაციო სიტყვები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თაბახის დიდი ზომის ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

აქტივობის აღწერა:

წაუკითხეთ მოსწავლეს წინასწარ მასთან ერთად შერჩეული ტექსტი. დაუდეთ წინ თაბახის ფურცელი. ფურცელზე ჩამოწერეთ ტექსტში შემავალი კომპონენტების დასახელებები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს ტექსტში ორიენტაციაში. სთხოვეთ მოსწავლეს, თითოეული ამ კომპონენტის გათვალისწინებით მოკლედ მოგიყვეთ ტექსტი.

ტექსტის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება იყოს:

გარემო
მთავარი გმირი
დრო
ადგილი
მთავარი მოვლენა
დასასრული

43. ამოირჩიე ბარათი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ შავი ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა ტარდება ჯგუფურად.
წაუკითხეთ მოსწავლეებს წინასწარ შერჩეული ტექსტი. ფურცელი დაჭერით პატარა ოთხკუთხედებად. თითოეულ მათგანზე დაწერეთ მოთხრობის კომპონენტები, თითო კომპონენტი თითო ფურცელზე (მაგ.: მთავარი პერსონაჟი, მოთხრობის დასაწყისი, ადგილი, კულმინაცია, პრობლემის გადაწყვეტა, დასასრული). ფურცლები დაალაგეთ ისე, რომ ვერ შეძლონ დაწერილი სიტყვის დანახვა. სთხოვეთ მოსწავლეებს, აიღონ თითო ბარათი და ბარათზე არსებული წარწერის გათვალისწინებით, ისაუბრონ მოთხრობის შესაბამის ნაწილზე

.

44. გადაცემა რადიოში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ რადიო მიმღები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სთხოვეთ მოსწავლეს წარმოადგინოს, რომ არის რადიო გადაცემის წამყვანი. ჰკითხეთ, რომელ საათზე სურს გადაცემის წაყვანა, რა თემაზე. დაეხმარეთ თემის ირგვლივ ტექსტის მომზადებაში. დაუდეთ მაგიდაზე რადიო მიმღები. სთხოვეთ, მის მიერ შედგენილი ტექსტი გადაცემის საშუალებით მოუყვეს აუდიტორიას.

45. მოთხრობები ფოლკლორული სიმღერებიდან

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ქართული ფოლკლორიდან შერჩეული სიმღერა

აქტივობის აღწერა:

ჩაურთეთ მოსწავლეს ქართული ფოლკლორიდან რომელიმე სიმღერა. სთხოვეთ, ყურადღებით მოუსმინოს ტექსტს. მოსმენილი სიმღერის საფუძველზე მოაყოლეთ მოკლე მოთხრობა, სიმღერაში მიმდინარე მოვლენების ირგვლივ. თუ ბავშვს უჭირს აზრის გადმოცემა, დაუსვით შეკითხვები, მაგალითად, ვის ეხებოდა ეს სიმღერა, სად ხდებოდა მოვლენების განვითარება და ა.შ.

46. მოსწავლე ისტორიკოსები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობა არ საჭიროებს მასალის წინასწარ მომზადებას

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მიეცით დავალება მოსწავლეებს, გამოჰკითხონ ოჯახის წევრებს იმ ქალაქის ისტორიის შესახებ, რომელშიც ცხოვრობენ. შესთავაზეთ გაარკვიონ, მაგალითად, ვისი დასახელება აქვს იმ ქუჩას, რომელზეც ცხოვრობენ, რატომ დაარქვეს ქუჩას ამ პიროვნების სახელი, რომელია მათ ქალაქში ყველაზე ცნობილი ადგილები ან ყველაზე ძველი სახლები, როდის დაარსდა მათი ქალაქი. შეგიძლიათ აქტივობა ჩაატაროთ ჯგუფურადაც და მოსწავლეებს მისცეთ საშუალება ერთმანეთს გააცნონ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

47. ოჯახური ისტორიები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ აქტივობა არ საჭიროებს ვიზუალური მასალის წინასწარ მომზადებას

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მიეცით დავალება მოსწავლეებს, რომ გაესაუბრონ თავიანთ მოხუც ოჯახის წევრებს, მაგალითად, ბაბუას. მოაყოლონ რომელიმე ისტორია მათი ახალგაზრდობიდან. დაიმახსოვრონ როდის და სად ხდებოდა ისტორია, ვინ იყვნენ ისტორიის მთავარი გმირები. მას შემდეგ რაც ბავშვები მოისმენენ ოჯახის წევრისგან ისტორიას, სთხოვეთ, მოგიყვნენ თქვენ. იგივე აქტივობის ჩატარება შეიძლება ჯგუფურადაც.

48. მოთხრობა - ფაზლი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დაბეჭდილი ტექსტი
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

წინასწარ შეარჩიეთ რომელიმე მოთხრობა და ამობეჭდეთ. დაჭერით ტექსტი რამდენიმე ნაწილად. წაუკითხეთ მოსწავლეებს მოთხრობა. სთხოვეთ, მოსმენილის საფუძველზე ააწყონ ნაწილებად დაჭრილი ტექსტი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ააწყობენ ტექსტს სწორი თანმიმდევრობით, სთხოვეთ, მოკლედ მოგიყვნენ რა ხდებოდა მოთხრობაში. აქტივობა შეგიძლიათ ჩაატაროთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

49. მოთხრობის წრე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობა არ საჭიროებს ვიზუალური მასალის წინასწარ მომზადებას

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა ტარდება ჯგუფურად. დააყენეთ მოსწავლეები წრეში. სთხოვეთ ერთ-ერთ მათგანს, დაიწყოს თხრობა. მან უნდა თქვას 3 წინადადება თავისი მოფიქრებული მოთხრობიდან. წრეში მდგომმა შემდეგმა მოსწავლემ, მოსმენილი ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, უნდა გააგრძელოს თხრობა, ასევე 3 წინადადების გამოყენებით. მოთხრობა დასრულდება მაშინ, როდესაც წრეში მდგომი ყველა მოსწავლე მიიღებს აქტივობაში მონაწილეობას. აქტივობა შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ აქტივობაში მონაწილე ბავშვების განვითარების დონის მიხედვით.

50. განძის ძიებაში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თხრობის უნარი;
- ექსპრესიული მეტყველების სტიმულირება;
- ფანტაზიის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ აქტივობა არ საჭიროებს ვიზუალური მასალის წინასწარ მომზადებას

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა ტარდება წყვილში. ერთ მოსწავლეს მიეცით მსმენელის როლი, ხოლო მეორეს - მთხრობელის როლი. სთხოვეთ მას, ვინც მთხრობელის როლშია, წარმოიდგინოს, რომ სახლში, რომელიღაც კონკრეტულ ადგილას დამალული აქვს განძი. სთხოვეთ მსმენელის როლში მყოფ მოსწავლეს წარმოიდგინოს, რომ მიდის მთხრობელის როლის მქონე მოსწავლესთან სახლში და აკაკუნებს კარებზე. მთხრობელის როლში მყოფ მოსწავლეს ევალება, დეტალურად აღუწეროს მსმენელის როლში მყოფ მოსწავლეს, სახლში შესვლიდან დაწყებული, ოთახების გავლით და სხვადასხვა ბარიერების გადალახვით, როგორ უნდა მიაგნოს განძს. აქტივობის მოდიფიცირება შეგიძლიათ მოსწავლეების კოგნიტური განვითრების დონის და ინტერესების გათვალისწინებით.

მათემატიკური უნარის განვითარება და მნიშვნელობა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის

მათემატიკა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათემატიკური ცნებების სწავლება ბავშვებისთვის არის კრიტიკულად მნიშნველოვანი, რადგან ის ავითარებს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო უნარებს და წარმოადგენს საფუძველს სხვა საბუნებისმეტყველო საგნების ათვისებისთვის. მათემატიკური კონცეპტების ცოდნა ეხმარება ბავშვებს გაერკვნენ მათ გარშემო არსებული რიცხვების, ფორმების, კანონზომიერების მნიშვნელობაში, იმაში, თუ როგორ არის რეალური თუ ვირტუალური სამყარო ორგანიზებული. მათემატიკის სწავლა ეხმარება ბავშვებს პრობლემების გადაწყვეტაში, მოვლენებს შორის კავშირების დამყარებაში, აღმოჩენების გაკეთებაში. რაც მეტად ერკვევა ბავშვი მათემატიკურ ცნებებში, მით უფრო უადვილდება, სიტუაციიდან გამოსავლის ძიება, პრობლემის გადაჭრის ახალ გზებზე ფიქრი. მათემატიკა ბავშვებს აძლევს გარესამყაროსთან ძლიერი კომუნიკაციის საშუალებას. ისინი სწავლობენ როგორ გადმოსცენ თავისი იდეები სიმბოლოების გამოყენებით, რაც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ზეპირი მეტყველებისას, ასევე აკადემიური საგნების სწავლის დროს. მათემატიკის ათვისებით ისინი თანდათანობით ხვდებიან, რა გავლენას ახდენს მათემატიკური ცნებები საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაზე. მათემატიკის სწავლა ბავშვებში ასტიმულირებს ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ცნობისმოყვარეობას, შემოქმედებით უნარებს. ეს, თავის მხრივ, ეხმარებათ, წარმატებას მიაღწიონ არამარტო აკადემიურ საქმიანობაში, არამედ, სკოლის გარეთაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მათემატიკის სწავლება გავლენას ახდენს ბავშვის ინტელექტუალურ ფუნქციონირებაზე, ავითარებს ინდუქციურ და დედუქციურ აზროვნებას, ეხმარება ბავშვს ისწავლოს ყურადღების გამახვილება დეტალებზე, ცალკეულ დეტალებზე იფიქროს უფრო მეტი, დაამყაროს მიზეზშედეგობრივი კავშირები. ის ხელს უწყობს ანალიტიკური უნარების განვითარებას.

მნიშნველოვანია, გვახსოვდეს, მათემატიკა არის უნივერსალური საგანი, არ არის დამოკიდებული კონკრეტულ კულტურაზე, ეროვნებაზე თუ სასწავლო კურიკულუმზე, ის გამოადგება და დასჭირდება მოსწავლეს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას.

მათემატიკის სწავლების პირველადი მიზანი არის, დაეხმაროს ბავშვს მის გარშემო არსებულ სამყაროში ორიენტაციაში და ამასთანავე, სამომავლოდ, ხელი შეუწყოს მის დასაქმებას. მაგალითისთვის რომ წარმოვიდგინოთ, ყოველდღიური, ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ისეთ უნარებს, როგორიცაა გაზომვა, ფიგურებით მანიპულაცია, სივრცის ორგანიზება, ფულის მენეჯმენტი, გრაფიკული მასალის ჩაწერა და ინტერპრეტაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

მათემატიკური უნარების განვითარების პროცესში ჩართული კოგნიტური უნარები

მათემატიკური ცნებების ათვისება საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. მასში ერთდროულად ჩართულია რამდენიმე კოგნიტური უნარი.

იმისთვის, რომ მოსწავლემ წარმატებით აითვისოს მათემატიკა, აუცილებელია, თავის ტვინის რამდენიმე ფუნქციის შეთანხმებული მუშაობა. ბავშვმა უნდა შეძლოს გააქტიუროს მეხსიერება, რათა გაიხსენოს მათემატიკური წესები, ფორმულები. მან ასევე უნდა გამოიყენოს ენა/მეტყველება, რომ გაიგოს მათემატიკური ტერმინები, ინსტრუქციები, ახსნას თუ რას ფიქრობს და რატომ. ამოცანის ამოსახსნელად მან სწორად უნდა დაგეგმოს შესასრულებელი რომელი მათემატიკური მოქმედების შემდეგ რომელი უნდა გამოიყენოს მათემატიკური მოქმედებების თანმიმდევრობა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს სივრცეში ორიენტაცია, რათა აითვისოს გეომეტრიის საფუძვლები.

უფრო დეტალურად განვიხილოთ, რომელი კოგნიტური პროცესებია ჩართული მათემატიკის ათვისებაში.

ვიზუალური მეხსიერება - უნარი დავიმახსოვროთ, თუ როგორი ფორმა აქვს ობიექტებს, სად არიან განლაგებულნი სივრცეში და როგორი სივრცითი მიმართებებია მათ შორის.

ვიზუალიურ-სივრცითი ინფორმაციის გადამუშავება - უნარი, რომელიც გვეხმარება, თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ამოცანის ალტერნატიული გადაჭრის გზები, შევძლოთ გეომეტრიული ფიგურების სივრცეში როტაცია. შევძლოთ მარჯვენა-მარცხენას გარჩევა, რუკის გამოყენებით ორიენტაცია, თასმების შეკვრა, გზის მიმართულების აღქმა.

მუშა მეხსიერება - უნარი, ინფორმაცია, მცირედი დროით შევინახოთ მეხსიერებაში და ამავდროულად, მოვახდინოთ ამ ინფორმაციით მანიპულირება. ის მნიშნველოვანია, თუნდაც ბაზისური მათემატიკური მოქმედებების შესრულების დროს. მაგალითად, ბავშვმა უნდა შეძლოს დაიმახსოვროს, რომელ კალათში რამდენი ვაშლი ჩააწყო, იმისთვის, რომ შემდეგ შეკრიბოს.

ყურადღება - აუცილებელია, რომ შევძლოთ კარგად კონცენტრირება დეტალებზე, მოვახდინოთ არსებითი დეტალების დიფერენციაცია. ეს აუცილებელია ამოცანების ამოხსნის დროს.

დაგეგმვა - თავის ტვინის აღმასრულებელი ფუნქციების ერთ-ერთი კომპონენტი. დაგეგმვის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე საფეხურიანი მოქმედებების შესრულების დროს, რათა მოსწავლემ შეძლოს ორგანიზება გაუკეთოს არითმეტიკული ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობას.

აზროვნება - მათემატიკა თავისთავად ლოგიკაზე დაფუძნებული მეცნიერებაა, შესაბამისად, მოითხოვს აზროვნების ოპერაციების ჩართვას. მათემატიკური მოქმედებების შესრულების დროს მნიშვნელოვანია დეტალების ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება, ჰიპოთეზის შედგენა, ლოგიკის გამოყენება.

ვიზუალურ-მოტორული უნარები - ვიზუალურ - მოტორული უნარები ძირითადად ჩართულია წერის პროცესში. ამ უნარის განვითარების შეფერხების შემთხვევაში მოსწავლეს უჭირს ციფრების, რიცხვების წერა.

მათემატიკის ათვისებისთვის საჭირო ზემოთ ჩამოთვლილი უნარების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს სკოლამდელ ასაკში. ამ პერიოდში ბავშვები გარემოს შესწავლით, საგნებით, სათამაშოებით ექსპერიმენტირების დროს ივითარებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა სივრცის აღქმა და ორგანიზება.

ბაზისური მათემატიკური უნარების ათვისებისთვის საჭირო წინარე ცოდნა და სწავლის ეტაპები

სანამ ბაზისური მათემატიკური მოქმედებების სწავლაზე გადავა ბავშვი, მნიშვნელოვანია, მას კარგად ჰქონდეს გაცნობიერებული საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული სივრცითი და დროითი მიმართებები. მას უნდა შეეძლოს ისეთი სივრცითი და დროთი ცნებების მნიშვნელობის გაგება, როგორიცაა დიდი-პატარა, მაღლა-დაბლა, ქვემოთ-ზემოთ, მაღალი-დაბალი, ახლო-შორი, დაწყება-დასრულება, მეტი-ნაკლები, საპირისპირო.

მათემატიკის სწავლის დროს მოსწავლე გადის სამ ეტაპს. ეს ეტაპები ემსახურება ცოდნის და უნარების კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე გადასვლას.

პირველი არის კონკრეტული ეტაპი, რომლის დროსაც მოსწავლე მანიპულირებს რეალური ობიექტებით, მაგალითად, კუბები, ბურთები, ლეგოები.

მეორე ეტაპს წარმოადგენს ნახევრად კონკრეტული ფაზა, რომლის დროსაც მოსწავლე ანგარიშისთვის და რაოდენობის განსასაზღვრი მიზნით იყენებს გრაფიკულ რეპრეზენტაციებს.

მესამე არის აბსტრაქტული ეტაპი, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ციფრების გამოყენებით მათემატიკური ოპერაციების შესრულება.

იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ შეძლოს კონკრეტული ეტაპიდან აბსტრაქტულ ეტაპზე გადასვლა, სწავლების პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი სახალისო აქტივობების გამოყენება.

ბაზისური მათემატიკური ცნებების ათვისების სირთულის გამომწვევი მიზეზები

ბავშვებში მათემატიკური ცნებების ათვისების სირთულე შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით. განვიხილოთ ისინი:

ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა - ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა ვლინდება ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის ინტელექტუალურ ფუნქციონირებასა და ადაპტურ ქცევაზე. ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევის დროს ვლინდება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა კოგნიტური (შემეცნებითი) ფუნქციების განვითარებაში. კოგნიტური ანუ შემეცნებითი ფუნქციებია: აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება, მეტყველება. ასევე, ასაკობრივ ნორმასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გვხვდება ემოციური და მოტორული სფეროს განვითარებაში.

სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევა მათემატიკაში (დისკალკულია) - ამ დროს სირთულეები შეიძლება ვლინდებოდეს რიცხვების და რიცხვებს შორის ურთიერთმიმართების გაგებაში, ბაზისური მათემატიკური ოპერაციების ათვისების სირთულეში. ბავშვი შეიძლება ისევ ითვლიდეს თითების გამოყენებით მაშინ, როდესაც უკვე მოეთხოვება წარმოდგენაში რიცხვებით მანიპულირება. ხშირად ურევდეს მათემატიკური მოქმედებების შესრულების თანმიმდევრობას. ამ დროს უჭირთ მათემატიკური ცნებების, ფაქტების დამახსოვრება და შემდგომში მათემატიკური მოქმედებების შესრულების დროს მათი გამოყენება.

მათემატიკის დასწავლის უნარის დარღვევის დროს სირთულე შეიძლება ვლინდებოდეს ორი მიმართულებით: მათემატიკური ანგარიში და მათემატიკური აზროვნება; თითოეულ მიმართულებაში არსებულმა სირთულემ შეიძლება გავლენა მოახდინოს სასკოლო მიღწევაზე.

სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევა მათემატიკაში, ძირითადად განპირობებულია კოგნიტური ფუნქციების არათანაბარი განვითარებით. კოგნიტური ფუნქციების არათანაბარი განვითარება შესაძლოა განსხვავებულად იყოს გამოხატული ყველა მოსწავლეში. ძალიან მნიშვნელოვანია, სწორად იქნას შეფასებული ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები და მათი გათვალისწინებით შეირჩეს ბავშვისთვის შესაბამისი სწავლების სტილი.

აკადემიური ხელმიშვებულობა. - მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მათემატიკის დასწავლის სირთულე საკლასო საფეხურის მოთხოვნასთან მიმართებაში შეიძლება ასევე განპირობებული იყოს აკადემიური ხელმიშვებულობით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი სხვადასხვა მიზეზით.

სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევის დროს მათემატიკაში გამოხატული სირთულეები და მათი გამომწვევი მიზეზები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სპეციფიური დასწავლის უნარის დარღვევა მათემატიკაში, ძირითადად განპირობებულია კოგნიტური ფუნქციების არათანაბარი განვითარებით. უფრო კონკრეტულად კი სხვადასხვა კოგნიტური ფუნქციების განვითარების შეფერხება ხშირად შემდეგი მახასიათებლებით ვლინდება.

- **ყურადღების კონცენტრაციის სირთულე** - ამ დროს მოსწავლეს უჭირს დავალებაზე, ამოცანის ინსტრუქციაზე ყურადღების შენარჩუნება, ამოცანის ამოხსნის საფეხურების მიყოლა.
- **ვიზუალურ - სივრცითი ინფორმაციის გადამუშავების სირთულე** - ამ დროს მოსწავლე ფურცელზე ტოვებს სივრცეს, უჭირს ერთმანეთისგან განასხვაოს ციფრები, მათემატიკური მოქმედებების აღმნიშვნელი სიმბლოები (+,-, <, >), უჭირს სწორ ხაზზე წერა, ხაზის მიყოლა, აქვს მიმართულების გაგების პრობლემა (მაღლა / დაბლა, მარჯვენა / მარცხენა).
- **სმენითი ინფორმაციის გადამუშავების სირთულე** - ამ დროს მოსწავლეს უჭირს ზეპირად ახსნილი წესების გაგება, ურთულდება თანმიმდევრობით თვლა.
- **ინფორმაციის დამახსოვრებისა და აღდგენის სირთულე** - ამ დროს მოსწავლეს უჭირს მათემატიკის წესების დამახსოვრება, დროის ცნობა, ამოცანის ამოხსნის დროს ავიწყდება წინა საფეხურზე შესრულებული მოქმედება. .

ბაზისური მათემატიკური უნარების სწავლების ზოგადი სტრატეგიები

მათემატიკის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია სასწავლო გარემო იყოს მრავალფეროვანი, ბავშვის საჭიროებებზე და ინტერესებზე მორგებული. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას სასურველია, სწავლების პროცესს ჰქონდეს თამაშის ფორმა, რათა ბავშვს საგნის მიმართ დადებითი განწყობა ჩამოუყალიბდეს.

მათემატიკის სწავლების დროს ეფექტურია სწავლების მულტიმოდალური მიდგომის გამოყენება. მულტიმოდალური მიდგომა გულისხმობის, რაც შეიძლება მეტი შეგრძნების არხის ჩართვას სასწავლო პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დროს აკადემიური პროგრესის მისაღწევად აუცილებელია სწავლების განსხვავებული მიდგომების გამოყენება. ათვისების პროცესი შეიძლება იყოს დროში მეტად გახანგრძლივებული, ამიტომ ერთი და იმავე მიზანზე მუშაობა რამდენიმე სხვადასხვა აქტივობით უნდა მოხდეს.

ქვემოთ მოყვანილი ზოგადი რეკომენდაციები დაგეხმარებათ მათემატიკის სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვაში.

- ყურადღება გაამახვილეთ გაგებაზე (განსაკუთრებით რაოდენობის);
- გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალა, რათა ბავშვმა კავშირი დაამყაროს მათემატიკურ ცნებებს და რაოდენობას შორის;
- დაიწყეთ მუშაობა იმ დონიდან, სადაც ბავშვი კომფორტულად გრძნობს თავს, რათა მას წარმატების განცდა დაეუფლოს;
- ბავშვის ათვისების ტემპის გათვალისწინებით, დაიწყეთ მასალის თანდათანობით გართულება, ახალი ცნებების სწავლება;
- რაც შეიძლება მეტი დროის განმავლობაში ავარჯიშეთ ახალ უნარში;
- შეამცირეთ დასაზეპირებელი მასალის რაოდენობა;
- დაუსვით რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, რათა ბავშვი აქტიურად ჩაერთოს ფიქრის პროცესში;
- მნიშვნელოვანია, ბავშვებმა ისწავლონ ბაზისური მათემატიკური ცნებები კარგად;
- საჭიროების შემთხვევაში შეუცვალეთ შეფასების სისტემა.

მათემატიკის სწავლების დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ არსებობს ასეთი ცნება - მათემატიკისადმი შფოთვა. მათემატიკის მიმართ შფოთვა ეს არის „დაძაბულობის შეგრძნება“ ან „შიში“, რომელიც ხელს უშლის მათემატიკური დავალებების შესრულებას, აღენიშნება მოსახლეობის 25% და შეიძლება ადამიანს მთელი ცხოვრება თან სდევდეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათემატიკისადმი შფოთვა გადამდებია, მაგალითად, შეიძლება გადაედოს მშობლისგან შვილს, დაიწყოს ადრეულ ასაკში.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი რეკომენდაციების გათვალისწინება, სასწავლო პროცესისთვის თამაშის ფორმის მიცემა, მათემატიკური მოქმედებების სწავლებისას სხვადასხვა სახალისო აქტივობების გამოყენება, დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეს

შეუმციროს მათემატიკის მიმართ შფოთვა და საგნის მიმართ ჩამოუყალიბოს დადებითი განწყობა.

მათემატიკური მოქმედებების თამაშით სწავლება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებში ბაზისური მათემატიკური უნარების ათვისების პროცესი თანატოლებთან შედარებით დროში უფრო მეტადაა გახანგრძლივებული. მოსწავლემ რომ პროგრესს მიაღწიოს მასწავლებელმა ერთსა და იმავე უნარზე სხვადასხვა სახალისო აქტივობების გამოყენებით უნდა იმუშაოს. მოსწავლე მოტივაციას კარგავს, როდესაც ერთი და იგივე ფორმით ხდება ვარჯიში ერთსა და იმავე უნარზე.

ბაზისური მათემატიკური უნარების დასწავლა აუცილებელია, რათა მოსწავლემ შეძლოს ალგებრის და გეომეტრიის ათვისება. ასევე, ბაზისური მათემატიკური უნარები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სხვა საბუნებისმეტყველო საგნების ათვისების პროცესში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კრებულში მოყვანილი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეს ისწავლოს ციფრები, რიცხვები, გააცნობიეროს რაოდენობის ცნება, აითვისოს მათემატიკური მოქმედებები.

არ შეცვალოთ ბავშვის მიმართ მოლოდინები, შეცვალეთ მიდგომა. სწავლებას მიეცით თამაშის ფორმა. ერთსა და იმავე სასწავლო მიზანზე იმუშავეთ მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით.

მოსწავლეების ნაწილი სხვადასხვა ტიპის აკომოდაციის განხორციელებას საჭიროებს სწავლის პროცესში.

მოსწავლის განვითარების დონის და წინარე ცოდნის გამოყენებით შესაძლოა მასწავლებელს დასჭირდეს წინარე მათემატიკურ უნარებზე მუშაობის დაწყება. ამ უნარებზე მუშაობასაც უნდა ჰქონდეს თამაშის ფორმა, სახალისო აქტივობების გამოყენებით. აღსანიშნავია ისიც, რომ წინარე მათემატიკურ უნარებზე მუშაობა შეიძლება მოხდეს ბაზისური მათემატიკური ცნებების სწავლების პარალელურად.

კრებულში განხილული აქტივობები დაეხმარებათ მასწავლებლებს მოსწავლეებთან ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევაში. ეს აქტივობები შესაძლოა გახდეს იდეების წყარო მასწავლებლებისთვის და მათ დამატებით მოიძიონ მსგავსი ტიპის სახალისო აქტივობები, გამოიყენონ სწავლებისას მეტი შემოქმედებითი უნარი.

აქტივობების ჩატარება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე მოსწავლეთა ჯგუფთან. ჯგუფური მუშაობა ბავშვებისთვის ხშირად დამატებითი მოტივაციის და ინტერესის აღმძვრელი ფაქტორიც არის.

აუცილებელია, *აქტივობისთვის მითითებული მასალის გამოყენებისას ყურადღება მიექცეს ბავშვის განვითარების დონეს. თუ ბავშვს ახასიათებს არა საკვები ნივთების ჭამა, არ უნდა იქნას მასთან გამოყენებული მცირედი ზომის, ნივთები, რომელთა გადაყლაპვაც სახიფათოა და ა.შ*

მათემატიკის სწავლის დროს, სახალისო აქტივობების დაგეგმვისას, ძალიან ეფექტურია ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული ისეთი სათამაშო ნივთების გამოყენება, როგორიცაა: ბანქო, დომინო, კამათელი, ლეგო. მათი დანახვა მოსწავლეს უჩენს განცდას, რომ ის თამაშობს და არ მეცადინეობს. ამასთანავე, ბანქო, დომინო და კამათელი საუკეთესო საშუალებაა რიცხვების და ანგარიშის სწავლების დროს.

ბაზისური მათემატიკური უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები

1. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების სწავლება;
- რაოდენობის განსაზღვრების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ შავის ფერის ფანქარი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო
- ✓ სარჭები
- ✓ შავი ფერის ფლომასტერი, ან ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობის მოდიფიცირება შეგიძლიათ თქვენი რესურსების გათვალისწინებით. აიღეთ მწვანე ფერის ფურცელი, რომელზეც ფანქრით ბავშვთან ერთად დახაზავთ ხის სილუეტს (მხოლოდ ვარჯს), ღეროს გარეშე, როგორც სურათშია ნაჩვენები. შემდეგ ბავშვთან ერთად მაკრატლით გამოჭრით. ხის ღეროს გასაკეთებლად შეგიძლიათ

გამოიყენოთ ან სარჭი, ან ისევ ფერადი ფურცლები. სხვადასხვა სარჭს ფანქრით ან ფლომასტრის გამოყენებით დააწერეთ რიცხვები, ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით. თუ ტკბილეული ხელმისაწვდომია, შეგიძლიათ აქტივობას დაარქვათ ტკბილეულის ხე და სთხოვოთ ბავშვს სარჭზე რა რიცხვიც წერია, იმის შესაბამისი რაოდენობის კანფეტები დააწყოს ხეზე. შეგიძლიათ სცადოთ მეორე ვარიანტიც, აქტივობას დაარქვათ ვაშლის ხე. წითელი ფერის ფურცლებიდან გამოჭერით ვაშლები და სთხოვეთ მოსწავლეს სარჭზე მითითებული რაოდენობის ვაშლები დააწებოს ხეზე.

2. შეკრება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრების სწავლება 10 ის ფარგლებში;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალური დისკრიმინაცია - თვალსაჩინო მასალებში დეტალების შემჩნევის, ფიგურებსა და ფორმებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ფორმატის თეთრი ფერის ფურცელი
- ✓ მწვანე და ყვითელი ფერის ფანქრები
- ✓ 1 წყვილი კამათელი
- ✓ ფერადი მაკარონი/ან ფერადი საწრუპები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ბავშვს მიეცით ფურცელი და სთხოვეთ, დახატოს ყვავილის ღერო და გული.

სასურველია, თან იქონიოთ ფერადი მაკარონები, რათა აქტივობა ბავშვისთვის უფრო სახალისო იყოს. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ პლასტმასის ფერადი საწრუპები, რომლებსაც მაკრატლით დაჭრით. ბავშვს მიეცით კამათელი, სთხოვეთ, გააგოროს, გადათვალოს რამდენი შავი წერტილია ორივე კამათელზე ერთად და ამ რაოდენობის მაკარონი ან დაჭრილი საწრუპები დაალაგოს ყვავილის გულის გარშემო. აქტივობა შეგიძლიათ ბავშვთან მონაცვლეობით აკეთოთ, ან ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით გამოიყენოთ მხოლოდ ერთი კამათელი ორის ნაცვლად.

3. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობის სწავლება;
- რაოდენობის ცნების განსაზღვრების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ქსოვილი/ან ფერადი ფურცლები
- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფანქარი
- ✓ წებო
- ✓ ღილები
- ✓ მაკრატელი
- ✓ კამათელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ რამდენიმე ფერადი ქაღალდი ან ქსოვილი. მოსწავლესთან ერთად დახაზეთ ფურცლებზე ან ქსოვილზე მაისურის ფორმა და გამოჭერით. თეთრ ფურცელზე დაწერეთ ციფრები 10 ის ფარგლებში. დაჭერით კამათლის გვერდის ზომაზე და 2 კამათელზე დააწებეთ. სთხოვეთ ბავშვს გააგოროს კამათელი და რა რიცხვიც ამოვა კამათელზე იმ რაოდენობის ღილები დააწყოს მაისურზე. აქტივობა შეგიძლიათ გაამარტივოთ, ან გაართულოთ, ასევე, აკეთოთ მორიგეობით. შეგიძლიათ თამაშში ჩართოთ რამდენიმე ბავშვი ვისთანაც იმავე მიზანზე მუშაობთ.

4. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი;
- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის ცნების განსაზღვრების სწავლება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ქსოვილი/ან ფერადი ფურცელი/ან ფერადი მცირე ზომის ბურთები
- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ბავშვთან ერთად ფურცლის ქვედა კუთხეში დახატეთ ნაყინის ჭიქის ფორმები, თითოეულს დააწერეთ ციფრები 1-დან 5-მდე. ფურცლის მარჯვენა მხარეს ასევე ჩამოწერეთ იგივე ციფრები. თუ გაქვთ მცირე ზომის პლასტმასის ფერადი ბურთები, შეგიძლიათ ისინი გამოიყენოთ, ან შესაძლებელია ფერადი ფურცლებიდან მცირე ზომის წრეების გამოჭრა და მათი გამოყენება. სთხოვეთ ბავშვს რა ციფრიც არის მითითებული ნაყინზე, იმ რაოდენობის ბურთები ან წრეები დააწყოს ჭიქაზე.

5. ანგარიშის სწავლება/რაოდენობის შედარება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანგარიშის სწავლება 10 ის ფარგლებში;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დომინო
- ✓ ლეგო
- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ შავი ფანქარი ან ფლომასტერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ფერად ფურცელზე დაწერილი რიცხვები, ასევე დომინო. მაგიდაზე დადეთ რამდენიმე ამობრუნებული დომინო. სთხოვეთ ბავშვს ამოატრიალოს ისინი, დათვალოს დომინოზე გამოსახული წერტილების რაოდენობა. მიეცით ბავშვს ორი ფერის ლეგოს კუბები. ბავშვმა ჯერ უნდა დათვალოს დომინოს მარცხენა მხარეს მოცემული წერტილების რაოდენობა და ამ რაოდენობის ერთი ფერის ლეგოს კუბების გამოყენებით ააშენოს კოშკი. შემდეგ დათვალოს დომინოს მარჯვენა მხარეს მოცემული წერტილების რაოდენობა და კოშკი ააშენოს ამ რაოდენობის მეორე ფერის ლეგოს კუბების გამოყენებით. შეგიძლიათ ასევე მოსწავლეს დაუწეროთ მაგალითი 10 ის ფარგლებში და მოდიფიცირება გაუკეთოთ აქტივობას. დამატებით შეგიძლიათ მოსწავლეს სთხოვოთ შეადაროს ერთმანეთს თუ რომელი რიცხვია უფრო მეტი, რომელია უფრო ნაკლები.



6. ანგარიშის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანგარიშის სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მწვანე და წითელი ფერის ფურცლები
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო
- ✓ ლობიო/ან ქიშმიშის მარცვლები
- ✓ ან კამათელი, რომელსაც აწერია რიცხვები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ბავშვთან ერთად, წითელი ფურცელებიდან გამოჭერით საზამთროს ნაჭრები. შეგიძლიათ, საზამთროს ქერქის ფორმა გამოჭრათ მწვანე ფურცლიდან და დააწებოთ წითელს. ასევე შეგიძლიათ მწვანე ფანქრით უბრალოდ გააფერადოთ წითელი ფურცლების კიდეები. ოთხკუთხედად დაჭრილ პატარა ზომის ფურცლებზე დაწერეთ ციფრები 10-ის ფარგლებში და ამოაბრუნეთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ კამათელი, რომელსაც აწერია რიცხვები. დაჭრილი ფურცლებიდან ააღებინეთ ბავშვს რომელიმე. ფურცელზე დაწერილი ციფრის შესაბამისი რაოდენობის ლობიოს, ან ქიშმიშის მარცვალი დაალაგიბინეთ გამოჭრილ საზამთროს ნაჭრებზე, თითქოსდა მისი კურკებია.

7. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა, რაოდენობის განსაზღვრა;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მწვანე და ნარინჯისფერი ფურცლები
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ მწვანე და ნარინჯისფერი ფურცლები. ბავშვთან ერთად ნარინჯისფერ ფურცელზე დახატეთ სამკუთხედები - ისე, რომ მიამსგავსოთ სტაფილოს. მწვანე ფერის ფურცელზე დახატეთ მოგრძო ვიწყო ოთხკუთხედები, რომლებიც მიმსგავსებული იქნება სტაფილოს ფოთლებს. ფიგურები ერთად გამოჭერით. სტაფილოს დააწერეთ ციფრები. დაუდეთ ბავშვს წინ და სთხოვეთ, ციფრების შესაბამისი რაოდენობის ფოთლები დააწებოს სტაფილოს.

8. რიცხვების თანმიმდევრობის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების მიმდევრობის სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ლეგოს სხვადასხვა ფერის კუბები
- ✓ დაფის შავი ფერის მარკერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ ლეგოს სხვადსხვა ფერის კუბები. ბავშვის შესაძლებლობებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით, დააწერეთ რიცხვები ერთ მხარეს, ხოლო რიცხვის შესაბამისი რაოდენობის წერტილები დაახატეთ მეორე მხარეს. სთხოვეთ ბავშვს, ააწყოს კოშკი ისე, რომ კუბები დააწყოს მითითებული რიცხვების ზრდადობის მიხედვით. თუ ბავშვს უჭირს აქტივობის შესრულება, შეგიძლიათ ფურცელზე ჩამოუწეროთ 1-დან 10 მდე ციფრები. მიეცით საშუალება, შეხედოს ჯერ დაწერილ რიცხვს, შემდეგ იპოვოს შესაბამისი კუბი.

9. რიცხვების მიმდევრობის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების მიმდევრობის სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი და ფერადი ფურცლები
- ✓ მაკრატელი
- ✓ შავი ფლომასტერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფურცელზე დახატეთ მუხლუხო, როგორც ეს მოცემულია სურათზე. მოსწავლეს გამოაჭრევინეთ ფერად ფურცლებზე მცირე ზომის წრეები. თითოეულ წრეს დააწერეთ ციფრები 1-დან 10-მდე. დაულაგეთ მოსწავლეს არეულად ფურცლები და სთხოვეთ, მუხლუხოს სხეულზე წრეები დაალაგოს რიცხვების თანმიმდევრობის დაცვით. თუ მოსწავლეს უჭირს დამოუკიდებლად დავალების შესრულება შეიძლება, გვერდით დაუდოთ ფურცელი, რომელზეც თანმიმდევრობით ეწერება ციფრები 1-დან 10 მდე.



10. გეომეტრიული ფიგურების სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გეომეტრიული ფიგურების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ა4 ფორმატის ქაღალდი
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ სახაზავი
- ✓ ფერადი ფანქრები ან ფლომასტერი
- ✓ როგორც ნახატი, ასევე ცხრილი, შეგიძლიათ დაბეჭდოთ ან თქვენით დახატოთ

<u>აქტივობის აღწერა:</u>



მოცემული ნიმუშის მიხედვით, შავი ფერის ფანქრის და სახაზავის გამოყენებით, დახატეთ სახლი. სახლის ზომა და მასზე გეომეტრიული ფიგურების რაოდენობა შეგიძლიათ გაზარდოთ ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით. მეორე ფურცელზე დახაზეთ ცხრილი, სადაც ერთ გრაფაში ჩახატავთ იმ გეომეტრიულ ფიგურებს, რომლებიც გამოიყენეთ სახლის დახატვისას, ამ შემთხვევაში სამკუთხედს, ოთხკუთხედს და წრეს, ცხრილის დანარჩენ გრაფებში მიუთითეთ გეომეტრიული ფიგურის დასახელება, შესაბამისი ფერი(რომელსაც ბავშვი გააფერადებს), კუთხეების რაოდენობა, როგორც ეს ნიმუშზეა მოცემული. შეგიძლიათ ასევე ცალკე გრაფა გამოუყოთ გეომეტრიული

ფიგურების რაოდენობას. ნახატის გაფერადების შემდეგ ბავშვთან ერთად შეავსეთ ცხრილი.

ფიგურა	სახელწოდება	კუთხეების რაოდენობა	ფერი
			წითელი
			ყვითელი
			ლურჯი

11. გეომეტრიული ფიგურების სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გეომეტრიული ფიგურების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ა4 ფორმატის ქაღალდი
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ ფერადი ცომი ან პლასტელინი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მოცემული ნიმუშის მიხედვით, შავი ფერის ფანქრის და სახაზავის გამოყენებით დახატეთ ფურცელზე გეომეტრიული ფიგურა. მიეცით ბავშვს ფერადი ცომი ან პლასტელინი და სთხოვეთ, ფურცელზე მითითებულ ნახაზს შემოავლოს. დაათვლევინეთ ბავშვს რამდენი გვერდი აქვს გეომეტრიულ ფიგურას და რამდენი კუთხე.

12. გეომეტრიული ფიგურების სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გეომეტრიული ფიგურების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ ფერადი ცომი ან პლასტელინი
- ✓ ასანთის ღერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ფერადი ფურცელი დაჭერით რამდენიმე ნაწილად. თითოეულ ფურცელზე დახატეთ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა. თითოეულ ფიგურას ქვეშ მიუწერეთ დასახელება. მიეცით მოსწავლეს ასანთის ჩხირები და ფერადი ცომები, სთხოვეთ, ფურცელზე დახატული ნიმუშის მიხედვით ააწყოს გეომეტრიული ფიგურა. გეომეტრიული ფიგურის კუთხეები შეაერთებინეთ ფერადი ცომის, ან პლასტელინის გამოყენებით. შემდეგ სთხოვეთ, დაასახელოს და აღწეროს თითოეული ფიგურა.

13. მთელი და ნაწილები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მთელი და მისი შემადგენელი ნაწილები;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ფურცელზე მუქი ფერის ფანქრით დახატეთ გვირილები, რომლებიდანაც ყველას ექნება ერთი და იმავე რაოდენობის დანაყოფი(ფურცელი), პირობითად 10. თითოეულ გვირილას გვერდით მიუწერეთ წილადები, მაგალითად 1/10, 3/10 და ა.შ. თავდაპირველად ბავშვს აჩვენეთ და აუხსენით რას ნიშნავს მთელი და წილადი. შემდეგ დაეხმარეთ, რომ თითოეულ ნახატზე გააფერადოს წილადის შესაბამისი დანაყოფები. ბავშვის უნარების და ცოდნის მიხედვით შეგიძლიათ, უფლება მისცეთ, თვითონ დაასრულოს დანარჩენი გვირილების გაფერადება.

14. ანგარიშის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა

- მიმატების სწავლება 12 ის ფარგლებში;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ფორმატის ქაღალდი
- ✓ ფანქარი
- ✓ კამათელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ ა 4 ფორმატის ფურცელი, რომელზეც დახაზავთ ცხრილს. ცხრილის ქვედა კუთხეში თითოეულ გრაფაში ჩაწერეთ რიცხვები 2-დან 12-ის ჩათვლით. მიეცით ბავშვს ორი კამათელი და სთხოვეთ, გააგოროს, მიღებული რიცხვები გადათვალოს და შეკრიბოს. დაადოს ხელი შესაბამის გრაფას, რომელსაც შეესაბამება მიღებული რიცხვების ჯამი. იმ გრაფის შესაბამის სვეტში ჩაწეროს მაგალითი, მაგალითად, 3+1. ბავშვის შესაძლებლობების მიხედვით ცხრილის ზომა შეგიძლიათ შეამციროთ, ან გაართულოთ, მაგალითად გამოიყენოთ 3 ან 4 კამათელი და მისცეთ საშუალება მაგალითები შეასრულოს 20-ის, 30-ის ფარგლებში.

15. ანგარიშის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მიმატების სწავლება 10 ის ფარგლებში;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ დომინო

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ დომინოს მთლიანი შეკვრა. ამოაბრუნეთ ყველა დომინო. უთხარით ბავშვს, რომ ეჯიბრებით ერთმანეთს და ერთდროულად იღებთ თითო-თითო დომინოს. მოგებულია ის მოთამაშე, რომელსაც დომინოს ორივე ნაწილის წერტილების/რაოდენობების შეკრებით უფრო მაღალი რიცხვი გამოუვა. მოგებულ მოთამაშეს რჩება ორივე დომინო. თამაშს იგებს ის, ვისაც ბოლოს მეტი დომინო ექნება შეგროვებული. თუ ბავშვს უჭირს უფრო მეტი ან უფრო ნაკლები რიცხვის განსაზღვრა ცალკე ფურცელზე რიცხვები თანმიმდევრობით დაუწერეთ, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს შეხედოს და მიხვდეს, რომელია მეტი და რომელი ნაკლები.

16. ანგარიშის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება-გამოკლების ოპერაციების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ მაკრატელი
- ✓ შაქრის კუბები ან კოსმეტიკის მოსაშორებელი ბამბის ბალიშები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

რამდენიმე ჭიქა დაბეჭდეთ, ან ბავშვთან ერთად დახატეთ თეთრ ფურცელზე. აქტივობა სახალისო რომ იყოს, მიეცით საშუალება ჭიქები გააფერადოს სხვადასხვა ფერად და გამოჭერით. თითოეულ ჭიქას შავი ფლომასტრის გამოყენებით დააწერეთ სხვადასხვა რიცხვი. აიღეთ კოსმეტიკის მოსაშორებელი ბამბის ბალიშები და დაჭერით რამდენიმე ნაწილად, ვითომ შაქრის ნატეხებია. სთხოვეთ ბავშვს, რამდენი რიცხვიც წერია ჭიქაზე, იმდენი შაქრის ნატეხი დააწყოს ზევიდან. ბავშვის უნარებიდან გამომდინარე, დავალება შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ, გამოიყენოთ მიმატების ან გამოკლების ოპერაციისთვის, ან მისცეთ ამოცანის ფორმა. მაგალითად: გიორგის უნდოდა შოკოლადი 5 შაქრის ნატეხით, მაგრამ რომ გასინჯა ძალიან ტკბილი მოეჩვენა და გადაწყვიტა 2 შაქარი ამოეკლო (ბავშვთან ერთად მოაკელით 2 ბამბის ბურთულა) და დაათვლევინეთ რამდენი შაქრის ნატეხი დარჩა. შეგიძლიათ მიცემული მაგალითი დააწერინოთ ფურცელზე.

17. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა, რაოდენობის განსაზღვრა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ცხოველების სტიკერები ან ფერადი ფურცლები
- ✓ ფერადი მცირე ზომის ბურთები, ან ლობიოს მარცვლები
- ✓ კამათელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



დაბეჭდეთ ან დახაზეთ ცხრილი. ცხრილის ბოლოში დააკარით ცხოველების სტიკერები (თუ სტიკერები არ მოგეპოვებათ, შეგიძლიათ უჯრები გააფერადოთ სხვადასხვა ფერად). ანალოგიური სტიკერები დააკარით ერთ კამათელს (თუ სტიკერები არ გაქვთ შეგიძლიათ დააწებოთ გვერდებზე იმავე ფერის ფერადი ფურცლები, რომლებიც უჯრებში გამოიყენეთ). მეორე კამათელი დატოვეთ გაფორმების გარეშე. სთხოვეთ ბავშვს გააგოროს ორივე კამათელი. რომელი ცხოველიც ამოუვა კამათელზე, მის გასწვრივ სვეტში დადოს იმ რაოდენობის ლობიო (თითო უჯრაზე თითო ლობიო), რაც ამოუვიდა მეორე კამათელზე. რომელი სვეტიც პირველი შეივსება ბოლომდე, ის ცხოველია მოგებული.

18. რაოდენობის განსაზღვრა, ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რაოდენობის განსაზღვრა;
- ანგარიში 10 ის ფარგლებში;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ერთჯერადი ჭიქები
- ✓ დაფის მარკერი
- ✓ ფერადი სარჭები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ პლასტმასის ან ქაღალდის ერთჯერადი ჭიქები. პლასტმასის ჭიქები შეგიძლიათ გახადოთ მრავალჯერადი გამოყენების, რადგან მასზე დაფის მარკერით დაწერის შემთხვევაში შეგიძლიათ მარტივად მოაშოროთ წარწერა. რიცხვების ცნობისთვის და რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, სხვადასხვა ჭიქას დააწერეთ ციფრები 10-ის ფარგლებში. სთხოვეთ ბავშვს, ჭიქაზე დაწერილი ციფრის შესაბამისი რაოდენობის სარჭი გაუკეთოს ჭიქას. თუ გსურთ, ბავშვს ასწავლოთ შეკრება-გამოკლების მოქმედებები, მაშინ დააწერეთ ჭიქას მაგალითი, მაგალითად, 5+2= მიეცით ბავშვს საშუალება, თვითონ გაუკეთოს ჯერ 5 სარჭი, შემდეგ 2, გადათვალოს და ტოლობის შემდეგ თვითონვე მიაწეროს ჯამი (7). შეგიძლიათ იგივე აქტივობა გადააკეთოთ გამოკლების სწავლებისთვის.

19. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანგარიში 10 ის ფარგლებში;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ კამათელი
- ✓ ფურცელი
- ✓ ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ ფურცელი. გაყავით ორ ნაწილად. ერთ ნაწილს დააწერეთ თქვენი სახელი, მეორეს ბავშვის. რიგრიგობით გააგორეთ კამათელი. ვთქვათ, ბავშვს კამათელზე ამოუვიდა 6 და 1. სთხოვეთ, თავის გრაფაში დაწეროს 6+1, გადათვალოს ჯამი და მიუწეროს სწორი პასუხი. შემდეგ თქვენ გააგორეთ, დაწერეთ მაგალითი და მიუწერეთ ჯამი. ვისაც მეტი რიცხვი ეწერება ფურცელზე ის იქნება იმ რაუნდის გამარჯვებული და მიუწერეთ ვარსკვლავი. 5, ან 10 თანმიმდევრული გაგორების შემდეგ ვისაც მეტი ვარსკვლავი ექნება დახატული, ის მოთამაშე ჩაითვლება გამარჯვებულად. შეგიძლიათ აქტივობა გაართულოთ, დაამატოთ მესამე კამათელი ან დაამატოთ მოთამაშე, მაგალითად, სხვა ბავშვი, რომელთანაც იგივე სამუშაო მიზნები გაქვთ.

ნინო	გიორგი
6+1=7	6+4=10 ⭐
4+3=7 ⭐	5+1=6
2+1=3	3+5=8 ⭐

20. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება-გამოკლების სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ა4 ფორმის ფურცელი
- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ ორი სხვადასხვა ფერის კამათელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



დახაზეთ ან დაბეჭდეთ ცხრილი ა4 ფორმატის ქაღალდზე. უჯრებში თანმიმდევრობით ჩაწერეთ რიცხვები. ერთი ფერის კამათელი მიეცით ბავშვს, ხოლო მეორე ფერის კამათელი აიღეთ თქვენ. შეთანხმდით ერთმანეთში ვინ დაიწყებს თამაშს პირველი. მოთამაშე აგორებს კამათელს. რა რიცხვიც ამოუვა გადათვლის იმ რაოდენობას უჯრებში ჩაწერილ რიცხვებზე და ტოვებს კამათელს იქ. შემდეგ მეორე მოთამაშე აკეთებს იმავეს. პირველი მოთამაშე ისევ აგორებს კამათელს და იმ რიცხვიდან სადაც იდგა, გადათვლის შესაბამისი უჯრების რაოდენობას. პირობითად პირველმა მოთამაშემ პირველ ჯერზე გააგორა კამათელი და ამოვიდა 5, ხოლო შემდეგ ჯერზე ამოუვიდა 4, კამათელს დასვამს 9-ზე. შეგიძლიათ სთხოვოთ ბავშვს, რომ რვეულში ჩაწეროს მაგალითის სახით 5+4=9, შემდეგ პირობითად 9+3=12. ვინც პირველი გაივლის ყველა უჯრას ის მოთამაშეა მოგებული. შეგიძლიათ ბავშვი გამოკლების ოპერაციებში ავარჯიშოთ ცხრილში უკუმიმართულებით სვლით. აქტივობის სირთულის ხარისხი განსაზღვრეთ ბავშვის წინარე ცოდნიდან და უნარებიდან გამომდინარე.

21. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება-გამოკლების ოპერაციების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ფორმატის ქაღალდზე დახატული ან დაბეჭდილი სატვირთო მანქანა
- ✓ ლეგოს კუბები
- ✓ თეთრი ფერის ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

A4 ფორმატის ფურცელზე დახატეთ ან ამობეჭდეთ სატვირთო მანქანა. სთხოვეთ ბავშვს, სატვირთო მანქანა გააფერადოს, თავისი სურვილის მიხედვით, სხვადასხვა ფერის გამოყენებით. უთხარით ბავშვს, რომ სახლის ასაშენებლად ხელოსნები ყოველ ჯერზე ითხოვენ სხვადასხვა რაოდენობის აგურს. სანამ ბავშვი აფერადებს მანქანას თეთრ ფურცელზე დაწერეთ სხვადასხვა რიცხვები და დაჭერით ფურცელი. მაგიდაზე ბავშვის წინ დადეთ პლასტმასის კონტეინერი, რომელშიც იქნება ჩალაგებული სხვადასხვა ფერის ლეგოები. სთხოვეთ, წარმოიდგინოს, რომ ეს არის სატვირთო მანქანა, რომელსაც გადააქვს დიდი ზომის აგურები სახლის ასაშენებლად. დაუდეთ ბავშვს თქვენს მიერ დაწერილი რიცხვი სატვირთო მანქანაზე. უთხარით, რომ სახლის მშენებლები პირველი სართულის აშენებისთვის ითხოვენ 12 აგურს და თუ შეიძლება 12 ცალი ლეგოს კუბი დააწყოს მანქანაზე, აივნის ასაშენებლად ითხოვენ 7-ს და ა.შ აქტივობა შეგიძლიათ გადააკეთოთ მიმატების დავალების შესასრულებლად, ან გამოკლების დავალების შესასრულებლად. ვთქვათ, მშენებლებმა მოითხოვეს 12 აგური, მაგრამ მიხვდნენ, რომ 3 აგური აღმოჩნდა ზედმეტი. სთხოვეთ ბავშვს მოაშოროს 3 კუბი და გადათვალოს რამდენი ლეგოს კუბი დარჩება მაგიდაზე. შეგიძლიათ მიცემული დავალება მაგალითის სახით დააწერინოთ ფურცელზე.

22. რაოდენობის განსაზღვრა/რიცხვების შედარება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სხვადასხვა ფერის წებოვანი ფურცლები
- ✓ ფერადი ფლომასტერები
- ✓ ლეგოს კუბები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ბავშვის წინარე ცოდნიდან და უნარებიდან გამომდინარე, აქტივობა შეგიძლიათ შეასრულოთ სხვადასხვა სახით. თუ ბავშვი ახლა ითვისებს ციფრებს და სწავლობს რაოდენობის განსაზღვრას, ფურცლებზე დაწერეთ ციფრები 10-ის ფარგლებში. ფურცლები დაალაგეთ თანმიმდევრობით და სთხოვეთ ბავშვს, თითოეული რიცხვის გასწვრივ ააშენოს კოშკი, იმდენი ლეგოს კუბის გამოყენებით, რა ციფრიც წერია. თუ ბავშვი უკვე კარგად ცნობს რიცხვებს და მიზანი გაქვთ, მიხვდეს, რომელი რიცხვია მეტი ან ნაკლები, მაშინ შეგიძლიათ ციფრები დაალაგოთ არეულად. სთხოვეთ ბავშვს, ააშენოს ციფრის რაოდენობის შესაბამისი კუბებისგან კოშკები, შემდეგ შეხედოს კოშკებს და გითხრათ რომელი მათგანია ყველაზე მაღალი, ყველაზე დაბალი და ა.შ.

23. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება-გამოკლების მოქმედებების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ დაბეჭდილი ან დახაზული დანაყოფებიანი სვეტები
- ✓ ფერადი კუბიკები
- ✓ კამათელი



<u>აქტივობის აღწერა:</u>

ა4 ფორმატის ქაღალდზე, ფურცლის ორივე კიდეში დახაზეთ უჯრებიანი ორ-ორი სვეტი. ერთ მხარეს სვეტებს დააწერეთ ბავშვის სახელი, მეორე მხარეს თქვენი. პლასტმასის კონტეინერში ჩაალაგეთ ფერადი კუბები (კუბების ნაცვლად ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მასალა, რაც თქვენთვის არის ხელმისაწვდომი). თქვენ და ბავშვმა გაინაწილეთ კამათლები. გააგორეთ კამათელი მორიგეობით. ამოსული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის კუბები დააწყვეთ სვეტზე. ვინც პირველი შეავსებს ორივე სვეტს ბოლომდე, ის იქნება გამარჯვებული. ბავშვის უნარებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ მაგალითი ჩააწერინოთ რვეულში. პირობითად 5+6+4=15 და. აშ. საჭიროების მიხედვით მაგალითი შეგიძლიათ გაართულოთ ან გაამარტივოთ; აქტივობა გადააკეთოთ გამოკლების მოქმედების სასწავლებლად.

24. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვები ცნობა;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცელი
- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ მუყაოს ერთჯერადი ჭიქები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ ფერადი ფურცელი. ფურცელს დაადეთ მუყაოს ერთჯერადი ჭიქა და შემოხაზეთ წრეები. თითოეულ წრეში დასვით სხვადასხვა რაოდენობის წერტილები შავი ფლომასტრის გამოყენებით. სასურველია, წერტილები იყოს 10-ის ფარგლებში, რათა ბავშვისთვის უფრო მარტივად აღსაქმელი იყოს. მუყაოს ჭიქებზე სადგამის მხარეს დააწერეთ ციფრები 10-ის ფარგლებში. ჭიქები დააწყვეთ არეულად. სთხოვეთ ბავშვს, წრეში ჩახაზული წერტილების რაოდენობის შესაბამისი ჭიქა მოძებნოს და დაადოს წრეს.

25. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ „ქინდერის“ კვერცხის ჩასადებები
- ✓ შავი მარკერი ან ფლომასტერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ „ქინდერის“ პლასტმასის კვერცხები. კვერცხის ერთ ნაწილს დააწერეთ რიცხვი, ხოლო მეორე ნაწილს დაახატეთ რიცხვის შესაბამისი რაოდენობის წერტილები. სასურველია, გამოიყენოთ დაფის მარკერი, რომელიც ადვილად შორდება პლასტმასის ზედაპირს და შესაძლებლობას მოგცემთ ერთიდაიგივე კვერცხი რამდენჯერმე გამოიყენოთ. კვერცხები გქონდეთ დანაწევრებული და სთხოვეთ ბავშვს, თითოეულ კვერცხს მოუძებნოს მისი შესაბამისი ნაწილი. აქტივობის მოდიფიცირება შეგიძლიათ სირთულის ხარისხის მიხედვით. შეგიძლიათ აქტივობა გადააკეთოთ შეკრება-გამოკლების სასწავლო აქტივობად. მაგალითად, ორივე მხარეს დაახატოთ რიცხვები და მისი შესაბამისი წერტილები. ბავშვმა თავისი სურვილით ააწყოს კვერცხი, გადათვალოს წერტილები ორივე მხარეს და ჩაწეროს. მაგალითად, 3+2=5.

26. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება-გამოკლების ოპერაციების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მცირე ზომის სათლი, ან კალათა
- ✓ სათამაშო ბუტაფორიული ხილი/ მცირე ზომის ბურთები ან კუბები
- ✓ ფურცელი
- ✓ ფლომასტერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ 10-ის ფარგლებში როგორც შეკრების, ასევე გამოკლების სწავლის მიზნით. მაგიდაზე დადეთ კალათი, რომელშიც ჩაყრით სათამაშო ხილს. ხილი შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ ნებისმიერი თქვენთვის ხელმისაწვდომი მასალით, იქნება ეს რბილი ბურთები, მაკარონი თუ სხვ. ბავშვს დაუდეთ წინ ფურცელი, რომელზეც დაუხაზავთ ზემოთ მოყვანილ ცხრილს. მაგალითისთვის 5 ცალი ვაშლი დადეთ კალათის გვერდზე, 5 ცალი კალათში. ჩააწერინეთ შესაბამის გრაფაში რიცხვები. შემდეგ სთხოვეთ, დათვალოს ვაშლების რაოდენობა ერთად, როგორც კალათის გარეთ, ასევე შიგნით და ჩაწეროს მიღებული ჯამი შესაბამის გრაფაში. მიეცით ბავშვს საშუალება თვითონ გაანაწილოს ვაშლები და ჩაწეროს მაგალითები.

რამდენი ვაშლია კალათში	რამდენი ვაშლია კალათის გვერდით	რამდენი ვაშლია სულ
5	5	5+5=10

27. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ორი ერთნაირი ზომის თასი
- ✓ კუბები, ან ნებისმიერი სხვა მცირე ზომის სათამაშო
- ✓ ფურცელი
- ✓ ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ რამდენიმე მიზნით. ვთქვათ, გსურთ, ბავშვს ასწავლოთ მეტობა/ნაკლებობის განსაზღვრა. დაწერეთ ფურცელზე ორი რიცხვი. დადეთ რიცხვები კალათების გასწვრივ. ბავშვის თვალთახედვის არეში დაალაგეთ კუბები. სთხოვეთ ბავშვს, თასებში ჩააწყოს რიცხვების შესაბამისი რაოდენობის კუბები, დააკვირდეს თასებს და გითხრათ რომელ თასშია მეტი რაოდენობის კუბი. შეგიძლიათ მაგალითის სახით გააკეთებინოთ ჩანაწერი ფურცელზე. რიცხვები შეგიძლიათ აარჩიოთ ბავშვის წინარე ცოდნის და შესაძლებლობის გათვალისწინებით. აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ, რიცხვების შესაბამისი რაოდენობის განსასაზღვრის მიზნითაც.

28. მეტობა/ნაკლებობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მეტობა/ნაკლებობის სწავლება;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბანქო
- ✓ A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ბანქოს შეკვრიდან ამოალაგეთ ნახატებიანი ბანქოები და დაიტოვეთ მხოლოდ ისინი, რომლებსაც რიცხვები აწერია. აიღეთ ა4 ფორმატის ქაღალდი, რომელზეც შუა ნაწილში დაწერთ მეტობის, ნაკლებობის და ტოლობის ნიშნებს. ამოატრიალეთ ბანქოს დასტა და მიეცით ბავშვს საშუალება ამოიღოს ორი ბანქო ისე, რომ არ ჩანდეს გამოსახულება. სთხოვეთ, ამოატრიალოს ორივე ბანქო და შესაბამისი ნიშნის გასწვრივ დაალაგოს ისინი. ბანქოს გამოყენება ეფექტურია, რადგან აძლევს ბავშვს საშუალებას, შეხედოს რიცხვს და განსაზღვროს რაოდენობაც, მაგალით ცხრიან ბანქოზე ყოველთვის არის დახატული 9 ფიგურა და ბავშვს შესაძლებლობა აქვს გადათვალოს ისინი.

29. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანგარიშის სწავლება 20-ს ფარგლებში

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ ფანქარი

<u>აქტივობის აღწერა:</u>



აქტივობისთვის ბანქოს დასტიდან დაიტოვეთ მხოლოდ ის ბანქოები, რომელთაც აწერიათ რიცხვები. აქტივობა შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ ბავშვის შესაძლებლობიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, შეარჩიოთ აქტივობის განსახორციელებლად ორიდან ერთი მეთოდი.

პირველი მეთოდი: შეგიძლიათ გამოიყენოთ ორი სხვადასხვა გზით. შეგიძლიათ ფურცელზე დახაზოთ ბანქოს შესაბამისი ორი უჯრა, რომელთა შორისაც დავსვათ მიმატების ნიშანს, გვერდით, მარჯვენა მხარეს - ტოლობის ნიშანს და ჩაწერთ რომელიმე რიცხვს 20-ის ფარგლებში. სთხოვეთ, ბავშვს ბანქოს დასტიდან აარჩიოს ორი ბანქო ისე, რომ მათი რაოდენობის ჯამი შეადგენდეს 20-ს.

მეორე მეთოდი: ა4 ფორმატის ქაღალდზე ხაზავთ ზემოთ მოცუმულ ნახაზს. ნაჩვენები სურათის შემთხვევაში ეს არის ორი ცალი ბანქოს ზომის ოთხკუთხედი და მათ ქვეშ მაგალითის ჩასაწერ გრაფას. თუ ფურცელს გაუკეთებთ ლამინირებას და გამოიყენებთ დაფის მარკერს, შეძლებთ, ადვილად წაშალოთ დაწერილი მაგალითი და ფურცელი მრავალჯერადად გამოიყენოთ. მიეცით ბავშვს საშუალება თვითონ აირჩიოს დასტიდან რომელიმე ორი ბანქო, დაადოს შესაბამის უჯრებს და ქვემოთ თვითონვე ჩაწეროს მაგალითი. ბანქოს დასტის გამოიყენება ეფექტურია, რადგან ბავშვს შესაძლებლობას აძლევს გადათვალოს ცალკეული ფიგურები, რაც დაეხმარება ანგარიშში. აქტივობის მოდიფიცირება შეგიძლიათ გამოკლების ოპერაციების სწავლების მიზნითაც.

30. გამრავლება/გაყოფა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გამრავლება/გაყოფის მოქმედებების სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ერთჯერადი თეფშები
- ✓ ორცხობილა
- ✓ ან მაკარონი/ლობიო

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ბავშვის წინარე ცოდნიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეგიძლიათ აქტივობა გაამარტივოთ ან გაართულოთ. აიღეთ რამდენიმე ერთჯერადი თეფში. მასალად შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ორცხობილა, ასევე სხვა ნებისმიერი ტკბილეული, ან პროდუქტი, მაგალითად ლობიო, ბარდა და და ა.შ. ვერბალურად აუხსენით ბავშვს, რას ნიშნავს რიცხვების ერთმანეთზე გამრავლება და შესთავაზეთ, ერთად სცადოთ ამის გაკეთება. მაგალითად, ბავშვს წინ დაუდეთ 4 თეფში და სთხოვეთ, თითოეულ თეფშზე დააწყოს 4 ორცხობილა. რვეულში ან თავისუფალ ფურცელზე ასწავლეთ ჩანაწერის გაკეთება, თუ რას ნიშნავს გამრავლება, მაგ.: 4 x 4=. ამის შემდეგ მიეცით საშუალება, რომ გადათვალოს ორცხობილები ოთხივე თეფშზე. ტოლობის ნიშნის შემდეგ ჩააწერინეთ მიღებული რიცხვი-16.

31. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ კვერცხების ჩასადები ყუთი, სასურველია, იყოს მუყაოს, მაგრამ შეგიძლიათ გამოიყენოთ პლასტმასისაც
- ✓ ღილები
- ✓ მარკერი ან ფლომასტერი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

კვერცხის ჩასადები ყუთის ერთ მხარეს, თითოეულ დანაყოფში ჩაწერეთ ციფრები 1-დან 10-ის ფარგლებში. ყუთის მეორე მხარეს ჩაყარეთ ფერადი ღილები. თხოვეთ ბავშვს, თითოეულ დანაყოფში ჩაალაგოს იმ რაოდენობის ღილი, რა ციფრიც წერია.

32. რიცხვების თანმიმდევრობის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების თანმიმდევრობის სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ შავი ფერის ფანქარი ან ფლომასტერი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო
- ✓ ფეხსაცმლის თასმა

<u>აქტივობის აღწერა:</u>

სხვადასხვა ფერის ფურცლებისგან გამოჭერით მართკუთხედი ფორმები, ისე რომ შესაძლებელი იყოს მათი კიდეების ერთმანეთზე დაწებებით მძივის ფორმის მიღება. სანამ კიდეებს დააწებებთ, თითოეულ გამოჭრილ ფურცელს დააწერეთ ციფრები 10-ის ფარგლებში. აიღეთ ფეხსაცმლის თასმა, სთხოვეთ ბავშვს, ააცვას ფერადი ფურცლები რიცხვების თანმიმდევრობის დაცვით, ჯერ 1, შემდეგ 2 და ასე შემდეგ. მას შემდეგ, რაც ბავშვი თანმიმდევრობით ააცვამს ციფრებს, შეკარით თასმის ბოლოები და ჩამოკიდეთ მძივი ბავშვისთვის თვალსაჩინო ადგილას.

33. რიცხვების ცნობა/რაოდენობის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის განსაზღვრა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მუყაოს ქაღალდი
- ✓ ფერადი ფლომასტერები
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო
- ✓ ფერადი სარჭები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

მუყაოს ქაღალდი დაჭერით. თითოეულ ნაჭერს დაახატეთ ფერადი ფლომასტერების გამოყენებით კაცუნები, რომელთაც აცვიათ მაისური. თითოეულ მათგანს მაისურზე დააწერეთ რიცხვები. შეგიძლიათ უთხრათ ბავშვს, რომ ისინი არიან რომელიღაც ფეხბურთის გუნდის მოთამაშეები. მაისურებზე ციფრები დააწერეთ სხვადასხვა ფერით 1-დან 5 მდე. სთხოვეთ ბავშვს, აიღოს იმ ფერის და რაოდენობის შესაბამისი სარჭი, რომელიც ფეხბურთელს გულზე აწერია და სარჭები გაუკეთოს თავზე. როდესაც მორჩებით სარჭების გადანაწილებას, დაალაგეთ ისინი ბავშვისთვის თვალსაჩინო ადგილას.

34. ანგარიშის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანგარიშის სწავლება;
- კომუნიკაციის უნარები;
- მეტყველების სტიმულირება;
- ყურადღების კონცეტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფლომასტერები
- ✓ მაკრატელი
- ✓ საკლასო, ან რესურსოთახში ხელმისაწვდომი ნებისმიერი ნივთი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობის შესრულება ეფექტურია რამდენიმე ბავშვთან ჯგუფში. აიღეთ კლასში ან რესურსოთახში თქვენთვის ხელმისაწვდომი რამდენიმე ნივთი და ბავშვებს დაალაგებინეთ ერთ-ერთ მაგიდაზე. სთხოვეთ წარმოიდგინონ, რომ ეს არის მაღაზია, სადაც ყიდიან ნივთებს. შემდეგ ბავშვებსვე გამოაჭრევინეთ ქაღალდიდან ფულის კუპიურები და სთხოვეთ, თანხა გაინაწილონ. ერთ-ერთ მოსწავლეს მიეცით გამყიდვლის როლი, ხოლო დანარჩენებს მაღაზიაში შესული კლიენტების როლი. სთხოვეთ გამყიდველს, გასაყიდ ნივთებს დააწეროს ფასები. „მაღაზიაში“ რიგრიგობით შესულ „კლიენტებს“ მიეცით საშუალება, თვითონ აირჩიონ ნივთი, რომლის ყიდვაც უნდათ და გადაიხადონ თავიანთი ფულის კუპიურების საშუალებით. ასწავლეთ მაღაზიის გამყიდველს, როგორ გამოიანგარიშოს და დაუბრუნოს ხურდა კლიენტს.

35. ანგარიშის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ანგარიშის სწავლება;
- ფულის ერთეულის ცნობა.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფლომასტერები
- ✓ დაბეჭდილი ფულის ერთეულები ან ხურდა ფული

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფურცელზე ჩამოწერეთ სხვადასხვა სათამაშოს ან ტკბილეულის დასახელება. გვერდზე მიუწერეთ მათი ღირებულება. მაგალითად, სათამაშო მანქანა ღირს 5 ლარი. თუ გაქვთ, მიეცით ბავშვს ხურდა ფული, ან დაბეჭდილი ფულის კუპიურები. სთხოვეთ, მოგაწოდოთ ის ფულის კუპიურა, რომლითაც შეძლებს სათამაშოს ყიდვას. დავალება შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ იმის მიხედვით, თუ როგორია ბავშვის წინარე ცოდნა. მაგალითად, თუ აქვს 20 ლარიანი, რამდენი ხურდა ეკუთვნის და ა.შ.

36. ამოცანის ამოხსნა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მარტივი ამოცანის ამოხსნის სწავლება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფერის ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ამოცანის ამოხსნა საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომელიც მოითხოვს მოქმედებების თანმიმდევრობით დალაგებას. ამოცანის ამოხსნისთვის აუცილებელია: გავიგოთ ინფორმაციის რა ნაწილი გვჭირდება იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ დასმულ შეკითხვას; სიტყვებში გადმოცემული ინფორმაცია გადავიყვანოთ რიცხვებში, მათემატიკურ კონცეპტებში; გავაკეთოთ ანალიზი, ჩატარებული გამოთვლები რამდენად შეესაბამება სწორ პასუხს.

იხილეთ მაგალითი:

გიორგის აქვს 7 მწვანე, 3 ლურჯი და 1 წითელი ბურთი. სულ რამდენი ბურთი აქვს გიორგის

მე მჭირდება + - x :

საკვანძო სიტყვები ----------

დახატე სურათი

დაწერე მაგალითი:

37. რიცხვების დამრგვალების სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების დამრგვალების სწავლება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფერის ფურცელი
- ✓ ფერადი ფლომასტერები



<u>აქტივობის აღწერა:</u>

ფურცელზე შეგიძლიათ დახატოთ მთა და მასზე გადაანაწილოთ ციფრები 1-დან 10-მდე, როგორც ეს ზემოთ მოცემული სურათზეა გამოსახული. რიცხვებს შორის გადაადგილებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მცირე ზომის კუბი ან სათამაშო კაცუნა. აუხსენით მოსწავლეს რიცხვების დამრგვალების წესი, როგორც მთელი რიცხვების, ასევე ათეულების შემთხვევაში. პირობითად, თუ ასწავლით ათეულებამდე დამრგვალებას, აუხსენით, რომ ათეულების თანრიგში მდგომი ციფრის შემდეგ (ერთეულების თანრიგში) გაქვთ 5 ან მეტი, მაშინ დამრგვალებისას ათეულების თანრიგი ერთით გაიზრდება. მაგალითად, დაუწერეთ ბავშვს რიცხვი-17. მოაძებნინეთ 7-იანი მთაზე და ჰკითხეთ თუ რა დაემართება ათეულს, გაიზარდება ერთით თუ არა? და შემდეგ ჩააწერინეთ რიცხვი 20. ჩამოწერეთ ფურცელზე რამდენიმე რიცხვი, რომლის დამრგვალებასაც სთხოვთ ბავშვს, მოცემული გრაფიკის გამოყენებით.

38. მათემატიკური მოქმედებების სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება/გამოკლება/გამრავლება/გაყოფის მოქმედებების აღმნიშვნელი სიმბოლოების ერთმანეთისგან გარჩევის სწავლება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები: 7

- ✓ თეთრი ქაღალდი
- ✓ ფერადი ფლომასტერები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

ბევრი მოსწავლისთვის სირთულეს წარმოადგენს მათემატიკური მოქმედებების აღმნიშვნელი სიმბოლოების ერთმანეთისგან გარჩევა. ამ სირთულის დასაძლევად შეგიძლიათ გამოიყენოთ სიმბოლოების და მაგალითების ფერებით კოდირების სტრატეგია, რაც ნიშნავს რომ თითოეული სიმბოლო ჩააწერინოთ სხვადასხვა ფერის ფლომასტერის გამოყენებით. მაგალითად:

7 + 3 = 10

9– 2 = 7

5 x 2 = 10

4 : 2= 2

39. ერთეულების/ათეულის სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ერთეულების, ათეულების სწავლება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცლები
- ✓ შავი ფერის ფანქარი

კატეგორია	ორნიშნა რიცხვი
2 უნდა იყოს ათეულში	
7 უნდა იყოს ერთეულში	
6 უნდა იყოს ათეულში	
რიცხვი რომლის ათეულის და ერთეულის ციფრების ჯამი არის 8	
რიცხვი, რომელშიც 2 ციფრი მეორდება	

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აუხსენით მოსწავლეს, რომ ორნიშნა რიცხვებში პირველი ციფრი აღნიშნავს ათეულს, ხოლო მეორე ერთეულს. დაწერეთ ფურცელზე სხვადასხვა რიცხვები. შეადგინეთ ზემოთ მოყვანილი ცხრილის მსგავსი. ცხრილში უჯრების რაოდენობა შეგიძლიათ განსაზღვროთ ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ცხრილს ასევე შეგიძლიათ დაამატოთ ასეულების გრაფა. სთხოვეთ ბავშვს, თქვენს მიერ დაწერილი რიცხვი მოათავსოს შესაბამისი ტექსტის გასწვრივ უჯრაში.

40. მათემატიკური ტერმინების სწავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მათემატიკური ტერმინების სწავლება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფერადი ფანქრები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



სხვადასხვა მათემატიკური ტერმინების სწავლებისა და დამახსოვრების მიზნით, მოსწავლეებთან ეფექტურია ე.წ. კორნელის ჩანაწერების მეთოდის გამოყენება. კორნელის ჩანაწერების მეთოდი იძლევა ჩანაწერების ორგანიზების საშუალებას. მოსწავლე ფურცელს ყოფს 3 ნაწილად. მარცხენა ნაწილში იწერება მათემატიკური ტერმინი, ხოლო მარჯვენა ნაწილში ამ ტერმინის სიტყვიერი განმარტება. ფურცლის ქვედა ნაწილში შეიძლება ჩაიწეროს მაგალითი აღნიშნული მათემატიკური ტერმინის გამოყენებით. ბავშვის უნარებისა და განვითარების დონის მიხედვით, შეგიძლიათ დაიწყოთ ერთი ჩანაწერით და პერიოდულად დაამატოთ ახალი ტერმინები.

41. მთელი და ნაწილები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მთელი და მისი შემადგენელი ნაწილები;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ ლეგოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



ფურცელზე დახაზეთ მოცემული ცხრილი. ზედა გრაფას ორივე უჯრაში დააწერეთ ნაწილი, ხოლო ქვედას მთელი, როგორც ეს მოცემულია სურათზე. აიღეთ სხვადასხვა ფერის ლეგოები და ლეგოს კუბებზე გამოხატული რაოდენობის მიხედვით დაეხმარეთ ბავშვს გადაანაწილეს ლეგოები შესაბამის გრაფაში. შემდეგ გააკეთებინეთ ჩანაწერები, მაგალითად 2/8 და 6/8. ბავშვის შესაძლებლობების და უნარების მიხედვით, შეგიძლიათ დავალება გაამარტივოთ, ან გაართულოთ.

42. ანგარიში/გამრავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გამრავლების სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ ლეგოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>



აიღეთ სხვადასხვა ფერის ლეგოები. ბავშვის უნარების და წინარე ცოდნის გათვალისწინებით, დაალაგეთ ისინი ფურცელზე. მიეცით ლეგოებს ოთხკუთხედის ფორმა. სთხოვეთ ბავშვს გადათვალოს ლეგოზე ამობურცული ნაწილების რაოდენობა, როგორც სიგრძეზე ასევე სიგანეზე და ჩაწეროს მაგალითის სახით. მაგალითად, 2x2. შემდეგ გადათვალოს ამობურცული ნაწილების სრული რაოდენობა კონკრეტულ ფიგურაზე და ტოლობის შემდეგ დაწეროს მიღებული რიცხვი. მაგალითად 2 x 2=4 .

43. ანგარიში/გამრავლება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გამრავლების სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ ფერადი ფლომასტერები
- ✓ ლობიოს მარცვალი/ბარდა/ქიშმიში/ტკბილეული

<u>აქტივობის აღწერა:</u>



A4 ფორმატის ფურცელი დაყავით 5 ნაწილად, როგორც ეს სურათზე არის მოცემული. ზედა მარცხენა კუთხეში ჩაწერეთ მაგალითი, ბავშვის წინარე ცოდნის გათვალისწინებით, ვთქვათ, 5x3=15. მაგალითის გასწვრივ ზედა მარჯვენა კუთხეში ბავშვს ჩააწერინეთ დაყოფილად, თუ რას ნიშნავს როდესაც 5-ს ვამრავლებთ 3-ზე (3+3+3+3+3). შემდეგ ასევე შეგიძლიათ აუხსნათ, რომ გამრავლების მოქმედების დროს რიცხვების გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება და იგივე მაგალითი დააწერინოთ შებრუნებულად, მაგალითად 3x5=15. მოცემული მაგალითის სადემონსტრაციოდ შეგიძლიათ ბავშვს საშუალება მისცეთ, დახაზოს 3 წრე და თითოეულში ჩახატოს 5-5 ფერადი ბურთი. მეტი თვალსაჩინოებისთვის, შეგიძლიათ საშუალება მისცემთ მოსწავლეს დარჩენილ უჯრაში მაგალითში მოყვანილი ციფრების შესაბამის კანფეტები დაალაგოს.

44. ანგარიში/გაყოფა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გაყოფის სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი A4 ფორმატის ფურცელი
- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ ლობიოს მარცვლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ თეთრი A4 ფორმატის ფურცელი. ბავშვის უნარების და წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაყავით ფურცელი რამდენიმე ნაწილად. აიღეთ ლობიოს მარცვლები. რაოდენობა განსაზღვრეთ თქვენით, ბავშვის უნარების გათვალისწინებით. ვთქვათ, ფურცელი დაყავით სამ ნაწილად. მიეცით ბავშვს ლობიოს 9 მარცვალი და უთხარით მარცვლები თითო-თითოს დადებით გადაანაწილოს 3 უჯრაში. სთხოვეთ მოსწავლეს, დაითვალოს რამდენი მარცვალი აღმოჩნდა თითოეულ უჯრაში. მიღებული შედეგის მიხედვით ჩააწერინეთ მაგალითი ფურცელზე. დავალება შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ ბავშვის უნარებიდან გამომდინარე.

45. ანგარიში/გაყოფა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გაყოფის სწავლება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები
- ✓ შავი ფანქარი
- ✓ ლობიოს მარცვლები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ ფერადი ფურცლები და დაჭერით რამდენიმე ნაწილად. აიღეთ ლობიოს მარცვლები, ან ნებისმიერი მცირე ზომის ერთნაირი ფორმის ნივთები. რაოდენობა განსაზღვრეთ თქვენით, ბავშვის უნარების გათვალისწინებით. მაგალითად, ბავშვს წინ დაუდეთ 3 დაჭრილი ფურცელი. მიეცით ლობიოს 15 მარცვალი და უთხარით რომ მარცვლები თითო-თითოს დადებით გადაანაწილოს სამივე ფურცელზე. სთხოვეთ მოსწავლეს, დაითვალოს რამდენი მარცვალი აღმოჩნდა თითოეულ ფურცელზე. მიღებული შედეგის მიხედვით ჩააწერინეთ მაგალითი. დავალება შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ ბავშვის უნარებიდან გამომდინარე.

46. რიცხვებს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების შედარება;
- ანგარიში.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფერის ფურცელი
- ✓ დაფის შავი მარკერი
- ✓ ფერადი სათამაშო ჟეტონები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აიღეთ A4 ფორმატის ფურცელი. დახაზეთ ორი დიდი მართკუთხედი, მათ შორის დატოვეთ თავისუფალი სივრცე. სასურველია ფურცლის ლამინირება, რადგან შეძლებთ ფურცლის მრავალჯერადად გამოყენებას. შავი მარკერის საშუალებით თითოეულ მართკუთხედში ჩაწერეთ სხვადასხვა მაგალითი. მიეცით ბავშვს სხვადასხვა ფერის ჟეტონები და სთხოვეთ მაგალითის ქვეშ დადოს შესაბამისი რაოდენობის ჟეტონი. ფერები შეუძლია გამოიყენოს ციფრების ოდენობების შესაბამისად. ბავშვმა დალაგებული ჟეტონები უნდა გადაითვალოს და მიღებული რიცხვების საფუძველზე ჩაწეროს მეტობა/ნაკლებობის ან ტოლობის ნიშანი მართკუთხედებს შორის დატოვებულ თავისუფალ სივრცეში.



47. რიცხვებს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების შედარება;
- ანგარიში.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ თეთრი ფერის ფურელი
- ✓ დაფის შავი მარკერი
- ✓ მაკრატელი
- ✓ წებო

<u>აქტივობის აღწერა:</u>



აიღეთ A4 ფორმატის ფურცელი. დახაზეთ ფურცელზე უჯრები და მათ შორის დასვით ტოლობის ნიშანი. ფურცლის ქვედა ნაწილში დაწერეთ რამდენიმე მაგალითი პასუხების გარეშე. სთხოვეთ მოსწავლეს გამოჭრას მაგალითები და გადაანაწილოს შესაბამის უჯრებში ისე, რომ გვერდიგვერდ მყოფ უჯრებში მოთავსებული მაგალითები იყოს ერთმანეთის ტოლი. ანგარიშში დასახმარებლად შეგიძლიათ მისცეთ ვიზუალური მასალის გამოყენების უფლება.

48. ანგარიში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- შეკრება-გამოკლების ოპერაციების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მცირე ზომის სათლი, ან კალათა
- ✓ შავი ფერის ფანქარი
- ✓ ფურცელი
- ✓ ლეგოები

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც მიმატების, ასევე გამოკლების სწავლის მიზნით. მაგიდაზე დადეთ პლასტმასის ჭიქა, რომელშიც ჩაყრილი იქნება ფერადი ლეგოები. სთხოვეთ ბავშვს, ჭიქას დააფაროს ხელი, შეანჯღრიოს და შემდეგ გადმოაბრუნოს. ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ უთხრათ, რომ ყოველ ჯერზე გადმოყაროს ლეგოს ორი ან სამი კუბი. სთხოვეთ ბავშვს, დათვალოს, თითოეულ ლეგოს რამდენი ამობურცული ნაწილი აქვს და ამის შესაბამისად ჩაწეროს მაგალითი (ვთქვათ, 4+4+4). შემდეგ მიეცით საშუალება, ორივე ლეგოზე გადათვალოს ამობურცული ნაწილების რაოდენობა და დაწეროს მიღებული ჯამი (=12).

49. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის ცნების განსაზღვრების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ თეთრი ფურცელი
- ✓ ფერადი სამაგრები (სკრეპები)

<u>აქტივობის აღწერა:</u>

დაჭერით ფურცელი და თითოეულს დააწერეთ სხვადასხვა რიცხვები. თითოეულ ფურცელს გაუკეთეთ ნახვრეტი. მიეცით ბავშვს ფერადი სამაგრები. სთხოვეთ, დახედოს თუ რა რიცხვი წერია ფურცელზე და იმდენი სამაგრის გამოყენებით აცვას ჯაჭვი. შემდეგ ფერადი ჯაჭვი დაამაგროს ფურცელს.

50. რიცხვების ცნობა/რაოდენობის განსაზღვრა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რიცხვების ცნობა;
- რაოდენობის ცნების განსაზღვრების სწავლება;
- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ შავი ფლომასტერი
- ✓ ხის ჩხირები
- ✓ ან ფერადი ფურცლები და მაკრატელი

<u>აქტივობის აღწერა:</u>

აქტივობა შეგიძლიათ გაართულოთ ან გაამარტივოთ ბავშვის უკვე არსებული ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. მაგალითად, აიღეთ ფერადი ხის ჩხირები და კიდეში დააწერეთ რიცხვები. პირობითად 3, 5. სთხოვეთ მოსწავლეს, შავი ფლომასტერის გამოყენებით რიცხვების შესაბამისი რაოდენობის წერტილები დასვას ჩხირებზე. შესაძლებელია, წერტილების ნაცვლად დააწერინოთ მაგალითები. ფერადი ჩხირები შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ ფერადი, ვიწროდ დაჭრილი ფურცლებით.

რეკომენდაციები მშობლებისთვის

თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში
- რეკომენდაციები მშობლებისთვის ბავშვის განვითარების პროცესის მხარდასაჭერად
- ინდივიდუალური სწავლის სტილი და მასზე დაკვირვების სტრატეგიები
- რეკომენდაციები ბავშვის ინდივიდუალური სწავლის სტილის გათვალისწინებით
- სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვების წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები

მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის აკადემიური წარმატების მიღწევის და სხვადასხვა უნარების დაუფლების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია, როგორც სკოლის ეფექტური მუშაობა, ასევე ოჯახის აქტიური ჩართვა ბავშვის სწავლებისა და განვითარების პროცესში.

ბავშვის განვითარების პროგრესის სტიმულირებისთვის აუცილებელია მშობლებისა და მასწავლებლების ეფექტური, შეთანხმებული თანამშრომლობა. თუ ბავშვს აქვს სწავლის სირთულეები, ან უკვე დადასტურებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, არსებობს მრავალი ხერხი იმისთვის, რომ აკადემიურ წარმატებას მიაღწიოს.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები ეხმარება მშობლებს, რომ ბავშვს სასწავლო პროცესის მიმართ ჩამოუყალიბდეს დადებითი განწყობა, მიაღწიოს სწავლაში წარმატებას, გახდეს თავდაჯერებული.

როდესაც სპეციალურ საგანანმანათლებლო საჭიროებებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, საკითხს უფრო გლობალურად შევხედოთ. ყველა ბავშვს ესაჭიროება სიყვარული, დადებითი წახალისება და მხარდაჭერა. ბავშვის წახალისება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მას ჩამოუყალიბდეს დადებითი თვითშეფასება საკუთარი თავის მიმართ, გაუჩნდეს საკუთარი ღირებულების განცდა, ირწმუნოს საკუთარი ძალები და ჰქონდეს მოტივაცია. ყოველივე ეს მას დაეხმარება გაუმკლავდეს იმ სირთულეებს, რომელიც მას სასწავლო პროცესში ხვდება. უნდა გაითვალისწინოთ რომ, როდესაც სწავლის სირთულეებსა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე ვსაუბრობთ, მშობლების ფუნქციაა, ამ

სირთულეების დასაძლევად, დაეხმარონ შვილებს უნარების განვითარებაში, ორიენტაცია აიღონ აკადემიურ წინსვლაზე. მშობლის მოვალეობა არ არის, „განკურნოს“ შვილი, მშობლის მოვალეობაა, აღმოუჩინოს მას სოციალური და ემოციური მხარდაჭერა, დაეხმაროს სხვადასხვა უნარის განვითარებაში, ასწავლოს სიტუაციიდან გამოსავლის ძიება. ოჯახის მხრიდან ასეთი ტიპის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ზრდასრულობისთვის მოსამზადებლად, იმისთვის თუ რამდენად დამოუკიდებელი და ძლიერი იქნება ბავშვი ცხოვრებისეულ სირთულეებთან შეხვედრის დროს.

სასურველია, გახსოვდეთ, რომ თქვენი შვილი, პირველ რიგში, თქვენ გბაძავთ, თქვენ ხართ მისთვის როლური მოდული. ის, თუ როგორ იქცევით სხვადასხვა გამოწვევებთან მიმართებაში დიდ გავლენას ახდენს თქვენი შვილის წარმატებაზე. დადებითი განწყობა, რა თქმა უნდა, პირდაპირ ვერ მოაგვარებს იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის სირთულეებთან, მაგრამ ბავშვს უვითარებს თვითრწმენას, რომ შეუძლია სირთულეების დაძლევა და შეძლებს წარმატების მიღწევას.

რეკომენდაციები მშობლებისთვის, ბავშვის განვითარების პროცესის მხარდასაჭერად

რეკომენდაციები დაგეხმარებათ მხარი დაუჭიროთ თქვენ შვილს როგორც აკადემიური, ასევე, სხვადასხვა უნარის განვითარების კუთხით, იმ შემთხვევაში თუ მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან შეზღუდული შესაძლებლობა.

- **გახსოვდეთ, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ყველა ადამიანი დგას გარკვეული სირთულეების წინაშე** - თქვენი, როგორც მშობლის მოვალეობაა გვერდით დაუდგეთ შვილს სწავლის სირთულეების გადალახვის პროცესში, გაუწიოთ მას მორალური და ემოციური მხარდაჭერა.
- **შეეცადეთ, თვითონ გახდეთ ექსპერტი** - მოიძიეთ ინფორმაცია სწავლის სირთულეებზე, ეფექტური სწავლების სტრატეგიებზე, სხვადასხვა ტიპის ხელმისაწვდომ თერაპიაზე.
- **მუდმივად ღია და აქტიურ კომუნიკაციაში იყავით სკოლასთან, მასწავლებლებთან, თერაპევტებთან** (თუ ბავშვი გადის რეაბილიტაციის კურსს) - შეეცადეთ მათთან ერთად შეარჩიოთ საგანმანთლებლო მიზნები, იყავით მზად, რომ სახლის პირობებშიც გააგრძელოთ საჭირო უნარებზე მუშაობა. გახსოვდეთ, ერთი და იმავე უნარზე სხვადასხვა გარემოში თანმიმდევრული და უწყვეტი მუშაობა ბავშვის პროგრესს მეტად უწყობს ხელს.
- **იყავით თქვენი შვილის ადვოკატი** - იცოდეთ და დაიცავით შვილის უფლებები, ინტერესები, შეეცადეთ პროაქტიული კომუნიკაცია დაამყაროთ ყველა იმ პროფესიონალთან, ვისაც თქვენი შვილის აკადემიურ წარმატებაზე შეიძლება ჰქონდეს გავლენა. შესაძლოა, გარკვეულ მომენტებში განიცადოთ იმედგაცრუება, მაგრამ გახსოვდეთ, თქვენ, როგორც მშობელს დიდი როლი გაქვთ ბავშვის წარმატებაში.
- **გახსოვდეთ, საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება გავლენას ახდენს თქვენი შვილის შეხედულებებზეც** - თუ საკითხს მიუდგებით ოპტიმიზმით, შრომისმოყვარეობით, ზოგჯერ იუმორითაც, ეს დაანახებს თქვენ შვილს, რომ სირთულეებს არ უნდა შეუშინდეს და მოტივაცია არ უნდა დაკარგოს.
- **ფოკუსირდით ძლიერ მხარეებზე და არა მხოლოდ სუსტ მხარეებზე (სირთულეებზე)** - თქვენ შვილს შესაძლოა, ჰქონდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან შეზღუდული შესაძლებლობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს ძლიერი

მხარეები. ბავშვის ცხოვრება არ უნდა იყოს განსაზღვრული მხოლოდ როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ინდივიდის.

- **თვალყური ადევნეთ თქვენი შვილის განათლების პროცესს** - დაინტერესდით, ხომ არ შეუძლია სკოლას რაიმე ტიპის დამატებითი სერვისის შეთავაზება. რა საგანმანათლებლო მიზნები აქვს ბავშვს, როგორი პროგრესი აქვს აკადემიურად სემესტრიდან სემესტრამდე. თუ თქვენ შვილს აქვს შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მასწავლებელთან ერთად იმსჯელეთ აკადემიური მიზნების თქვენი შვილის შესაძლებლობებსა და ინტერესებთან შესაბამისობაზე, მიზნების მიღწევის სტრატეგიებზე.
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ან განახლება** - წინასწარ ჩამოწერეთ, რა მიზნები გაქვთ თქვენი შვილისთვის აკადემიური მიმართულებით. დაკვირვებით მოუსმინეთ სკოლას, მასწავლებელს. თუ რომელიმე მიზანი ბუნდოვანია, აუცილებლად დასვით დამაზუსტებელი კითხვები. სხვადასხვა სირთულეების დაძლევისთვის, შესთავაზეთ მასწავლებელს თქვენ მიერ გამოცდილი ეფექტური სტრატეგიები.

ინდივიდუალური სწავლის სტილი და მასზე დაკვირვების სტრატეგიები

დაუკვირდით, რა უწყობს ხელს თქვენს შვილს უკეთ სწავლაში. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სწავლის სტილით, მიუხედავად იმისა, აღენიშნებათ მათ გამოხატული დასწავლის სირთულეები, თუ - არა. ზოგიერთი ადამიანი უკეთ სწავლობს, როდესაც ხედავს ან კითხულობს, ზოგიერთი უკეთ იმახსოვრებს მოსმენით ან კეთებით. დააკვირდით თქვენ შვილს და გაარკვიეთ, რომელი სწავლის სტილის გამოყენებისას უფრო უკეთ ახდენს კონცენტრირებას და მეტი ინტერესი უჩნდება მეცადინეობის პროცესის მიმართ.

არსებობს სწავლის სამი წამყვანი სტილი. ესენია: ვიზუალური ანუ მხედველობითი, აუდიტორული ანუ მოსმენით და კინესთეტიკური ანუ მოქმედებებით სწავლა. როგორც კი მიხვდებით, თქვენი შვილისთვის რომელი სწავლის სტილია წამყვანი, ეს დაგეხმარებით მისთვის სწავლის პროცესი გახადოთ უფრო სასიამოვნო და ეფექტური.

ქვემოთ განხილულია თითოეული სწავლის სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

თუ თქვენი შვილისთვის წამყვანია ვიზუალური, მხედველობით მიწოდებული ინფორმაციით სწავლება:

- ის უკეთ სწავლობს, როდესაც რაღაცას უყურებს ან თვითონ კითხულობს;
- უკეთ იგებს და იმახსოვრებს მასალას, როდესაც ტექსტს ახლავს ვიზუალური მასალასაც, მაგალითად, სურათები;
- უკეთ იგებს ინფორმაციას, თუ მას მოყვება ვიზუალური ცხრილები, რუქები, დიაგრამები;
- მასალის განხილვის დროს მოსწონს, როცა თვითონ ხატავს ან აკეთებს ჩანაწერს მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

თუ თქვენი შვილისთვის წამყვანია სმენით მიწოდებულ ინფორმაციით სწავლება, მაშინ:

- ყველაზე ადვილად სწავლობს მოსმენით;

- ყველაზე კარგად იგებს და იმახსოვრებს ინფორმაციას, როდესაც გაკვეთილი არის სალექციო ტიპის, ადვილად სცემს პასუხებს ტესტებს თუ ზეპირად ეკითხებიან;
- უკეთესად სწავლობს, როდესაც ერთვება საკლასო დისკუსიებში, ჯგუფთან ერთად განიხილავს საკითხს;
- შეიძლება მოსწონდეს მუსიკა, სხვადასხვა უცხო ენა, წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება, სცენაზე გამოსვლა.

თუ თქვენი შვილისთვის წამყვანია კინესტეთიკურად, მოძრაობების საშუალებით სწავლა, მაშინ:

- უკეთ სწავლობს კეთებით და მოძრაობით;
- უკეთ სწავლობს, როდესაც შეუძლია ხელით შეეხოს, შეისწავლოს, გამოიკვლიოს, თვითონ შექმნას;
- მოსწონს ისეთი აქტივობების კეთება, რომლებიც ხელების ჩართვას მოითხოვს. მაგალითად, სამეცნიერო ექსპერიმენტებში მონაწილეობის მიღება ლაბორატორიებში, ბუნებაში გასვლა;
- შეიძლება მოსწონდეს ცეკვა, საბრძოლო ხელოვნება, ხელოვნება ზოგადად და თეატრალური წარმოდგენები.

რეკომენდაციები ბავშვის ინდივიდუალური სწავლის სტილის გათვალისწინებით

რეკომენდაციები იმ ბავშვებთან სამუშაოდ, რომლებიც უკეთ სწავლობენ ვიზუალურად, მხედველობით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე:

- დავალების შესრულების დროს გამოიყენეთ დასურათებული წიგნები, ვიდეოები, კომპიუტერი, დასურათებული ბარათები;
- გააკეთებინეთ ჩანაწერები, ჩანიშვნები, სადაც სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას სხვადასხვა ფერის ფანქრით დაწერს;
- გააკეთებინეთ დავალებაში შემავალი მნიშვნელოვანი სიტყვებისა თუ ცნებების ჩამონათვალი, დიაგრამები, სია;
- დაახატინეთ ნახატები, უმჯობესია ფერადი ფანქრების გამოყენებით.

რეკომენდაციები იმ ბავშვებთან სამუშაოდ, რომლებიც უკეთ სწავლობენ სმენით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე:

- წაუკითხეთ ან წააკითხეთ მიცემული დავალება ხმამაღლა;
- გამოიყენეთ სიტყვათა ასოციაციები ან სიტუაციური ასოციაციები, რამდენჯერმე გაუმეორეთ სიტყვები, რომ უკეთ დაიმახსოვროს;
- მიეცით საშუალება იმეცადინოს სხვა ბავშვებთან ერთად, მიეცით შესაძლებლობა ხმამაღლა განიხილოს საკითხი;
- გამოიყენეთ აუდიო წიგნები, გაკვეთილის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- გამოიყენეთ ხმის ჩამწერი საშუალებები, რომ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა რამდენჯერმე მოუსმინოს გაკვეთილს ან თქვენ წაკითხულ ტექსტს.

რეკომენდაციები იმ ბავშვებთან სამუშაოდ, რომლებიც უკეთ სწავლობენ კინესტეთიკურად, მოძრაობების საშუალებით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე:

- მაქსიმალურად მიეცით საშუალება კეთებით ისწავლოს, ჩართეთ სხვადასხვა ტიპის საბავშვო სამეცნიერო ექსპერიმენტებში;
- გამოიყენეთ როლური თამაშები, მოდელირებით კონსტრუქციების აწყობა;
- დაუყავით დავალებები მცირე მონაკვეთებად ხშირ-ხშირად შეასვენეთ;
- გამოიყენეთ მეხსიერების თამაშები, კუბები, ბარათები;
- მიეცით საშუალება დავალების შესრულების დროს მოუსმინოს მუსიკას თუ ბავშვს ეს მოსწონს.

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვების წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები

წარმატება სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა ფაქტორებთან ასოცირდება. წარმატება ადამიანის ცხოვრებაში უფრო მეტ ასპექტს მოიცავს, ვიდრე ეს არის სასკოლო წარმატება. ცხოვრებისეული წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, მშობელმა შვილს განუვითაროს ისეთი უნარები, რომლებიც ზრდასრულობაში აუცილებლად დასჭირდება. ამ უნარებს მიეკუთვნება დახმარების თხოვნის და მიღების უნარები, პრობლემების გადაწყვეტა და გამოსავლის ძიება, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სხვა ადამიანებთან. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ტიპის უნარების შეფასება არ ხდება აკადემიური ქულებით.

მრავალი გრძელვადიანი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლენილია ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები მქონე ადამიანებს წარმატების მიღწევაში ეხმარებათ.

ესენია:

- **საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება, საკუთარი თვითრწმენის განვითარება** გაიგეთ თქვენი შვილის აზრი, რა გამოსდის კარგად, რის კეთება მოსწონს. დაეხმარეთ, იპოვოს მისთვის საინტერესო საქმიანობა;

- **პროაქტიულობა** - ასწავლეთ პრობლემების მოგვარების გზების ძიება. ჰკითხეთ თქვენ შვილს, რას გრძნობს, როდესაც სირთულეს აწყდება, მისი აზრით, რა შეიძლება იყოს ამა თუ იმ სიტუაციაში გამოსავალი;

- **თანამიმდევრულობა** - შეეცადეთ აჩვენოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ უნარზე მუშაობის დროს თანამიმდევრულობა, რამდენად ეფექტურობის მომტანია, როდესაც პირველივე წარუმატებლობის დროს არ ანებებს თავს საქმიანობას და განაგრძობს მცდელობას;

- **მიზნების დასახვის უნარი** - რეალისტური მიზნების დასახვის უნარი ცხოვრებისეული წარმატებისთვის აუცილებელი პირობაა. მიზნების დასახვის დროს, ასევე ხდება მსჯელობა მოქნილობის აუცილებლობაზე და გარემოებების ცვლილებების შემთხვევაში მიზნების ადაპტირებაზე. დაეხმარეთ თქვენ შვილს თვითონ გამოყოს რა სურს, რომ იყოს მისთვის გრძელვადიანი მიზანი და რა ეტაპები უნდა გაიაროს მის მისაღწევად. ყოველი წარმატება აღნიშნეთ თქვენ შვილთან ერთად;

- **დახმარების თხოვნა** - წარმატებულმა ადამიანებმა იციან, როგორ მიმართონ სხვებს დახმარებისთვის. თქვენ თვითონ გაუკეთეთ თქვენ შვილს დახმარების თხოვნის მოდელირება. მოუყევით მაგალითები სხვადასხვა ადამიანების ცხოვრებიდან. შეგიძლიათ გაითამაშოთ როლური სიტუაციებიც;

- **სტრესის მართვის უნარი** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებში საკმაოდ მაღალია სტრესის დონე აკადემიურ საქმიანობასთან მიმართებაში. რაც უფრო მეტად განიცდის ადამიანი სტრესს, მით უფრო უჭირს სირთულესთან გამკლავება. ასწავლეთ თქვენ შვილს სიტყვების გამოყენებით, თავისი ემოციური მდგომარეობის აღწერა. დაეხმარეთ, თვითონვე მიხვდეს, როდის განიცდის სტრესს და დააკვირდეს საკუთარ ქცევას ამ დროს. ჩართეთ ისეთ აქტივობებში, რომლებიც სტრესის დონეს ამცირებს. მაგალითად, სპორტი, მუსიკის მოსმენა და ა.შ

- **ჯანსაღი ცხოვრების სტილი** - ჯანსაღი ცხოვრების სტილის წახალისება მნიშვნელოვანია აკადემიური წინსვლისთვის. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ სწავლისთვის მხოლოდ გონებრივი უნარები არის საკმარისი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ რომ სწავლის პროცესში მთლიანი სხეულია ჩართული. თუ ბავშვი სწორად იკვებება, კარგად ძინავს, ფიზიკურად აქტიურია მას უფრო დიდი დროით შეუძლია კონცენტრირება, დავალებებზე ფოკუსირება და მეტი შრომის გაწევა. ვარჯიში, სწორი კვება და ძილი გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაზე, ის ზრდის ენერგიის დონეს, ამცირებს სტრესისადმი მოწყვლადობას და ეხმარება ბავშვებს შრომისუნარიანობის მომატებაში, განსაკუთრებით, აკადემიური დავალებების შესრულების დროს.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ მშობლისთვის მნიშვნელოვანია საკუთარ ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვა. ეს დაგეხმარებათ, ემოციურად უფრო ეფექტურად გაუწიოთ მხარდაჭერა თქვენ შვილს სხვადასხვა სირთულეების დაძლევაში. მნიშვნელოვანია, გააცნობიეროთ თქვენთვის სტრესული სიტუაციები, თქვენი რეაგირების სტილი ამ სიტუაციებზე. დააკვირდით, რა ტიპის აქტივობები გგვრით სიამოვნებას და უფრო მეტად დაკავდით მათით. ოჯახის წევრებთან გულახდილად სიტუაციის განხილვა, მეგობრებთან და ახლობლებთან საუბარი, სხვა მშობლებთან ან მასწავლებლებთან აზრთა გაზიარება, რჩევის თხოვნა, შესაძლოა, ეფექტური აღმოჩნდეს სხვადასხვა გამოწვევებზე საპასუხოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Helping Your Child with Language-Based Learning Disabilities: Strategies to Succeed in School and Life with Dyslexia, Dysgraphia, Dyscalculia, ADHD, and Processing Disorders; *Daniel Franklin PhD, Louis Cozolino PhD,* 2018

Teaching Students With Learning Disabilities: A Step-by-Step Guide for Educators, *Roger Pierangelo, George A. Giuliani,* 2008

Teaching Reading Comprehension to Students with Learning Difficulties
Janette K. Klingner PhD, Sharon Vaughn PhD, Alison Boardman, 2007

Foundations of Special Education: An Introduction

Michael Farrell, 2009

Creating Magic: How to Develop Storytelling Skills and Use them in Your Writing, Connie Dunn, July 16, 2014

Kindergarten Math Workbook: Kindergarten and 1st Grade Workbook Age 5-7 | Homeschool Kindergarteners, Modern Kid Press, March 19, 2020

Preschool Math Workbook for Toddlers Ages 2-4: Beginner Math Preschool Learning Book with Number Tracing and Matching Activities for 2, 3 and 4 year olds and kindergarten prep, Modern Kid Press, October 29, 2019

Where's the Math?: Books, Games, and Routines to Spark Children's Thinking, The National Association for the Education of Young Children, September 10, 2019

Mathematics for Elementary Teachers with Activities 5th Edition,Pearson; 5th edition, January 12, 2017

https://www.twinkl.ie/